პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

კომუნისტი

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 64. მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8-81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებული გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ორჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

- სარვატ-ფაშა ინგლის-ეგვიპტის ურთიერთობის შესახებ.
- ზალესკის და ვოლდემარასის მიწერ-მოწერა.
- პარიზში ჩავიდა გერმანიის ყოფილი კანცლერი ვირტი.
- ამხ. პეტროვსკის ჯანმრთელობა.
- 20 იანვარს სორმოვოში მოხდება 1927 წლის სესხის მეოთხე ტირაჟი.
- მოსკოვში ჩავიდა წყნარ-ოკეანის სახელმწიფოთა ურთიერთობის ინსტიტუტის მდივანი დოვისი.

პარასკევი, 20 იანვარი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 16 (20[illegible]9)

ა. წ. იანვრის 23 საღამოს აჭარისტანის ა. ს. ს. რ.
ქ. ბათომში გაიხსნება
სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრ.
აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი

მესამე სესია

სესიის დღის წესრიგი:

1. მოხსენება ავტ. ს.ს.რ. აჭარისტანის მთავრობის მოქმედების შესახებ. მომხ.—ამხ. გოგიბერიძე.
2. პროექტი დებულებისა ს.ს.ს.რ. ქალაქის საბჭოების შესახებ. მომხ.—ამხ. მათიკაშვილი.
3. საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კოდექსის პროექტი. მომხ.—ამხ. ვარძიელი.
4. პროექტი ს.ს.ს.რ. სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებათა და დამატებათა შესახებ. მომხ.—ამხ. ვარძიელი.
5. განხილვა და დამტკიცება საკანონმდებლო აქტებისა, რომელიც პრეზიდიუმის მიერ მიღებულ იყო სესიიდან სესიამდე. მომხ.—ამხ. ვარძიელი.

მატარებელი ცაკის წევრებით და კანდიდატებით გავა სადგ. თბილისიდან სადგ. ბათომში ა. წ. იანვრის 22-ს საღამოს 9 საათ. 40 წუთ. მოსკოვის დროით.

ს.ს. ცაკის მდივანი—შ. მათიკაშვილი.

დავაჩქაროთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა

საგადასახადო პოლიტიკა ერთი იმ ძლიერ იარაღთაგანია, რომლის საშუალებით საბჭოთა ხელისუფლება აწესრიგებს სახალხო მეურნეობის ზრდას, ავიწროებს კერძო კაპიტალისტურ ელემენტებს და ხელს უწყობს სოციალისტური სექტორის განვითარებას. ამ მხრივ საგადასახადო აპარატის მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. წარსულ წლების დაკვირვებიდან ვიცით, რომ გადასახადის აკრეფის მხრივ ჩვენ მრავალ დაბრკოლებებთან გვქონდა საქმე. შემჩნეული იყო არა მარტო გადასახადის არასწორი, არსებულ კანონის მიხედვით, შეუფერებელი განაწილება, არამედ ისიც, რომ გადასახადის აკრეფა იგვიანებდა, ზოგჯერ გადამხდელთა ერთი წლის დავალიანება მეორე წლის დავალიანებას ემატებოდა და სხვა. ამ დეფექტებს, თავისთავად გასაგები მიზეზების გამო განსაკუთრებით ადგილი ჰქონდა სოფლად, სადაც მოსახლეობა დაქსაქსულია, აპარატი უფრო მოუქნელია და სუსტია პროლეტარული გავლენა.

მიმდინარე საგადასახადო წლის მდგომარეობა მნიშვნელოვნათ გაუმჯობესდა. მხოლოდ ერთნახევარი თვე დარჩა გადასახადის აკრეფამდე. უკანასკნელ ვადათ დაწესებულია 1928 წ 1 თებერვალი. ეხლა უკვე არსებულ ცნობების მიხედვით, შეგვიძლია ზოგადი დასკვნები გავაკეთოთ იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა საქართველოში და როგორი ნაბიჯები უნდა გადავდგათ გადასახადის აკრეფის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის ამ ერთნახევარ თვის განმავლობაში.

არის მთელი რიგი მაზრები, სადაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადი აკრეფილია 80 პროცენტით, სხვაგან კი აკრეფილ გადასახადის რაოდენობა უახლოვდება ამ ციფრს. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩამორჩენილ რაიონებ შორის არის ისეთი მაზრები, სადაც შედარებით მეტი მნიშვნელობა აქვს გადასახადის თავის დროზე აკრეფას. ეს მაზრები უფრო მრავალრიცხოვანი და ძლიერი არიან ეკონომიურათ. აქ უფრო თვალსაჩინოა მოსახლეობის ისეთი ელემენტი, რომელსაც ყველაზე მეტად უნდა შეეხოს გადასახადი. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა ნორმალურათ მიმდინარეობს.

რას გვეუბნება ჩვენ ეს ფაქტი? პირველ ყოვლისა, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენი საგადასახადო აპარატი, რომელიც წარსულ წლებში იწვრთნებოდა თავის შეცდომებზე, შედარებით განმტკიცდა და გაჯანსაღდა. ეს ფაქტი მოწმობს აგრეთვე იმას, რომ ადგილობრივი ორგანოები მეტი ყურადღებით ეკიდებიან გადასახადის აკრეფის საქმეს. გარდა ამისა, გადასახადის აკრეფის ნორმალური მსვლელობა ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს, რომ მოსახლეობაში კიდევ უფრო განმტკიცდა მოქალაქეობრივი მოვალეობისა და საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესების შეგნება.

მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მუშაობა გადასახადის აკრეფის დარგში დასრულებულად უნდა ჩავთვალოთ. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ სწორეთ ეხლა იწყება განსაკუთრებით საპასუხისმგებლო მუშაობის დრო. დარჩა ერთნახევარ თვეზე ნაკლები. ამ ხნის განმავლობაში ადგილობრივ ორგანიზაციებმა უნდა დაასრულონ გადასახადის აკრეფა.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ კამპანია ნორმალურათ მიმდინარეობს-თქო, მაგრამ ისიც აღვნიშნეთ, რომ ზოგიერთი რაიონები მნიშვნელოვნათ ჩამორჩენ გადასახადების აკრეფის ნორმალურ ტემპს. საჭიროა ენერგიის მაქსიმალურათ დაჭიმვა, რომ დანიშნულ დროისათვის ყველა მაზრებმა დაასრულონ გადასახადის აკრეფა. ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ იმისათვის, რომ გადასახადის აკრეფისათვის დარჩენილი მცირე დრო სავსებით იქნას გამოყენებული. ჩვენ ვიცით, რამდენათ ართულებს საქმეს გადასახადის ნარჩენის აკრეფა როგორც გადამხდელისათვის, ისე სახელმწიფოსათვის. ამიტომ გადასახადის აკრეფის საქმეში მთელი ყურადღება იქითკენ უნდა იქნას მიპყრობილი, რომ გადამხდელებზე არ დარჩეს დავალიანება ან, თუ ეს შეუძლებელია, მინიმუმამდე იქნას დაყვანილი გადასახადის ნარჩენები.

სულ საქართველოში აფხაზეთთან ერთად გაწერილია 2.488 ათას მანეთამდე. აქედან მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის დავალება შესრულებული იყო 55.1 პროცენტით. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში აკრეფა გაცხოველებით მიმდინარეობდა. დღეს უკვე გვაქვს ცნობები, რომ ზოგიერთი მაზრები დაწესებულ ნორმას 20 პროცენტით მიუახლოვდენ. საჭიროა ჩამორჩენილ მაზრებმა მიჰბაძონ სხვა მაზრების მაგალითს, საჭიროა გადასახადის აკრეფა კიდევ უფრო გავაძლიეროთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დრო ცოტა-ღა დარჩა.

ეროვნულ სოლიდარობის განმტკიცების გზით

(საქართველოს ცაკის სესიის გამო აჭარისტანში)

საქართველოს ცაკის სესია აჭარისტანში იმ უაღრესი მნიშვნელობის ფაქტია, რომელიც შეიძლება მოხდეს მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეში. ძველი ხელისუფლების მთავრობის დროს მსგავსი რამის წარმოდგენაც კი ძნელი იყო.

ძველი ხელისუფლების პოლიტიკა ეროვნებათა დამონავების მიზანს ისახავდა და აგებული იყო ეროვნულ სიძულვილისა და დაჩაგვრის საფუძველზე; რუსეთის მეფის მთავრობა და საქართველოს, ეგრეთ-წოდებული „დემოკრატიული მთავრობა“ ეროვნებათა დამონავებისათვის მიმართავდა უხეშ ძალებს და ხიშტებს; ქმნიდა ეროვნულ შუღლს და მტრობას.

მეფის მთავრობას გარშემო ეხვია მისი ერთგული ბეგ-აღები და თავად-აზნაურობა. მენშევიკური მთავრობასაც ბეგ-აღების, თავად-აზნაურობისა და სხვა ნაძირალა ავანტიურისტების საშუალებით შეკავშირებული ყავდა მუქთახორა ძალები და თავს ედგა ერთგული „სახალხო“ გვარდია.

ძველ მთავრობათა ეროვნული პოლიტიკის მთელი სიმძიმე ძლიერ მწვავედ განიცდის თავის ზურგზე საქართველოს ყველა მშრომელ ერებთან ერთად აჭარელმა მშრომელმ. მათ ბევრი მოგონება არ სჭირდებათ ამ წარსულისა, რომ წინ წარმოუდგეს ძველი მთავრობების ეროვნულ-შოვინისტური პოლიტიკის შედეგების სრული სურათი: ჩაგვრა-შევიწროება, სიღატაკე, გაბატონებული ბეგ-აღების და თავად-აზნაურობის, მეფის მოხელეების, ჟანდარმების, ბოქაულების და სხვა პოლიციელების, მენშევიკური მთავრობის კომისრების და დამსჯელი რაზმების თარეშობა, აი, რით უმასპინძლდებოდ მეფის და მენშევიკური მთავრობები მშრომელ ეროვნებებს.

ამჟამად აჭარისტანში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, არ არის არც ბატონობა, არც ჩაგვრა, არც გაუნათლებლობა; ყველაფერი ეს ჩაბარდა ისტორიას; არის მშრომელი ერების პატიოსანი შრომა და გაცხოველებული სოციალისტური მშენებლობა. არსებობს ერთა მჭიდრო კავშირი, საერთო მუშურ-გლეხურ საქმეში და ლტოლვა სოციალიზმისაკენ.

საბჭოთა ხელისუფლებამ ბოლო მოუღო უთანასწორობას და უზრუნველჰყო ამ დამონავებულ ერების თავისუფლება, უზრუნველჰყო მათი ეროვნული უფლებები და გზა უჩვენა მათ კულტურულ და ეკონომიურ აღორძინებისაკენ.

ამჟამად ყველა ერები: აჭარელი, სომეხი, რუსი, აფხაზი, ქურთი... ყველა თანასწორუფლებიანი ერები არიან, ყველას ერთი და იგივე ამოცანა აქვს—ესაა სოციალიზმი. ამას სხვათა შორის ნათელჰყოფს საქართველოს ცაკის სესიის მოწყობა აჭარისტანში.

ამ ფაქტს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ ის საქართველო-აჭარისტანის ერების საერთო მუშურ-გლეხური საქმის მჭიდრო კავშირის და ერთობის მაჩვენებელია. ეს ფაქტი საქართველო-აჭარისტანის ერების საერთო სოციალისტური მშენებლობაში ძმურ თანამშრომლობის მაჩვენებელია.

დღეიდან საქართველო-აჭარისტანის მუშა და გლეხი კიდევ უფრო ახლო გაიცნობს აჭარელ მუშასა და გლეხებს, გაიცნობს მის ყოფა-ცხოვრებას, და საერთო მდგომარეობას და უფრო ძმურად, უფრო მტკიცედ დაუახლოვდება საერთო ბრძოლის ასპარეზზედ, აჭარელ მუშას და ფუხარა გლეხს.

სესია მოისმენს აჭარისტანის მთავრობის ანგარიშს მრეწველობის, სასოფლო-სამეურნეო მიღწევების, განათლების და სოციალისტური აღმშენებლობის სხვა დარგებში.

სესია განიხილავს ახალ სისხლის სამართლის კოდექსს, ქორწინების, ოჯახის და მეურვეობის და სხვა იურიდიული აქტების მომწესრიგებელ დებულებებს.

საქართველოს ცაკის სესიის მოწყობა აჭარისტანში იმის მაჩვენებელია, რომ კიდევ უფრო გაძლიერდება საქართველო-აჭარისტანის მშრომელთა მჭიდრო კავშირი და ძმური თანამშრომლობა საერთო მუშურ-გლეხურ საქმეში.

მუედინ სურმანიძე.

ამერიკის პოლიტიკური დამარცხება ნიკარაგუაში
ინგლისის მემორანდუმი უშიშროების შესახებ
ამერიკის საქმიან წრეებში იზრდება ინტერესი საბჭოთა კავშირისადმი
გრძელდება ნავთის ტრესტების ბრძოლა საბჭოთა ნავთის გარშემო

ამერიკის პოლიტიკური დამარცხება ნიკარაგუაში

ნიუ-იორკი, 18 იანვარი. მანაგუადან (ნიკარაგუას დედაქალაქი) მიღებულ ცნობებით, **დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონპროექტი, რომლითაც უმაღლესი კონტროლის უფლება მომავალ არჩევნებში იძლევა ნიკარაგუას კონგრესს.** ეს კანონპროექტი შეტანილ იქნა მთავრობის კანონპროექტის წინააღმდეგ. მთავრობის პროექტით უმაღლესი კონტროლის უფლება მომავალ არჩევნებში უნდა მისცემოდა ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების შეიარაღებულ ძალების სარდალს ნიკარაგუაში (გენერალ მაკოის, რომელიც ამჟამად გაემგზავრა ნიკარაგუაში). (ადს).

ინგლისის მემორანდუმი უშიშროების შესახებ

ლონდონი, 18 იანვარი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„ინგლისის მთავრობამ გამოაქვეყნა ფართო მემორანდუმი, რომელშიაც გამოხატავს თავის მოსაზრებებს უშიშროების კომისიის მუშაობის პროგრამის შესახებ. ეს კომისია შექმნილია განიარაღების კონფერენციის მომზადებელ კომისიასთან. მემორანდუმი უწინარეს ყოვლისა აღნიშნავს, რომ საერთაშორისო კონფლიქტების დროს საზღვარი უნდა იქნეს გავლებული რაიმე კანონიერ უფლების გამო წარმოშობილ უფლებრივ ხასიათის კონფლიქტებსა და პოლიტიკური ხასიათის არაუფლებრივ კონფლიქტებს შორის. შემდეგ მემორანდუმი ხაზს უსვამს, რომ საარბიტრაჟო ხელშეკრულებები განმტკიცებული არ არის არავითარი სხვა სანქციებით, გარდა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრისა, ამიტომ უფრო ადვილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა გამოტანა, ვიდრე მათი განხორციელება. „საეჭვოა, რომ მომწიფებული იყოს დრო—ნათქვამია მემორანდუმში—ისეთ სანქციების რაიმე საერთო სისტემისათვის, რომლებიც უზრუნველყოფდენ საარბიტრაჟო ხელშეკრულებათა იძულებით განხორციელებას; საეჭვოა, რომ რომელიმე სახელმწიფო, რომელიც საკმაოდ ძლიერია იმისათვის, რომ იმოქმედოს იძულებით ზომების საშუალებით, დათანხმდეს ამჟამად რაიმე საერთო ვალდებულების მიღებაზე. მემორანდუმი აცხადებს რომ, საერთო აზრით, არსებობს ზოგიერთი უფლებრივი საკითხები, რომლების გადაცემა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია თავის უშიშროების თვალსაზრისით, ამიტომ ჩვეულებრივად კეთდება შენიშვნები საარბიტრაჟო ხელშეკრულებათა გამოყენების საზღვრების შესახებ. თანდათან, როდესაც ერები უკეთ და უკეთ შეიგნებენ თავის საერთაშორისო ვალდებულებებს,—განაგრძობს მემორანდუმი—სულ უფრო და უფრო ადვილად იკისრებენ ფართო ვალდებულებებს იმისათვის, რომ უფლებრივი დავა გადასწყვიტონ არბიტრაჟის საშუალებით.

მემორანდუმი იხსენიებს ნანსენის წინადადებას, რომლის თანახმად არაუფლებრივ ხასიათის დავა უნდა ირჩეოდეს განსაკუთრებულ კომისიის მიერ, რომელსაც შეეძლება გამოიტანოს სავალდებულო გადაწყვეტილებები. მემორანდუმში ნათქვამია, რომ ნანსენის მიერ წამოყენებულ პროექტის შესწავლა მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სახელმწიფოს შეუძლია იკისროს სათანადო ხასიათის საერთო ვალდებულება.

შემდეგ მემორანდუმი ეხება შეთანხმებებს უშიშროების გარანტიების შესახებ და იმეორებს იმ განცხადებას, რომელიც გააკეთა ინგლისის დელეგაციამ ერთა ლიგაში; ამ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ უშიშროების უზრუნველყოფა საუკეთესოდ შეიძლება მიღწეული იქნეს იმ გზით, თუ ის ერები, რომლებიც უშუალოდ არიან ამაში დაინტერესებული და რომელთა შორის უთანხმოებას შეუძლია გამოიწვიოს ბრძოლის განახლება, დაკავშირებული იქნებიან ხელშეკრულებით, რომელიც შედგენილი იქნება მხოლოდ იმ მიზნით, რომ დაცულ იქნას მშვიდობიანობა დაინტერესებულ მხარეებს შორის. ასეთი ხელშეკრულების მაგალითად მემორანდუმი ასახელებს ლოკარნოს ხელშეკრულებას.

დასასრულ, მემორანდუმი აცხადებს, რომ ინგლისის მთავრობა არაერთხელ გამხდარა იძულებული გაელაშქრებია ერთა ლიგის წესდების მუხლების პირდაპირ და სიტყვა-სიტყვით განმარტების წინააღმდეგ.

ინგლისის მთავრობის ასეთი პოზიცია, გაზეთის სიტყვებით იმით კი არ აიხსნება, რომ ინგლისს სურს შეამციროს წესდებით დაკისრებული ვალდებულებანი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმ რწმენით, რომ ერთა ლიგის წესდების დიდი ძალა განისაზღვრება იმ მოქნილობის ხარისხით, რომელიც შესაძლებელს ხდის მის გამოყენებას მომავალშიაც. ეს მომავალი შემთხვევები შეიძლება ისეთი აღმოჩნდეს, რომელსაც მაგალითი არა აქვს ისტორიაში და ამიტომ არ შეიძლება წინასწარ იქნეს გათვალისწინებული. ინგლისის მთავრობას აცხადებს მემორანდუმი—ასეთივე მოსაზრებება აქვს ყოველივე იმ ცდების შესახებ, რომელთა მიზანია თავდამსხმელი მხარის ცნების გამორკვევა“.

შეერთებული შტატები და საბჭ. კავშირი

ახალი განწყობილება

ბერლინი, 18 იანვარი. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ „სტანდარტ ოილის“ განცხადებამ დეტერდინგის მოქმედების შესახებ გააძლიერა შეერთებულ შტატების საქმიან წრეების ინტერესი საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის საკითხებისადმი. განწყობილება „ბოლშევიკებთან ურთიერთობის“ წინააღმდეგ, კორესპონდენტის სიტყვით, შეერთებულ შტატებში თანდათან კარგავს ძალას ინგლისთან მეტოქეობის იდეის წინაშე (ადს).

ბრძოლა საბჭოთა ნავთის გარშემო

ნიუ-იორკი, 18 იანვარი. რიჩარდ ეირიმ (დეტერდინგის წარმომადგენელი ნიუ-იორკში) შემდეგი განუცხადა პრესის წარმომადგენლებს:

„როიალ დეტჩი იბრძოლებს სტანდარტ ოილის წინააღმდეგ ყველა იმ ქვეყნებში, სადაც სტანდარტ ოილი შეეცდება საბჭოთა ნავთის გაყიდვას. ომი ნავთის გარშემო არ შეწყდება, სანამ სტანდარტ ოილი არ შესწყვეტს საბჭოთა ნავთის გაყიდვას, ან საბჭოთა კავშირი არ აუნაზღაურებს რუსეთის ნავთიან ადგილების ყოფილ მეპატრონეებს ჩამორთმეულ მიწების ღირებულებას. ამჟამად სტანდარტ ოილის საზოგადოება ჩინეთში ჰყიდის მხოლოდ ამერიკის ნავთს. მაგრამ თუ მან იქაც დაიწყო საბჭოთა ნავთის გაყიდვა, როიალ დეტჩი გაუმართავს მას ომს ჩინეთის ბაზარზე“.

რიჩარდ ეირიმ უარყო იმის მტკიცება, თითქოს როიალ დეტჩი ფიქრობს მოაწყოს შეერთებულ შტატებში თავის ნავთის გაყიდვა.

დეტერდინგის მოლაპარაკების გამო საბჭოთა მთავრობასთან ეირიმ განაცხადა:

„მოლაპარაკებას ჰქონდა ორი მიზანი: ჯერ ერთი იმის მიღწევა, რომ რუსეთის ნავთიან მიწების ყოფილ მეპატრონეებს მისცემოდა კომპენსაცია საბჭოთა მთავრობის მიერ უფასოდ ჩამორთმეულ მიწების სამაგიეროდ. მეორე, გადაჭრილიყო (გამორკვეულიყო) ბაზრის პრობლემა. რომ მოლაპარაკება წარმატებით დამთავრებულიყო, ნავთი გაიყოფოდა როიალ დეტჩსა და სხვა კამპანიებს შორის და ამრიგად უზრუნველყოფილი იქნებოდა ბაზრის წონასწორობა. მოლაპარაკებას ყოფილ მეპატრონეთათვის კომპენსაციის მიცემის შესახებ სერიოზული ხასიათი ჰქონდა, მაგრამ სტანდარტ ოილის მოქმედებამ ხელი შეუშალა მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებას. საბჭოთა ნავთის შესყიდვით სტანდარტ ოილი დაეხმარა საბჭოებს და უკანასკნელთ უკვე არავითარი საფუძველი აღარ ჰქონდათ თავი შეეწუხებიათ ნავთიან ადგილების ყოფილ მეპატრონეთა ინტერესებზე ზრუნვით. სანამ სტანდარტ ოილი ინდოეთში ჰყიდდა ამერიკის ნავთს, ყველაფერი ჩვეულებრივი წესით მიდიოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ინდოეთში ამერიკულ ნავთის მაგიერ დაიწყო საბჭოთა ნავთის შეზიდვა როიალ დეტჩმა გადასწყვიტა ბრძოლის დაწყება და მომავალშიაც განაგრძობს მას. „მე წინასწარ არ ვსწყვეტ საკითხს ფასების შესახებ სხვა ქვეყნებში, გარდა ინდოეთისა. ეს მთლიანად დამოკიდებულია სტანდარტ ოილზე მაგრამ თუ უკანასკნელმა დაიწყო საბჭოთა ნავთის შეზიდვა სხვა ქვეყნებშიაც, გარდა ინდოეთისა, როიალ დეტჩი შეებრძოლება ამას“ (ადს)

„პირველი შემთხვევა“

ლონდონი, 18 იანვარი. ინგლისის პრესის ცნობით, „სტანდარტ ოილ კომპანი“-ს საბჭოთა ნავთს ასაღებს კუნძულ ცეილონზე. პრესა აღნიშნავს, რომ ეს პირველი შემთხვევაა კონკურენციისა აზიის სანავთო კომპანიასთან, რომელიც დღემდე ფაქტიურად მონოპოლიურად აწვდიდა ნავთს კუნძულს

ინგლის-ეგვიპტის ურთიერთობა

„შეთანხმების მიღწევა შეუძლებელია“

ლონდონი, 18 იანვარი. კაირიდან მიღებული ცნობით, ეგვიპტის პრემიერმა სარვატ-ფაშამ პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ კაირის გაზეთის „ალ მოკატამ“-ის ცნობა ინგლის-ეგვიპტის მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ არ შეეფერება სინამდვილეს. („ალ-მოკატამ“ იუწყებოდა, რომ ინგლისსა და ეგვიპტეს შორის მიღწეულია შეთანხმება ყველა საკითხებში, რომელთა გარშემო სწარმოებდა მოლაპარაკება სარვატ-ფაშის ლონდონიდან ეგვიპტეში დაბრუნების შემდეგ, გარდა ორი მნიშვნელოვანი საკითხისა, სახელდობრ ინგლისის გარნიზონების გადაყვანის შესახებ სუეცის არხის დასავლეთ ნაპირიდან აღმოსავლეთ ნაპირზე და ინგლის-ეგვიპტეს გაერთიანებულ სუვერენიტეტის შესახებ სუდანზე).

ინტერვიუს დროს სარვატ-ფაშას შეეკითხენ: მართალია თუ არა ცნობა; რომ ინგლისის მთავრობამ უკვე წამოაყენა ეგვიპტესთან ხელშეკრულების პროექტი და რომ ჯერ-ჯერობით აღარ არის გადაჭრილი მხოლოდ საკითხები უცხოელების დაცვის შესახებ ეგვიპტეში და გაერთიანებულ სუვერენიტეტის შესახებ სუდანზე?

ამ კითხვაზე სარვატ-ფაშამ უპასუხა, რომ ამჟამად მას არაფერის თქმა არ შეუძლია, მაგრამ ფიქრობს, რომ მოლაპარაკება დამთავრდება იანვრის ბოლოში.

იმ ცნობის გამო, რომ ინგლისის მთავრობა მოითხოვს ინგლისის გარნიზონის დატოვებას ქაირე-ნახა-ფაშაში, ნაციონალისტურ პარტიის — „ვაფდის“ ერთ-ერთმა ბელადმა განაცხადა:

„ამ შემთხვევაში შეუძლებელია შეთანხმების მიღწევა“.

მდგომარეობა ჩინეთში

ბრძოლა ბაი-ძუნ-ჩის ჯგუფსა და ხუნანის ჯარებს შორის

ტოკიო, 18 იანვარი. „სიმბუნ-რენგოს“ ხანკოუს სააგენტო და გაზეთ „ტოკიო ასახის“ ჩანშის კორესპონდენტი იტყობინებიან, რომ სამხედრო მოქმედება იმ გენერლების ჯგუფსა, რომელსაც მეთაურობს ბაი-ძუნ-ჩი და ხუნანის პროვინციის ჯარებს შორის, რომელნიც უწინ იმყოფებოდენ ტა[illegible]ინ-ჩის განკარგულებაში, ამჟამად კი გადასული არიან ჩან-კაი-შის მხარეზე) ახლა იღებს გადამწყვეტ ხასიათს. ახლო მომავალში მოსალოდნელია სერიოზული ბრძოლა ამ მოპირდაპირეთა შორის (ადს).

შიში ხანკოუში

ტოკიო, 18 იანვარი. „ნიპპონ დემპოს“ სააგენტო იტყობინება, რომ ხანკოუში გამეფებულია პანიკური განწყობილება.

„კომუნისტები—ნათქვამია სააგენტოს ცნობაში—ხანკოუში ეწევიან აგიტაციას ყველა კაპიტალისტების და ჩინოვნიკების მოკვლის სასარგებლოდ. ქალაქში გამოცხადებულია სამხედრო მდგომარეობა. რვა საათის შემდეგ ქუჩებზე აკრძალულია ყოველგვარი მოძრაობა“ (ადს).

ბაი-ძუნ-ჩის შეტევა

პეკინი, 18 იანვარი. ჰოვენის სააგენტოს ცნობით, **ბაი-ძუნ-ჩიმ დაიწყო გენერალური შეტევა ხუნანის პროვინციაში თავმოყრილ ჯარების წინააღმდეგ** (ამ ჯარებს წინათ ხელმძღვანელობდა ტან შენ-ჩი) (ადს).

ბანდიტიზმი შასში

ტოკიო, 18 იანვარი. იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შასის იაპონიის საკონსულოდან (შასი მდებარეობს ხუბეის პროვინციის სამხრეთ ნაწილში) მიიღო დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ **შასში მყოფი იან-სენის ჯარები აპირებენ ქალაქის დატოვებას და ამის გამო მათ ადგილობრივ სავაჭრო პალატისაგან მოითხოვეს კონტრიბუცია 40.000 დოლარის რაოდენობით ევაკუაციაზე გასაწევი ხარჯების დასაფარავად.**

გაზეთ „ტოკიო ასახის“ ცნობით, შასში „იზრდება ბანდიტიზმი და ხშირია ძალადობის შემთხვევები ჯარის კაცების მხრიდან“.

კორესპონდენტი სწერს, რომ „ჩინელი ჯარისკაცები ესვრიან აგრეთვე იაპონიის სამხედრო გემებსაც“ (ადს).

ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომში

წყლის ნაყვა

ბერლინი, 18 იანვარი. ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომის კონფერენციაზე დიდი კამათი გამოიწვია საკითხმა მუშათა ჯგუფის ტაქტიკის შესახებ ერთა ლიგასთან არსებულ შრომის საერთაშორისო ბიუროში. მწვავე კამათი გაიმართა აგრეთვე სამუშაო ხელფასის მინიმუმის საკითხის გარშემო, რომელიც უნდა გაირჩეს შრომის საერთაშორისო ბიუროს კონფერენციაზე. კამათის შემდეგ მიღებულ იქნა ხიკსის მიერ შემოტანილი ბუნდოვანი რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„უნდა დასახულ იქნეს საერთო ხაზი შრომის საერთაშორისო ბიუროში უკეთესი თანამშრომლობის განსახორციელებლად და საჭიროა გატარდეს ამისათვის საჭირო დისციპლინა“.

ამ რეზოლიუციის მიღების შემდეგ განხილულ იქნა სხვადასხვა წვრილმანი საკითხები. ამსტერდამის ინტერნაციონალის თავმჯდომარის არჩევის საკითხში ჯერ არ არის მიღწეული შეთანხმება ინგლისის დელეგაციის თანხმობით ამ საკითხის განხილვა გადადებულ იქნა ხუთშაბათამდე (ადს).

სან-გოტარდის ინციდენტის გამო

პარიზი, 18 იანვარი. „პტი-პარიზიენ“-ი აქვეყნებს ოფიციოზური ხასიათის ცნობას, რომელშიაც ნათქვამია, რომ რამოდენიმე დღის წინად ჩეხო-სლოვაკიის დელეგატმა გადასცა ერთა ლიგას მცირე ანტანტის ნოტა (შედგენილი ბენეშის მიერ) უნგრეთში იარაღის ფარულად შეტანის საკითხის შესახებ. ნოტა ხაზს უსვამს, რომ უნგრეთზე დაწესებულია სამხედრო კონტროლი, რომელსაც 1927 წლის მაისიდან ანხორციელებს ერთა ლიგა. „პტი-პარიზიენ“-ი აღნიშნავს, რომ ერთა ლიგას ამ შემთხვევაში პირველად უნდა განეხორციელებია პრაქტიკულად თავისი უფლება, გამოეძიებია ეს საქმე და ამრიგად დაემყარებია პრეცედენტი ანალოგიურ შემთხვევებისათვის მომავალში.

გაზეთი სწერს:

„ჩვენ იმედი გვაქვს ინგლისის უნგროფილობა ხელს არ შეუშლის ერთა ლიგის საბჭოს წევრებს საჭირო ზომების მიღებაში მშვიდობიანობის დასაცავად“. (ადს).

ნიანგის ცრემლები

ჩვენ ვბეჭდავთ საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ცნობას ტროცკისტულ და საპრონოვის ჯგუფების 30 აქტიურ მონაწილის მოსკოვიდან გადასახლების შესახებ იმის გამო, რომ ისინი საკავშირო კომპარტიიდან (ბ) გამორიცხვის შემდეგ სცდილობენ მოეწყოთ არალეგალური ორგანიზაცია და მოემზადებიათ მთელი რიგი ახალი ანტისაბჭოთა გამოსვლები. იმ მიზნით, რომ დაემყარებიათ კავშირი თავის მომხრეებთან საზღვარგარეთ, ამ ხალხს არ შერცხვა დაეჭირა კონტაქტი მოსკოვში მყოფ ზოგიერთ პირებთან—უცხოელ კაპიტალისტების წარმომადგენლებთან.

საზღვარგარეთის ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული პრესა უკანასკნელ დროს გამალებით ავრცელებდა ხმებს ოპოზიციონერების მოსალოდნელ გადასახლების შესახებ მოსკოვიდან. პრესაში თავსდებოდა ყოველგვარი ფანტაზიები: ერთსა და იმავე პირს რიგრიგობით „ასახლებდენ“ ხან სოხუმში, ხან ტობოლსკში და სხვა. ამასთანავე პროლეტარულ დიქტატურის მტრების თანაგრძნობა „ბოლშევიკურ რეჟიმის ახალ მსხვერპლთა“ მიმართ აღწევდა უმაღლეს წერტილს.

ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულმა „არბაიტერ ცაიტუნგმა“ მდუღარე ცრემლები დაღვარა, ის დასტიროდა „დემოკრატიას“ და იგონებდა მენშევიკებისა და ესერების გადასახლებას და დაპატიმრებას საბჭოთა ხელისუფლების მიერ. ბერლინის ბურჟუაზიული გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატ“-ი, თავის მოსკოველ კორესპონდენტ პაულ შეფერის წერილებში, მოსკოვის ეხლანდელ ამბების გამო იგონებდა „ეკატერინეს დროსაც“ კი (!) და აცხადებდა, რომ ეხლა „უფსკრული კომუნისტურ რუსეთსა და ბურჟუაზიულ ევროპას შორის კიდევ უფრო ღრმავდება“ (ეს რაღა „მუქარაა“). მეორე გერმანულმა ბურჟუაზიულმა გაზეთმა, „ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-მა ისიც კი აღმოაჩინა, თითქოს საბჭოთა რუსეთი „ეშვება მეფურ რეჟიმის გზაზე“ (არაჩვეულებრივი ჭკუა მახვილობაა!).

ერთი სიტყვით, საკმაოდ აღმოჩნდენ „ნიანგები“, რომლებმაც თავის მოვალეობად ჩასთვალეს დაეღვარათ ცრემლი კონტრ-რევოლიუციონურ და ანტისაბჭოთა მუშაობამდე დაქანებულ ტროცკისტებისა და საპრონოვის ჯგუფის გადასახლების გამო. მაგრამ გერმანულ სოციალ-დემოკრატიულ „ფორვერტს“-ის ცრემლი ეხლაც, ისე, როგორც ყოველთვის, აღმოჩნდა განსაკუთრებით მხამიანი, „მარილიანი“ თვისების. მან, ჯალათ ნოსკეს საგმირო საქმეების მე-9 წლის თავზე, მოსკოვიდან ახალი ჯიშის მენშევიკების გადასახლების გამო, მოხერხებულად სცნო მიეცა თავის ფურცლებზე რუსეთის ბოლშევიკებისათვის „შეკითხვა“ ასეთი საზიზღარი ფარისევლური ფორმით: „კაენ, სად არის ძმა შენი?“

„კაენ, სად არის კარლ ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი?“ ასე ღირსეულად უპასუხა კომუნისტურმა „როტე ფანე“-მ სისხლისმსმელ ძაღლ ნოსკეს ამ თანამებრძოლთ.

ზემოხსენებული შეფერი იძულებული გახდა ერთხელ კიდევ გულისტკივილით განეცხადებია: „ევროპისათვის გადამწყვეტი ის არის, რომ საბჭოთა სახელმწიფო უცვლელად ინარჩუნებს თავის გარეგან ხასიათს და შეინარჩუნებს მას მომავალშიაც“. ამაში ის სავსებით მართალია: პროლეტარული დიქტატურა საბჭოთა კავშირში იყო და დარჩება მომავალშიაც თავის ერთგული და უცვლელი, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება მუშათა კლასისა და სოციალისტურ რევოლიუციის ყოველგვარ მტრების საქმიანობის აღკვეთას.

„პრავდა“-ს პოლიტმიმოხილვიდან.

19 იანვარი.

არჩევნები იაპონიაში

ტოკიო, 18 იანვარი. სეიუკაის პარტიის ყოფილმა ლიდერმა **ოკასაკიმ** პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ მისი აზრით **ოპოზიციონური პარტია მინსეიტო ვერ შესძლებს პარლამენტში საკმაო ხმების შეგროვებას ტანაკას მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების რეზოლიუციის გასაყვანად.**

მეორეს მხრივ სეიუკაის პარტიას, ოკასაკის სიტყვებით, განზრახული არა აქვს გამოიჩინოს ინიციატივა საკითხში პარლამენტის დათხოვნის შესახებ.

„ნიჩი ნიჩი“ აცხადებს, რომ სეიუკაის პარტია, ამჟამად, როგორც ჩანს იმის მომხრეა, რომ არ დაუშვას პარლამენტის დათხოვნა.

„ასეთი ცვლილების მიზეზი სეიუკაის პარტიის გეგმებში — სწერს გაზეთი — მდგომარეობს იმაში, რომ გამოირკვა ოპოზიციონურ პარტია მინსეიტოს სისუსტე. სეიუკაის ლიდერები დარწმუნებული არიან, რომ შესძლებენ მიიმხრონ მინსეიტოს პარტიის 17 დეპუტატი და, ამას გარდა 10 ოპოზიციონერი დეპუტატი დაითანხმონ იმაზე, რომ უკანასკნელნი არ გამოცხადდენ პალატაში, როდესაც კენჭი ეყრება მთავრობისათვის უნდობლობის ვოტუმს. სეიუკაის პარტია მინსეიტოს პარტიის თვითეულ წევრს აძლევს 10.000 იენს სეიუკაის რიგებში გადასვლისათვის. იმისათვის კი, რომ არ დაესწრონ ტანაკას პარტიისათვის უნდობლობის ვოტუმის კენჭის ყრას, სეიუკაის პარტია აძლევს თვითეულ ოპოზიციონერ დეპუტატს 500 იენს. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ბრიუსელელი თავდამსხმელნი დააპატიმრეს

პარიზი, 19 იანვარი. ბრიუსელში დააპატიმრეს სამი ახალგაზრდა კაცი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა გამოფენის დარბევაში. ერთ-ერთი დაპატიმრებული ძმისწულია ბელგიის ელჩისა ვატიკანში. დაპატიმრებულებს წარუდგინეს ბრალდება იმ მუხლების მიხედვით, რომლებიც ითვალისწინებენ შემდეგ სასჯელს: დანაშაულების აქტის ორგანიზატორისათვის 10-15 წლის საკატორღო მუშაობას, ხოლო ამსრულებლებისათვის—1-5 წლის საპატიმროს (ადს).

მაურერი საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ

ნიუ-იორკი, 19 იანვარი. ჩიკაგოში გამართულ მიტინგზე, რომელსაც დაესწრო 1200 მუშაზე მეტი, მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ მაურერმა; მაურერი თავმჯდომარედ იყო ამერიკის პროფკავშირების იმ დელეგაციისა, რომელმაც საბჭოთა კავშირი დაათვალიერა 1927 წელს. მიტინგზე დამსწრე მუშები აღტაცებით შეეგებენ მაურერის განცხადებას საბჭოთა კავშირის წარმატებისა და მტკიცე მდგომარეობის, აგრეთვე საბჭოთა კავშირის მუშების შრომის კარგი პირობების შესახებ. საბჭოთა კავშირში გამგზავრებამდე მაურერი შტატის პენსილვანიის შრომის ფედერაციის თავმჯდომარედ იყო. საბჭოთა კავშირიდან დაბრუნების შემდეგ ის აიძულეს, რომ ამ თანამდებობიდან გადამდგარიყო. ამასთანავე მაურერი განთავისუფლებულია ფედერაციის სამოქალაქო განყოფილების თავმჯდომარის თანამდებობისაგან (ადს).

პანამერიკული კომიტეტის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 19 იანვარი. ლათინური ამერიკის ქვეყნების პრესა მოითხოვს, რომ პანამერიკულმა კონფერენციამ განიხილოს ნიკარაგუას საკითხი. ჩილის სატახტო ქალაქს სანტ-იაგოში გამართულმა ჩილის საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაკთა ყრილობამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც ყრილობა პროტესტს აცხადებს ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების ინტერვენციის წინააღმდეგ ნიკარაგუაში. ადგილობრივმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს მოწოდება, რომლებშიაც ამჟღავნებენ გავანის კონფერენციის იმპერიალისტურ ხასიათს, მეტადრე ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების იმპერიალისტურ როლს (ადს).

ომი ნიკარაგუაში

ნიუ-იორკი, 19 იანვარი. ამერიკის საექსპედიციო კორპუსის სარდლობამ ნიკარაგუაში ცნობა გამოაქვეყნა, რომ ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითა ჯარმა განდევნა აჯანყებულთა ჯარები სან-ალბინოს რაიონიდან; ამ რაიონს ყუმბარებს უშენენ ამერიკის ჰაეროპლანები უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში (ადს).

შრომისა და თავდაცვის საბჭო ქაღალდის ახალი ფაბრიკების შესახებ

მოსკოვი, 19 იანვარი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ მოისმინა მუშა-გლეხთა ინსპექციის მოხსენება კაპიტალური მშენებლობის დეფექტების შესახებ ქაღალდის მრეწველობაში. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭომ ვერ მოახდინა მტკიცე რეგულირება მშენებლობის საქმეში. შრომისა და თავდაცვის საბჭომ წინადადება მისცა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს, რომ მან 1928 წლის 15 მარტისათვის საბოლოოდ გამოარკვიოს იმ ახალი ფაბრიკების საწარმოო ძალა, რომლებიც ახლა შენდება ქაღალდის მრეწველობაში, გამოარკვიოს აგრეთვე მათი საბოლოო ღირებულება და წარუდგინოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს დასამტკიცებლად.

შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა გამოეცხადოს შენიშვნა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ყოფილ მოადგილეს პიატაკოვს, სახ. მეურნეობის საბჭოს პრეზიდიუმის წევრს დოლგოვს, სახ. მეურნეობის საბჭოს ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს უფროსის ყოფილ მოადგილეს შპინს, სახ. მეურნეობის მრეწველობის საგეგმო კომისიის ყოფილ თავმჯდომარის მოადგილეს ბასმანოვს, ქაღალდის ტრესტის ცენტრალური გამგეობის ყოფილ თავმჯდომარეს იაკოვლევს, კარელის ავტონომიური რესპუბლიკის სახ. მეურნეობის თავმჯდომარის მოადგილეს ოკერმანის და ლენინგრადის ქაღალდის ტრესტის გამგეობის თავმჯდომარეს ბუტილკინს იმის გამო, რომ მათ მშ-წონელი და ეკონომიურად საზარალო საქ-ნებლობაში გამოიჩინეს ტექნიკურად მიზანშეუ-მიანობა.

ამხ. პეტროვსკის ჯანმრთელობა

ხარკოვი, 19 იანვარი. უკრაინის ცაკის პრეზიდიუმის სხდომაზე, უკრაინის ცაკის თავმჯდომარის მოვალეობის დროებით აღმასრულებელმა ამხ. ვლასენკომ გააკეთა საინფორმაციო განცხადება უკრაინის ცაკის თავმჯდომარის ამხ. პეტროვსკის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. რამდენიმე კვირის წინად, მე-15 პარტყრილობის დამთავრების შემდეგ, ამხ. პეტროვსკი ავად გახდა გრიპით და ავადმყოფობა გაურთულდა. ამხ. პეტროვსკის ჯანმრთელობის მდგომარეობა ექიმებმა პირველად სერიოზულად სცნეს და ამხ. პეტროვსკი მოათავსეს კრემლის საავადმყოფოში. ამჟამად ამხ. პეტროვსკი ფაქტიურად უკვე გამოჯანსაღდა და საავადმყოფოდან გამოეწერა. ჯანმრთელობის სავსებით აღსადგენად, ამხ. პეტროვსკი, ექიმების მოთხოვნილებით, დასასვენებლად გაემგზავრება სანატორიუმში და 2—3 კვირის შემდეგ შეუდგება მუშაობას (ადს).

პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობა

ვოლდემარასის პასუხი ზალესკის

კოვნო, 18 იანვარი. პრესაში გამოქვეყნებულია მოკლე შინაარსი იმ წერილის, რომელიც ზალესკიმ გაუგზავნა ვოლდემარასს სპეციალურ პოლონელ კურიერის ხელით, და ვოლდემარასის პასუხი. **ზალესკიმ თავის წერილში წამოაყენა წინადადება, რომ 31 იანვარს რიგაში დაწყებულიყო მოლაპარაკება ფოსტა-ტელეგრაფისა და სარკინიგზო მიმოსვლის, და აგრეთვე ტრანზიტის შესახებ.**

თავის პასუხში ვოლდემარასი აღნიშნავს, რომ პოლონეთმა დღემდე არ **შეასრულა მის მიერ ჟენევაში გაცემული დაპირებები**, სახელდობრ: ვილნოდან გაძევებულ ლიტველებს დღემდე არ მიუღიათ უკან დაბრუნების საშუალება. ემიგრანტების ჯარის ორგანიზაცია პლეჩკაიტისის მეთაურობით დღემდე არ არის დაშლილი, ეს ჯარი, რომელიც პოლონელებმა გამოაწყვეს ლიტვის სამხედრო ფორმაში, დღემდე მოთავსებულია პოლონეთის სამხედრო ყაზარმებში ლიდაში. შემდეგ ვოლდემარასი აღნიშნავს, რომ პოლონეთის წინადადებებში არ მოიპოვება რაიმე კონკრეტიული პროექტები, რომლებიც აუცილებლად საჭიროა წარმატებით მოლაპარაკებისათვის. რაც შეეხება განსახილველ საკითხებს, ლიტვის მთავრობა წინადადებას იძლევა, რომ მათ დაემატოს საკითხი იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მოუვიდა ლიტვას, პოლონელების მიერ ვილნოს გაპყრობის გამო. მოლაპარაკების ადგილისა და დროის შესახებ ვოლდემარასმა განაცხადა, რომ ამ საკითხის გადაჭრა იმაზეა დამოკიდებული—ეს მოლაპარაკება იწარმოებს ერთა ლიგის წარმომადგენლის მონაწილეობით, თუ დამოუკიდებლად“ (ადს).

„დეილი უორკერ“-ის კორესპონდენტის გადასახლება

ნიუ-იორკი, 18 იანვარი. უორკერს პარტიის (კომუნისტური პარტია) ორგანოს „დეილი უორკერ“-ის ცნობით, კუბის რესპუბლიკის მთავრობამ გადასწყვიტა დააპატიმროს და გადაასახლოს „დეილი უორკერ“-ის გავანელი კორესპონდენტი — უნგრელი ემიგრანტი **ზოლტანა ვეისი**. გადაწყვეტილია ვეისის გადასახლება უნგრეთში, სადაც მას სდევნიან როგორც დამნაშავეს „მთელ რიგ პოლიტიკურ ბოროტმოქმედების“ ჩადენაში. (ადს).

ყალბი საბუთების დამამზადებელი მოსტყუვდა

ნიუ-იორკი, 18 იანვარი. „დეილი უორკერ“-ი ათავსებს **ნოსოვიცკის** (რომელიც ანტი-საბჭოთა ჯაშუშობას ეწევა) კერძო საიდუმლო საგენტოს წერილის ფოტოგრაფიულ ასლს, საიდანაც სჩანს, რომ ნოსოვიცკი უნგრეთის ელჩს ჩრ.-ამერიკის შეერთებულ შტატებში აწვდიდა სხვადასხვა ყალბ საბუთებს. გაზეთის სიტყვით, ნოსოვიცკიმ უნგრეთის ელჩს სხვა ყალბ საბუთებთან ერთად მიჰყიდა ისეთი საბუთებიც, რომლებსაც უნდა დაემტკიცებია, რომ თითქოს ჩრ. ამერიკის შეერთებულ შტატების მუშათა ორგანიზაციებმა გრაფ კაროლისა და უნგრეთის სხვა ემიგრანტებთან ერთად „მოაწყვეს შეთქმულება ხორტის (უნგრეთის უზენაესი მმართველი) წინააღმდეგ. ამ დოკუმენტების ჯილდოთ ნოსოვიცკის უნდა მიეღო 100.000 დოლარი, მაგრამ უნგრეთის ელჩმა, მიიღო რა საჭირო ყალბი საბუთები, არაფერი არ მისცა ნოსოვიცკის (ადს).

სპარსეთის დელეგატი

ანტი-იმპერიალისტური ლიგის კონგრესზე

მოსკოვი, 19 იანვარი. 17 იანვარს მოსკოვიდან სპარსეთში გაემგზავრა სულეიმან მირზა, რომელიც ბრიუსელიდან იყო ჩამოსული. ბრიუსელში ის მონაწილეობას ღებულობდა იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ლიგის კონგრესის მუშაობაში, როგორც სპარსეთის დელეგატი. სულეიმან მირზას გამოსვლამ კონგრესზე, განსაკუთრებით მისმა პროტესტმა ინგლისის იმ უკანასკნელი მოთხოვნილებების წინააღმდეგ, რომლებიც მან სპარსეთის მთავრობას წაუყენა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სულეიმან-მირზამ გამოააშკარავა ინგლისის იმ პრეტენზიების სრული უსაფუძვლობა, რომლებიც ეხებოდა ვალების კონსოლიდაციას, იმ ვალების, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს არასოდეს არ სცნობს და სპარსეთის მთავრობა, ინგლისის საჰაერო ხაზის გაყვანას სამხრეთ სპარსეთის ნავთსადგურებიდან, სპარსეთის მიერ ირაქის ცნობას და ინგლისის მიერ დაყენებულ შეიხ ხეზალის უფლებებში აღდგენას.

მოსკოვში სულეიმან-მირზა გაეცნო კოოპერაციის საქმეს და ინახულა რ.ს.ფ.ს.რ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ლეჟავა, „ცენტროსოიუზის“ ხელმძღვანელები, დასავლეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. კამენევა და მთელი რიგი სამეურნეო მუშაკები.

სულეიმან მირზამ ვიზიტი გაუკეთა აგრეთვე ამხ. ჩიჩერინს, კარახანს და როტშტეინს.

ერთა ლიგის „კაცთმოყვარეობა“

ვაშინგტონი, 18 იანვარი. ერთა ლიგასთან არსებულ შრომის საერთაშორისო ბიუროს ვაშინგტონის განყოფილებამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ ერთა ლიგის კომისიას ლტოლვილთა საკითხის შესახებ განზრახული აქვს გაგზავნოს არგენტინასა და სამხრეთ ამერიკის სხვა ქვეყნებში ის რუსი თეთრგვარდიელი ემიგრანტები, რომელთაც ოსმალეთის მთავრობა ასახლებს სტამბოლიდან. ერთა ლიგის კომისია—ნათქვამია ცნობაში,—მოუწოდებს ამერიკელებს შეწირულება გაიღონ ლტოლვილების დამხმარე ფონდის სასარგებლოდ (ადს).

გერმანიის მელითონეები მტკიცედ არიან

ბერლინი, 18 იანვარი. 18 იანვარს მაგდებურგში გაიმართა გაფიცულ მელითონეების კრება. კრებამ გამოიტანა დადგენილება სამუშაო ხელფასის გადიდების მოთხოვნილების ურყევად გატარების შესახებ. კომუნისტების ლოზუნგი—მოუწოდონ ყველა წარმოებებს ბრძოლისაკენ და განაგრძონ გაფიცვა მიუხედავად სამედიატორო სასამართლოს სავალდებულო გადაწყვეტილებებისა და რეფორმისტების წინააღმდეგობისა—მიღებულია ერთხმად. ზოგიერთ ადგილებში, სადაც გაფიცვაა გამოცხადებული, უკიდურესმა ფრონტელებმა მოაწყვეს დემონსტრაცია პროფკავშირების მემარჯვენე ოპოზიციონური უმცირესობის ლოზუნგებით. (ადს).

„ნაციონალური პოლიტიკა“ პოლონეთში

ვარშავა, 18 იანვარი. ლვოვის უკრაინელთა წრეებში აღშფოთებული არიან ლვოვის უნივერსიტეტის რექტორის მოქმედებით, რომელმაც სტუდენტები—უკრაინელები გამორიცხა უნივერსიტეტიდან იმიტომ, რომ ის უნივერსიტეტში გამოცხადდა უკრაინული ქუდით. უკრაინელი სტუდენტების მიერ ეროვნული ქუდების ტარების ნიადაგზე უკვე არა ერთხელ ჰქონდა ადგილი სისხლისმღვრელ შეტაკებას პოლონეთისა და უკრაინას ახალგაზრდობას შორის (ადს).

ტროცკისტების ანტი-საბჭოთა მუშაობის ალკვეთა

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობა

მოსკოვი, 19 იანვარი. საბჭოთა კავშირის მთავრობის ორგანოებმა გამოარკვიეს, რომ მთელ რიგ პირებმა, რომლებიც ემხრობიან საკავშირო კომპარტიის მეხუთმეტე ყრილობის მიერ პარტიიდან გამორიცხულ ტროცკისტებსა და საპრონოველების ოპოზიციონერულ ჯგუფებს, ყრილობის შემდეგ დაუყოვნებლივ დაიწყეს არალეგალური ანტი-საბჭოთა მუშაობა, რომელიც გამოიხატა არალეგალურ ორგანიზაციის შექმნის და მთელ რიგ ანტი-საბჭოთა გამოსვლების მომზადების ცდაში. ტროცკისტებმა მჭიდრო კავშირი გააბეს უცხოეთის ბურჟუაზიის მოსკოვში მყოფ წარმომადგენლებთან, რომელთა საშუალებით ისინი საზღვარგარეთ გზავნიდნენ „მასალებს" და ყალბ ცნობებს და კავშირს იჭერდენ თავის თანამოაზრეებთან საზღვარგარეთ.

ტროცკისტების და საპრონოველთა დანაშაულებრივ ანტი-საბჭოთა არალეგალური მუშაობის აღმოჩენის გამო საჭიროდ იქნა (ცნობილი, როგორც მინიმალური ღონისძიება პროლეტარულ სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად) ამ „ჯგუფების" 30 აქტიური მონაწილის, მათ შორის **ტროცკის, ი. ნ. სმირნოვის, სერებრიაკოვის, რადეკის, მურადოვის, ბელობოროდოვის საპრონოვის, ვ. მ. სმირნოვის, სმილგას, ვარდინის, საფაროვის, სოსნოვსკის** და სხვა. გადასახლება მოსკოვიდან. მთელ რიგ სხვა პირებს (რაკოვსკის, ბოგუსლავსკის, დრობნისს და სხვა). წინადადება მიეცათ დასტოვონ მოსკოვი).

რაც შეეხება ოპოზიციონერ ბლოკიდან გამოსულ **ზინოვიევს, კამენევს** და სხვა.; როგორც საკავშირო დეპეშათა სააგენტოს აცნობეს, ვინაიდან მათ განაცხადეს, რომ ემორჩილებიან საკავშირო მეხუთმეტე ყრილობის ყველა გადაწყვეტილებებს და პირობებს, ისინი პარტიული ორგანოების მიერ გაგზავნილ იქნენ მოსკოვიდან სხვა ადგილზე სამუშაოდ (ადს).

ა.-კ. რესპუბლიკების სამრეწვ.-ფინანსიური გეგმები

მოსკოვი, 19 იანვარი. სამრეწველო-ეკონომიურ სამმართველოს კოლეგიის სხდომაზე განხილულ იქნა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სამრეწველო-ფინანსიური გეგმები 1927—28 წლისათვის.

აზერბეიჯანის მრეწველობის სამრეწველო-ფინანსიური გეგმა ითვალისწინებდა კაპიტალურ ხარჯებს 9.800.000 მანეთის რაოდენობით. კოლეგიამ ეს გეგმა დაამტკიცა 9.200.000 მანეთის რაოდენობით.

სომხეთის მრეწველობის სამრეწველო-ფინანსიურ გეგმით გათვალისწინებული იყო 7.158.000 მანეთი კაპიტალური ხარჯები. სამრეწველო-ეკონომიურ სამმართველოს კოლეგიამ გეგმა დაამტკიცა 6,5 მილიონ მანეთის რაოდენობით.

საქართველოს მრეწველობაში პროდუქციის ზრდა წარსულ წელთან შედარებით, გათვალისწინებულია 38 პროცენტით. საქონლის პროდუქციის საერთო ღირებულება გაიზრდება 22.900.000 მანეთიდან 28.500.000 მანეთამდე. საკონტროლო ციფრებთან შედარებით იზრდება კაპიტალური ხარჯები საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტზე, ხის დამმუშავებელ ქარხანაზე აჭარაში, ქაღალდის ფაბრიკაზე და საფეიქრო მრეწველობაზე.

სამრეწველო-ეკონომიურ სამმართველოს კოლეგიამ კაპიტალურ სამუშაოთა გეგმა მიიღო 7.760.000 მანეთის რაოდენობით, საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს გეგმით გათვალისწინებულ 11.400.000 მანეთის წინააღმდეგ. ვინაიდან აღნიშნული თანხა კაპიტალურ ხარჯებისა სჭარბობს საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულ თანხას, გადაწყდა აღიძრას საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე საკითხი დამატებით ასიგნობათა შესახებ ფინანსების მიწოდების საერთო თანხა მიღებულია 8 მილიონ მანეთის რაოდენობით.

ა.-კ. პროლეტ. მწერალთა ყრილობა

პირველი დღე

ყრილობის გახსნა

გუშინ, ნაშუადღევის პირველ საათზე ხელოვნების სასახლეში გაიხსნა ა.-კ. პროლეტ. მწერალთა პირველი ყრილობა.

პრეზიდიუმი

ყრილობამ პრეზიდიუმში აირჩია შემდეგი ამხანაგები: მამია ორახელაშვილი, ავერბახი, კახიანი, თოდრია, ალაზანი, ბუაჩიძე; ვართანიანი, აგასი, ვართანიანი ანუშევან, გუსეინოვი, კრეიტანი, ბაზარლი, გუსტან-ზადე, სუტირინი, ეული, ჩარენცი და ზარინი.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ სიტყვა მოხსენებისთვის მიეცა ამხ. მამია ორახელაშვილს, რომელსაც ყრილობა მქუხარე ტაშის ცემით შეხვდა.

ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება

ამხ. მამია ორახელაშვილი ა.-კ. პროლეტარულ მწერალთა ყრილობას ესალმება საქ. კომპარტიის ამიერ - კავკასიის სამხარეო კომიტეტის სახელით და ამბობს: კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს ა.-კ. პროლეტარულ მწერალთა ყრილობას, რომელიც მოწოდებულია საფუძველი ჩაუყაროს ა.-კ. ერთა კულტურულ გაერთიანების საქმეს ა.-კ. პროლეტარულ მწერალთა გაერთიანება უნდა გახდეს ის თესლი, რომელზედაც აღმოცენდება ახალი კულტურის ჯეჯილი.

შემდეგ მომხსენებელი გადადის კულტურული რევოლუციის პრობლემებზე და ამბობს: ცნობილ მწერალ კოროლენკოს ანცვიფრებდა ის გარემოება, რომ ბოლშევიკები ხელისუფლების აღებისთანავე ამყარებდენ წესრიგს და მშვიდობიანობას, ებრძოდენ ძარცვა - გლეჯას, მაგრამ მშვიდობიანობის დამყარებისთანავე იგივე ბოლშევიკები ქმნიდენ ჩრეზვიჩაიკებს თავის მტერთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მას შეუძლებლად მიაჩნდა სოციალისტური მიზნების შეთავსება ძალადობასთან. ცხადია, ხალხოსანი მწერალი ვერ ითვალისწინებდა, რომ ბოლშევიკები იბრძოდენ არა მარტო ხელისუფლების დასაპყრობად, არამედ იმიტომ, რომ ეს ხელისუფლება გამოეყენებიათ ყოველგვარი ძალადობის, ყოველგვარი ექსპლოატაციის და ჩაგვრის მოსასპობლად. ეს ასეც მოხდა. როგორც კი ახალი ხელისუფლება პოლიტიკურად განმტკიცდა პირველ რიგში დადგა ქვეყნის სამეურნეო აღდგენის ამოცანა — მან [illegible] დაასახა მოიპოვებია გამარჯვება სამეურნეო ფრონტზედაც და ეკონომიურად გამტკიცებია ახალი პოლიტიკური წყობილება: ჩვენი უკანასკნელი წლები წარმოადგენდა შეუწყვეტელი მუშაობის წლებს მეურნეობის აღდგენის ფრონტზე. დღეს უკვე თვალსაჩინოა ამ მუშაობის შედეგები. ჩვენ არა თუ აღვადგინეთ ჩვენი სახალხო მეურნეობა ომის წინად არსებულ დონემდე, არამედ უკვე შევუდექით მუშაობას ახალ საფუძველზე.—შევუდექით ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, რომელიც ურყევ საფუძველს ჩაუყრის პროლეტარიატის დიქტატურას. ეხლა, როცა უზრუნველყოფილია ჩვენი სახალხო მეურნეობის წარმატება. ჩვენს წინაშე ისმება საკითხი კულტურული მშენებლობისა, რომელიც ორგანიული ნაწილია ჩვენი საერთო აღმშენებლობის. ჩვენ მოწმენი ვხდებით დიდი კულტურული რევოლუციის დაწყების, რომელიც ჩვენი სამეურნეო წარმატებების შედეგია. კულტურული რევოლუცია არ არის ერთი და ორი თვის საქმე. და ჩვენ გვმართებს ნათლად წარმოვიდგინოთ მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომ ვიყვნეთ ამ რევოლუციის აქტიური ძალები. ახალი კულტურის ყოველ აღმშენებელმა უნდა შეიგნოს, რომ კულტურა ჩვენი არსებობის პურია, ურომლისოდაც შეუძლებელია ჩვენი წინსვლა ეკონომიურად. კულტურული რევოლუციისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია მწერლობას. მწერლობა არ უნდა ჩაიკეტოს ვიწრო ფარგლებში მან ქვეყნის ყველა აქტიურ ძალებთან ერთად უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღოს კულტურულ მშენებლობაში. ამ დიდი ამოცანის განხორციელების დროს ჩვენ მრავალ დაბრკოლებებს გადავეყრებით. და პროლეტარულ მწერლობასაც დღეს უკვე შესწევს საკმაო ძალა, რომ იყოს ერთი — პირველთაგანი ამ სიძნელეებთან ბრძოლაში. პროლეტარული მწერლობა ამ უკანასკნელ ხანებში იმდენად გაიზარდა, იმდენად მომწიფდა, რომ იგი უკვე სერიოზულ კულტურულ ძალას წარმოადგენს, რომელიც გავლენას ახდენს კულტურის ფრონტზე წარმოებულ ბრძოლაზე. ჩაქუჩსა და ნამგალს, რომელიც ჩვენი ქვეყნის მთავარი მშენებელნი არიან, ემატება კალამიც, რომელმაც ერთად უნდა ააშენოს ახალი ქვეყანა და მედგრად ეკვეთოს მტერს, რომელიც ცდილობს ჩვენი წინმსვლელობის შეფერხებას. პროლეტ. მწერლობა უნდა აღიჭურვოს ახალი ენერგიით. და თანაბარი პროპორციით ასახოს ჩვენი ცხოვრების ნათელი და ბნელი მხარეები. დღეს - დღეობით ჩვენი მწერლობა განიცდის თავისი ძალების პირველ დაგროვების პროცესს. იგი ეხლა იბადება, ახლად იქმნება. ზრდა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს და ამ ზრდის პროცესს თან სდევს თავისი ნაკლიც. ამ გარემოებას უნდა მიაქციოს მწერლობამ ყურადღება, რომ იგი გახდეს დიდ კულტურულ მოვლენად. პირველ ყოვლისა, პროლეტარულ მწერლობამ უნდა უკუაგდოს მედიდურობა, გაზვიადებული წარმოდგენა თავის თავზე და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს თავის აღზრდას, თავის - თავის დამუშავებას. ნურც ერთი პროლეტარული მწერალი ნუ იფიქრებს, რომ მან მიაღწია მიუღწეველს და იგია უბადლო შემოქმედი და ისეთი დიდი მწერალია, რომელსაც არაფერი შესასწავლი არ დარჩენია. ამ გზას პროლეტ. მწერლობა უნდა დაადგინოს იმ კავშირმა, რომელიც მათ სახელმძღვანელოთ იქნება. მეორე გარემოება, რომელიც ამ თავითვე უნდა გაითვალისწინოს პროლეტარულმა მწერლობამ, ეს არის ეროვნული კულტურის საკითხები. ა.-კ. მწერლობას მართებს განსაკუთრებული სიფრთხილე. ჩვენ — კომუნისტები ვიცავთ ეროვნულ კულტურის წინააღმდეგ იმ „კოსმოპოლიტების" მტკიცებისა, რომლებიც უარყოფენ ეროვნულ კულტურას. ერის 95 პროც. მუშები და გლეხები არიან და ამ მუშებისა და გლეხებისაგან შექმნილი კულტურულ ღირებულებას ჩვენ დავიცავთ. ნაციონალური კულტურა შექმნილია ხალხის მიერ რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში და სათანადო გაწმენდისა და გასუფთავების შემდეგ ჩვენ მას შე[illegible] ჩვენს ინტერნაციონალურ სალაროში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველგვარი ნაციონალური ჩვენ სათაყვანებელ საგნად გავხადოთ. ვღებულობთ რა რაიმე განძს ეროვნულ კულტურიდან. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ იგი და შევქმნათ ახალი კულტურული ღირებულება. რომელიც იქნება საერთო — ინტერნაციონალური მთელი კაცობრიობისათვის. ინტერნაციონალი არის არა სხვადასხვა ერთა ნაციონალიზმის კრებული არამედ ეროვნულ კულტურათა საერთო გაზიარება, ეროვნულ განცალკევებისაგან თავის დაღწევა. ამ ნაციონალური განმარტოებისაგან თავის დაღწევა უნდა დაისახოს მიზნათ ამიერ-კავკ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ. რომლის შესაქმნელად მოწვეული ყრილობა მოასწავებს, რომ მალე ა.-კ. პროლეტარულ მწერალთა კვალს გაჰყვება ჩვენი ქვეყნის სხვა კულტურული ძალები: ამიერ - კავკას. პროლეტარულ მწერალთა ყრილობა, ისტორიული ყრილობაა რომელიც შედეგია ჩვენი პარტიის გამარჯვების. პარტიის ხელმძღვანელობით, პარტიასთან და იმ კლასთან ერთად, რომელსაც იგი მეთაურობს, თქვენ მიაღწევთ იმ მწვერვალს, რომლის გადაღმა იწყება უკლასო კომუნისტური წყობილება (ტაში).

საღამოს სხდომა

ამხ. ხუტირინის მოხსენება

საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ხუტირინის მოხსენება ამიერ-კავკასიის ლიტერატურული ცხოვრების შესახებ. ვიდრე თანამედროვე ლიტერატურას შეეხებოდა, მომხსენებელმა მოკლე მიმოხილვა გაუკეთა ა.-კ. ერების ლიტერატურულ მოძრაობას რევოლუციამდე, დაახასიათა ის სოციალურ-ეკონომიური პირობები, რომელშიაც ვითარდებოდა ლიტერატურული ცხოვრება 1917 წლამდე. შემდეგ მომხსენებელი გადავიდა გასაბჭოების შემდეგ ამიერ-კავკასიაში შექმნილ ლიტერატურულ მდგომარეობაზე და დაახასიათა ის პოზიციები, რომელიც სხვადასხვა ლიტერატურულმა ჯგუფებმა დაიკავეს საბჭოთა ხელისუფლების მიმართ.

შეეხო რა ლიტერატურულ ჯგუფების თანდათანობით ევოლიუციას ახალ პირობებში, მომხსენებელი შეჩერდა ლიტერატურულ თანამგზავრობაზე და განაცხადა, რომ თანამგზავრობა ამიერ-კავკასიის ყველა ერებში ჯერჯერობით წარმოშობის პროცესში იმყოფება და საგრძნობი შედეგები ლიტერატურული პროდუქციის თვალსაზრისით მას არ მოუცია.

თავის მოხსენების მეორე ნაწილში მომხსენებელი შეეხო პროლეტარული ლიტერატურის განვითარებას ამიერ-კავკასიაში. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ პროლეტარული ლიტერატურის წარმოშობა ამიერ-კავკასიაში ჯერ კიდევ რევოლუციის წინა პერიოდს ეკუთვნის, მაგრამ პროლეტარული მწერლობა, როგორც მასიური მოძრაობა, წარმოიშვა მხოლოდ ა.-კ.-ის გასაბჭოების შემდეგ. საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების და ახალი სოციალისტური მშენებლობის გაძლიერების შემდეგ, ჩვენში პროლეტარიატი მატულობს. ამ მხრივ პროლეტარული ლიტერატურის ბაზაც იზრდება. ცხადია ეს გარემოება ხელს უწყობს პროლეტარული ლიტერატურის განმტკიცებას.

ამხ. ხუტირინის მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. გუსეინოვმა, აბოვმა და სიმონიანცმა.

— **დღეს,**—საღამოს ა.-კ. პროლეტმწერალთა ყრილობის საღამოს სხდომის დამთავრების შემდეგ შესდგება საქართველოს პროლეტ. მწერალთა ასოციაციის ახალი გამგეობის პლენუმი.

სამ. პროფსაბჭოს პლენუმი

გუშინ საღამოს პროფსაბჭოს შენობაში ამხ. გ. ყურულაშვილის თავმჯდომარეობით გაიხსნა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მორიგი პლენუმი. პლენუმმა დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1. კოლექტიური ხელშეკრულების დადების შედეგები, 2. შრომის დაცვის განყოფილების მოხსენება, 3. პროფსაბჭოს პლენუმის მოწვევის ვადის შესახებ, 4. უმუშევრობის დროს დაზღვევისა და დახმარების შესახებ, და 5 ორგანიზაციული საკითხები.

კოლექტიურ ხელშეკრულების დადების შედეგები

მომხსენებელი ამხ. ხვედელიძე

წლევანდელი კოლხელშეკრულებათა დადების კამპანია,—ამბობს მომხსენებელი,—განსხვავდებოდა წინა წლებისაგან. პირველ ყოვლისა, თვით კამპანიის ჩატარების ვადა მკაცრად იყო განსაზღვრული. შემდეგ,—ამ კამპანიასთან იყო დაკავშირებული ხელფასის რეფორმის ჩატარება და დასახულ, ახალ ხელშეკრულებებში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო შრომის დაცვის პირობების უფრო მეტი გაუმჯობესება, უფლებრივი მდგომარეობის გაფართოვება და სხვა.

პირველ რიგში კავშირებს მოუხდა წინათ დადებულ ხელშეკრულების ვადის კიდევ სამი თვით გაგრძელება. ვინაიდან დირექტივების მიღება ცენტრიდან დაგვიანდა—კავშირებს გარკვეული მუშაობა არ უწარმოებიათ. როგორც კი დირექტივები მიღებული იქნა, დაიწყო მუშათა ფართო კრებების მოწვევა, რომელზედაც კეთდებოდა სათანადო მოხსენებები კოლხელშეკრულებათა დადების შესახებ. დირექტივები მიღებულ იქნა ოქტომბერში და ოქტომბრის დამლევიდან დაიწყო ხელშეკრულებათა დადების კამპანია. კოლხელშეკრულების სისწორით გასატარებლად, შეტანილი იქნა გეგმიანობა ხელფასის გადიდების საკითხში. გადაწყდა ხელფასის ფონდების გადიდება ცალკე წარმოების მიხედვით. თვით წარმოების ხელფასის ფონდის შინაგანი განაწილება დაეკისრათ კავშირებს ადმინისტრატიულ აპარატთან ერთად. კოლხელშეკრულებათა დადების კამპანიას ართულებდა ის გარემოება, რომ წელს პარალელურად უნდა ჩატარებულიყო ხელფასის სისტემის რეფორმა, რაც გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა, რადგან ხელფასში უკანასკნელ დრომდე გრძელდებოდა დიდი უთანაბრობა. გარდა ამისა, ხელფასის ძველი სისტემა ვერ აკმაყოფილებდა ყველა დაქირავებულ მუშის მოთხოვნილებას. ამიტომ, ხელფასის ნორმები ცალკე ჯგუფებისათვის დამოუკიდებლად იქნენ შედგენილნი. აღსანიშნავია, აგრეთვე ის, რომ ამ რეფორმით გადიდდა სატარიფო განაკვეთების მონაწილეობა ხელფასის საერთო რაოდენობაში. ხელფასის რეფორმის ჩატარება ყველგან ვერ მოხერხდა. ჯერ-ჯერობით რეფორმა ჩატარებულია მელითონეთა, სამთომადნო მუშათა, ქიმიკოსთა, მბეჭდავთა, ხის დამმუშავებელთა და მკერავთა კავშირებში. ზემოხსენებულ კავშირებში ხელფასის რეფორმა შეეხო მუშებსა და ნაწილობრივ შეგირდებს. დანარჩენ ჯგუფებისათვის რეფორმა ახლო მომავალში ჩატარდება. ხელფასის რეფორმის მომზადებას დიდი მუშაობა დასჭირდა, რისთვისაც მოწვეული იყო მთელი რიგი თათბირების.

კოლხელშეკრულებათა შედგენის დროს გათვალისწინებულ იქნა გასული წლების შეცდომები. კოლ. ხელშეკრულებათა პროექტები იმასწარ დაამუშავეს კავშირებმა და განსახილველად წარუდგინეს მუშა-მოსამსახურეთა ფართო კრებებს. კრებები გაცხოველებით მიმდინარეობდა. განსაკუთრებით აქტივობას იჩენდენ ჩამორჩენილ ხელფასის ჯგუფები. ადმინისტრაციასთან შეთანხმების დროს მოლაპარაკების გაჭიანურებას ადგილი არ ჰქონია.

ცალკე კავშირების მიხედვით კოლხელშეკრულებათა დადებას ასეთი შედეგი მოჰყვა:

კომუნალურ მეურნეობის მუშათათვის (ტრამვაის მუშებისა და სხვებისათვის) ხელფასის ფონდი გადიდდა 5 პროც., წყალსადენის მუშებისათვის 5 პროც., მეტყევეებისათვის—7 პროც.. მებეჭდავებისათვის 4 პროც., მელითონეებისათვის—6,5 პროც., სამთამადნო მრეწველობის მუშებისათვის—ტყიბულის მუშებისათვის 11 პროცენტით, დანარჩენებისათვის (ბარიტზე, ინფუზორიტზე, თიხაზე მომუშავეებისათვის) 10 პროცენტით. ფეიქრებს ხელფასის ფონდი გაუდიდდათ 10 პროცენტით., მკერავებს 7 პრ., გემთ-კავების მუშებს 7 პროც., ქიმიკოსებს 8 პროც., მინა-ტყის მუშებს 10 პროც. (სახალხო მამულებში 8 პროც.), ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეებს 6 პროც., მშენებლებს 8 პროც..

რასაკვირველია კავშირებს შიგნით ფონდის განაწილების დროს ხელფასი უფრო მეტად გაუდიდდათ ჩამორჩენილ ჯგუფებს. ასე მაგალითად, აგურის ქარხნების მუშების ხელფასის ფონდი გადიდდა 8 პროც., მაგრამ ამ წარმოების ჩამორჩენილ ჯგუფების ხელფასს მოემატა 22 პროც..

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირმა სხვა კავშირებთან შედარებით რთული მუშაობა ჩაატარა. ჯერ-ჯერობით მას აქვს დადებული 95 კოლხელშეკრულება სახელმწიფო დაწესებულებებთან. ხელშეკრულებები დადებულია აგრეთვე კოლექტიურ ორგანიზაციებთან. საბჭოთა მუშაკების კავშირის ხაზით შემცირებულია გენერალურ ხელშეკრულებათა რიცხვი. იმავე კავშირის ხაზით შეცვლილია აგრეთვე ხელფასის სისტემა. შემოღებულია თანამდებობითი ხელფასი.

ყველა კავშირების ხაზით დღემდე დადებულია სულ 250 კოლხელშეკრულება, რომელიც აწესრიგებს 80.000 მუშის ხელფასს. მუშათა ახალი ხელშეკრულებით უფლებრივი მხარეები გაფართოვებულია, შეღავათები უცვლელი დარჩა, შემოღებულია გასასვლელი გასამრჯელო (დათხოვნის დროს). შრომის ავანსი და გათვალისწინებულია შრომის დაცვის საკითხების მოწესრიგება, რაც ფრიად მნიშვნელოვანია. მომატება უმთავრესად შეეხო ჩამორჩენილ ჯგუფებს და მთელ რიგ წარმოებებს (მაგალითად ტყიბული), სადაც ხელფასი საერთოთ მცირე იყო, სამუშაო ნორმები შეიცვალა იმ წარმოებებში, სადაც გადიდდა სატარიფო განაკვეთის მონაწილეობა საშუალო ხელფასში. ხელშეკრულებით მოწესრიგებულია ინჟენერ-ტეხნიკოსთა შრომის საკითხებიც.

დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს ხელშეკრულებათა დადების კამპანიის ნაკლს. პირველ ყოვლისა, ხელშეკრულებები დროზე ვერ დაიდო: კამპანია უნდა დამთავრებულიყო 15 დეკემბერს, დამთავრდა კი იანვრის შუა რიცხვებში; უთანაბრობა სხვადასხვა ჯგუფებს შორის ვერ გამოსწორდა; ჩამორჩენილი ჯგუფები მაინც დარჩა. ზოგ ადგილას შემჩნეული იყო კამპანიის დადების გაჭიანურების შემთხვევები.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ამხ. შესტოვი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი სამეურნეო მუშაკები ძალიან აჭიანურებენ კოლხელშეკრულებათა დადებას. ამხ. ავაქოვი ამბობს, რომ კამპანია სასწრაფოდ ჩატარდა და ამიტომ ყველა საკითხები ვერ მოწესრიგდა. ახალმა სატარიფო რეფორმამ მრავალი შეცდომები გამოააშკარავა, როგორიც არის მაგ. ხელფასის დიდი განსხვავება, რაც ხელს უშლიდა რეფორმის გატარებას. კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხ. **ჩხარტიშვილმა, ხაჩიძემ, ბუაძემ, მჟავლიძემ** და სხვ..

ამხ. ხვედელიძის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია ხელშეკრულებით მიღწეული მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება და აგრეთვე დასახულია ღონისძიებები შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლად. რეზოლიუცია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ხელფასის რეფორმის ჩატარებას და შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

შრომის დაცვა

მომხსენებელი ამხ. ელბაქიანი

შრომის დაცვის შესახებ გამოცემული დირექტივები გვავალებდა გაგვეუმჯობესებინა შრომის პირობები, გვეწარმოებინა ბრძოლა ზედმეტ მუშაობასთან, უბედურ შემთხვევებთან და მოგვეწესრიგებინა სპეცტანისამოსის საკითხი. შრომის დაცვის საკითხების მოსაწესრიგებლად ჩვენ გვყავს 18 შრომის ინსპექტორი, რომელთა შემადგენლობა ხშირად იცვლება, რაც მეტად აბრკოლებს შრომის დაცვის საქმეს. საერთოთ შრომის საკითხების მოწესრიგება, რომელიც დაკავშირებულია საერთო ეკონომიურ შესაძლებლობასთან, მეტად რთული ამოცანაა. ამიტომ, წინასწარ ჩვენ გვიხდებოდა შრომის დაცვის მდგომარეობის გამოკვლევა ცალკე დარგების მიხედვით და ჩვენი მუშაობის შეფარდება ამ მდგომარეობასთან. ამ გამოკვლევებით ჩვენ ასეთი შედეგები [illegible] ლითონის მრეწველობაში შრომის დაცვის საკითხები მოუწესრიგებელია: არ არის ვენტილიაცია, ტანისამოსის გასახდელი, დასაბანი და სხვა. შრომის პირობების გაუმჯობესებას მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანში მიაქციეს ყურადღება. ასეთი მდგომარეობაა ქიმიურ მრეწველობაში და ტყავის მრეწველობაში. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა გემთ-კავების წარმოებებში. ცუდი პირობებია საფეიქრო მრეწველობაში: აბრეშუმის ქარხნების ნაწილი შეუფერებელ ადგილებზეა აგებული და არც სათანადოდ მოწყობილია შრომის დაცვის თვალსაზრისით. პოლიგრაფიულ მრეწველობაში მდგომარეობა გაუმჯობესებულია. თუმც მრავალ სტამბას ჯერ არ მოეპოვება ტანისამოსის შესანახი განყოფილება, ხელ-პირის დასაბანი და სხვა. სხვა წარმოებებთან შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ტრამვაის მეურნეობაში. შრომის დაცვა მოუწესრიგებელია აგრეთვე აგურის ქარხნებში, სახაკლაოზე, წყალსადენში და სხვ. არ არის დამაკმაყოფილებელი პირობები ბორჯომის ტყის ქარხანაში და ავტონომიურ რესპუბლიკების წარმოებებში.

ამჟამად მიღებულია ზომები შრომის დაცვის პირობების გასაუმჯობესებლად და საამისოთ შედგენილია სათანადო გეგმები. საქ. მერ. უმაღ. საბჭოს მიერ უკვე გადადებულია 800.000 მანეთი შრომის დაცვის პირობების გასაუმჯობესებლად. ამავე საჭიროებისათვის აფხაზეთის და აჭარისტანის მთავრობის მიერ გაღებულია 26 ათასი მანეთი.

საერთოთ, წელს შრომის დაცვის გაუმჯობესებაზე დაიხარჯება 400.000 მანეთი.

ზედმეტ მუშაობასთან ენერგიული ბრძოლა სწარმოებდა და შემცირდა კიდეც. ზედმეტ მუშაობასთან საბრძოლველად საჭიროა უმუშევართა კვალიფიკაციის ამაღლება, რათა მათ შეძლონ შესცვალონ ზედმეტ საათებში მომუშავე მუშები.

უბედურ შემთხვევებთან ბრძოლის საკითხი არ არის მოწესრიგებული, თუმც უბედურ შემთხვევათა აღრიცხვის საქმე შედარებით გაუმჯობესებულია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტყიბულის მაღაროებს, მშენებლებს, ხეზე მომუშავეებს და სხვებს, რომელთა შორის უბედური მოვლენები ხშირია. შემდეგ მომხსენებელი ეხება სპეც-ტანსაცმელის საკითხს და ამბობს, რომ ტანისამოსის ღირსება არ არის დამაკმაყოფილებელი. ზოგს წარმოებებში კი სპეცტანისამოსის ნორმები არ სრულდება.

ამით დამთავრდა პლენუმის პირველი სხდომა.

მეორე სხდომა შესდგება დღეს, საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში.

პარტიული ცხოვრება

შორს ჩვენგან ტროცკისტები დეზორგანიზატორები

(საქ. კომპ. ც. საკ. კომისიისაგან)

საქართველოს კომპარტიის ცენტრ. საკონტროლო კომისიამ საქართველოს კომპარტიის რიგებიდან გამორიცხა ოპოზიციონური და ფრაქციულ-გამთიშველი მუშაობისათვის შემდეგი პირები:

თბილისის ორგანიზაცია: **ვაშაკიძე აბესალომ**—მუშა; **ბიბინეიშვილი ლიოლია**—მოსამსახურე; **ავროსიძე ბართლომე** — მუშა; **ჩეჩელაშვილი ალექსანდრე**—მოსამსახურე; **მეძმარიაშვილი მიხეილ**—მოსამსახურე; **კიკნაძე გიგო**—მოსამსახურე; **ჯალაღონია პეტრე** — მოსამსახურე; **სომროვ სტეფანოვი** —მოსამსახურე; **თუმანოვი ტატიანა**—მოსამსახურე; **ხუხუა ირაკლი**—მოსამსახურე; **გოგიჩაიშვილი სავლე** — მოსამსახურე; **ხუციშვილი ვლადიმერ**—მოსამსახურე; **ომიაძე გიორგი**—მუშა; **სვანიძე გრამიტონი**—მოსამსახურე; **კუხიაშვილი მიხეილი**—მოსამსახურე; **ნუცუბიძე გალაქტიონი**—მოსამსახურე; **კიკალეიშვილი პავლიკო**—მოსამსახურე; **ჯორბენაძე ბარბალე** —მოსამსახურე და **კიკნაძე ილია**—მუშა.

ქუთაისის ორგანიზაცია: **კახიძე ალექსი**—მუშა; **გალდავაძე მიტროფანე**—მოსამსახურე.

დუშეთის ორგანიზაცია: **ულენტი იოსებ**—მოსამსახურე.

სენაკის ორგანიზაცია: **პაპავა ნიკო**—შინამრეწველი; **პერტენავა ანდრია**—მოსამსახურე; **გრიგოლია ვარლამ**—მოსამსახურე; **კიზირია გრიგოლ**—შინამრეწველი; **ცინცაძე იულონ**—მოსამსახურე; **მირცხულავა ვლადიმერ**—გლეხი.

აჭარისტანის ორგანიზაცია: **ცხომელიძე ილია**—მოსამსახურე; **ბარსკი სამუელ**—მოსამსახურე; **გლადკოვი რომანი**—მოსამსახურე.

აფხაზეთის ორგანიზაცია: **ბენია ზოსიმე**—მოსამსახურე; **გოგოხია აკაკი** — მოსამსახურე; **დოლნაია სოფიო**—მოსამსახურე; **საჯაია მალაქია**—მოსამსახურე; **კაკუჩაია ნიკო**—მოსამსახურე; **შვეცოვი ვსევოლოდი**—მუშა; **შამბა ესტატე**—მოსამსახურე; **ხიოტი ივანე**—მოსამსახურე; **ავთანდილოვი ოვანეს**—მუშა.

კომკავშირში

თბ. ორგ. მე-15 სამაზრო საქალაქო კონფერენცია

მეორე სხდომა

ამხ. სილაძის მოხსენება

გუშინ დილის სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. სილაძის მოხსენება თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ.

მოხსენების დასაწყისში ამხ. სილაძე შეეხო წარმოებაში ჩაბმულ მუშა-ახალგაზრდობის ეკონომიურ მდგომარეობას და აღნიშნა, რომ შედარებით გასულ წელთან, საგრძნობლად გაუმჯობესდა მათი ეკონომიური მდგომარეობა. ამასთანავე, შესამჩნევად აიწია მუშათა ახალგაზრდობის კვალიფიკაციამ. ამასთანავე გაიზარდა შრომის ხელფასი. თუ 1925 წელში მოზარდი საშუალოდ იღებდა 19 მან. 44 კაპ., 1926 წელს იღებს 26 მან. 19 კაპ., 1927 წელში 28 მან. 92 კაპ.. ამრიგად საშუალო განაკვეთი 1925 წელში უდრიდა 26 მან. 34 კაპ., 1926 წელში—35 მან., 1927 წელში—49 მან. 19 კ..

შემდეგ მომხსენებელი გადადის მუშათა ახალგაზრდობის ჯავშნის საკითხზე და დასძენს, რომ ჩვენ ამ მხრივ არა თუ შემცირება, არამედ გადაჭარბებაც კი გვაქვს. მაგალითად 1926 წლის პირველ იანვრისათვის თუ გვეკუთვნოდა 5.5 პროც., შევსებული იქნა 6,4 პროცენტი. 1927 წლის 1 იანვრისათვის გვეკუთვნოდა 6,1 პროც., გვყავს 6,7 პროცენტი. გადადის რა მუშათა ახალგაზრდობის ჯანმრთელობის საკითხებზე, მომხსენებელი აღნიშნავს, ახალგაზრდობის საექიმო შემოწმება გვიჩვენებს, რომ 26 წელთან შედარებით მუშათა ახალგაზრდობის ჯანმრთელობა გაცილებით უკეთესია. საერთოთ კი დაავადებულია 1.378 კაცი. ავადმყოფობის უმთავრესი მიზეზები უნდა ვეძიოთ ცხოვრების უვარგის პირობებში. მაგალითად გამოკვლეულ ახალგაზრდობიდან .6 პრ. სცხოვრობს ნესტიან ბინებში. კომიტეტი ამ მხრივ ბევრს სცდილობდა, მაგრამ საერთო ბინის კრიზისი ამ მდგომარეობის გამოსწორების საშუალებას არ გვაძლევდა. რაც შეეხება საექიმო დახმარებას, ჩვენ გავგზავნეთ კურორტებზე 105 კაცი. დასასვენებელ სახლებში კი 630 კაცი.

პროფკავშირთა მუშაობის დარგში,—განაგრძობს მომხსენებელი,—ჩვენ საგრძნობი მიღწევები გვაქვს. ახალგაზრდობა დაუახლოვდა პროფმუშაობას და იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სხვადასხვა კომისიების მუშაობაში. საერთოთ, გამოცოცხლდა პროფკავშირებში ჩაბმულ უპარტიო ახალგაზრდობის მუშაობა. წელს გაცილებით მეტი რიცხვი არის გაყვანილი პროფესიონალურ ორგანოებში. ამასთანავე ჩვენი კავშირი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საწარმოო ცხოვრებაში. ის აღარ უყურებს წარმოებას ისე, როგორც უყურებდა წარსულში (დროზე მოსვლა და წასვლა). კომკავშირი აქტიურ მონაწილეობას იღებს საწარმოო თათბირების მუშაობაში, შეაქვს საქმიანი წინადადებები, რომლებიც ადმინისტრაციაში გამოძახილს პოულობენ.

შემდეგ ამხ. სილაძე ეხება უმუშევრობას და აღნიშნავს, რომ შრომის ბირჟაში სულ გატარებულია 1.202 უმუშევარი. ამათში შედის უპარტიო ახალგაზრდობა. ამათგან კომკავშირლებია—624 კაცი. უმუშევართა შორის უმრავლესობა ისეთებია, რომელთაც არავითარი კვალიფიკაცია არა აქვთ. ჩვენ უმუშევრობის წინააღმდეგ ვღებულობდით ყოველგვარ ზომებს. ვაგზავნიდით მათ შრომის კოლექტივებში, შინამრეწველთა წარმოებებში, ჯავშნის ხარჯზე და ვუწევდით მატერიალურ დახმარებას თბილისის კომიტეტიდან. დახმარების საერთო ჯამი უდრის 4109 მანეთს. საანგარიშო პერიოდში სულ სამუშაოზე გაგზავნილია 812 კაცი.

ეხება რა ორგანიზაციის ზრდას, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ორგანიზაცია გაიზარდა, როგორც რიცხვობრივად, ისე თვისობრივად. თუ მე-15 კონფერენციისათვის ირიცხებოდა 10.827 კაცი, ამჟამად გვყავს 13.774 კაცი. ამრიგად ორგანიზაცია გაიზარდა 2.551 კაცით. ახლად შემოსულნი შეადგენენ 23,1 პროცენტს, ქალები კი 14.9 პრ., ორგანიზაციის სოციალური მდგომარეობა ასეთია: მე-15 კონფერენციისათვის მუშები შეადგენდნენ 44,2 პროცენტს, ამჟამად კი 42,5 პროც. ეს გამოწვეულია ორგანიზაციის შეუჩერებელი მოძრაობით. მაგალითად მაზრებიდან ჩამოსულ 4.279 კაცში 31,2 პროც. მუშებია. ჩვენ კი ორგანიზაციაში სულ მივიღეთ 1652 კაცი. ამათში მუშებია 67,7 პროცენტი. თუ ავიღებთ ოქტომბრის გაწვევას თბილისის ორგანიზაციაში სულ მიღებულია მუშები დაზგიდან 548 კაცი. ეს ერთხელ კიდევ იმას ამტკიცებს, რომ გაიზარდა კომკავშირის ავტორიტეტი მუშათა ახალგაზრდობაში. რაც შეეხება ეროვნულ შემადგენლობას, თუ მე-[illegible] კონფერენციისათვის ქართველები შეადგენდენ 47,1 პროცენტს, მე-15 კონფერენციისათვის, შეადგენენ 50,5 პროცენტს. ამრიგად ორგანიზაცია იზრდება ძირითად მოსახლეობის ხარჯზე. პარტბირთვი ორგანიზაციაში შეადგენს 13,5 პროც. ეხლა კი ოქტომბრის გაწვევისათვის პარტიაში გადავრიცხეთ 910 კაცი. ამათგან 79 პროც. მუშებია. საგრძნობლად დაიკლო კომკავშირიდან ნებაყოფლობითი გასვლის შემთხვევებმა, თუ გასულ წელს გავიდა 52 კაცი, წელს გასულია მხოლოდ 17. გასულთა შორის უმრავლესობა ქალიშვილებია, რომლებიც გათხოვების შემდეგ შორდებიან ორგანიზაციას.

დასასრულ მომხსენებელი ეხება საუბნეო აქტივს და დასძენს, რომ თბილისის ორგანიზაციაში შესამჩნევად გაიზარდა მუშათა აქტივი. ჩვენი ბიუროებისა და ხელმძღვანელ ორგანოების შემადგენლობაში უმრავლესობას შეადგენენ მუშები.

მესამე სხდომა

საღამოს სხდომაზე გაგრძელდა ამხ. **სილაძის** მოხსენება თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ. მოხსენების მეორე ნაწილში ამხ. სილაძე შეეხო მუშაობას პოლიტგანათლების დარგში და დასასრულს კი ოპოზიციის დეზორგანიზატორულ მოქმედებას.

ამხ. სილაძის მოხსენების შემდეგ კონფერენციამ მოისმინა **ამხ. ფირსაკოვის თანამოხსენება** პიონერთა თბ. ბიუროს მუშაობის შესახებ.

დასასრულ მოსმენილი იქნა ამხ. **კიპრიზოვის** მოხსენება სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ.

დღეს დილის სხდომაზე მოხსენებათა გარშემო გაიმართება კამათი.

ვ. დ.

მეტი ყურადღება თვითკრიტიკას

თუ მეტი არა, ორი უკანასკნელი წელი მაინც, ე. ი. მეთოთხმეტე ყრილობის შემდეგ პარტიის უმთავრესი ყურადღება მიპყრობილი იყო ოპოზიციის გამხრწნელი და გამთიშველი მუშაობის აღმოფხვრისაკენ.

ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლას ორი მიზანი ჰქონდა: პირველი—ოპოზიციის დეზორგანიზატორული მოქმედების აღმოფხვრა და ამგვარათ მთლიანობის დაცვა, მისი საბოლოოთ შენარჩუნება. მეორე—თვით ოპოზიციონერების როგორმე პარტიის რიგებში შენარჩუნება არა როგორც ოპოზიციონერების, არამედ როგორც ნამდვილი ბოლშევიკების, რომლებმაც შესძლეს გამოფხიზლება, შესძლეს თავიანთი შეცდომების აღიარება და დაუბრუნდენ პარტიას. დღეს ბავშვმაც კი იცის, თუ რამდენჯერ შეეცადა პარტია და მისი უმაღლესი ორგანოები ამ უკანასკნელი მიზნის განხორციელებას. მაგრამ ამაოთ. ოპოზიციამ თავისი არ დაიშალა. პირიქით მან რამოდენიმეჯერ მოატყუა პარტია, არ შეასრულა საქვეყნოთ აღიარებული დაპირებები. კიდევ უფრო გააცხოველა გამთიშველი მუშაობა და ასე თვითვე დააყენა თავისი თავი პარტიის გარეშე, გაანიავა ის კაპიტალი, რომელიც მას ჰქონდა წარსულში.

ოპოზიციას მოერიით. პარტია დისკუსიიდან გამოვიდა მთლიანი და ურყევი, დეზორგანიზატორები განადგურდენ. ოპოზიციასთან ბრძოლის წარმოების პირველი მიზანი, რომლის შესახებ ზემოთ არის ნათქვამი—განხორციელებულია. არ განხორციელდა მხოლოდ პარტიის მეორე სურვილი—ბრძოლის მეორე მიზანი. და ამაში თვით ოპოზიცია არის დამნაშავე: ოპოზიციის აქტივისა და მისი გამთიშველი მუშაობის ორგანიზატორების საგრძნობი ნაწილი, რომელთაც წარსულში ჰქონდათ პარტიისადმი დამსახურება, ჰქონდათ წარსული, მოწყვეტილი აღმოჩნდენ პარტიისაგან. დაადგენ გადაგვარების გზას, ფეხქვეშ გასთელეს ბოლშევიკური პარტიის დისციპლინა. მისი წესდება და საბოლოოდ გაირიყეს თავისით თავი.

პარტიის ამდენი ხნის მოთმინება და სურვილი მათი პარტიის რიგებში როგორმე შენარჩუნებისათვის მათ ბოროტად გამოიყენეს.

მათ შორის არიან პარტიის ყოფილი ლიდერები, ხელმძღვანელები და აქტივისტები. რა სჯობდა? რა თქმა უნდა, სჯობდა ის, რომ ეს გზა-კვალ აბნეული ხალხი ამ ხნის განმავლობაში, პარტიის სურვილის თანახმად. გამოფხიზლებულიყო და დაბრუნებოდა პარტიას, მასთან ემუშავა.

მაგრამ, როგორც ზევით ვთქვით. ეს ასე აღარ მოხდა: ოპოზიციის ეს ნაწილი იმდენად გადაგვარებული აღმოჩნდა. მან ისეთ გამოუვალ ჩიხში მოიმწყვდია თავისი თავი, რომ უკან დაბრუნება და პარტიასთან მოსვლა ვეღარ მოახერხა და ამ ჩიხში სული აღმოხდა.

ლენინის პარტია ყოველთვის მაგრათ, შეუპოვრათ, ბოლშევიკურათ უსწორებდა თვალს ყოველგვარ სიძნელეს და გამარჯვებული გამოდიოდა. ამიტომ იგი ცრემლებს არ დააფრქვევს გარიყულთა და მოწყვეტილთა საფლავზე. პირიქით, იგი მთლიანობის დროშით ხელში ჩვეულებრივი ბრძოლის ჟინით გადააბიჯებს მასზე და გამარჯვების რწმენით სავსე, მედგრათ გასწევს წინ

მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ არ ვიქნებოდით ნამდვილი ბოლშევიკები, თუ არ ვიტყოდით, რომ ეს რაც [illegible] არ იყვეს მაინც დანაკლისი. ჩვენ სერიოზულად უნდა ვაფასებდეთ ყოველთვის თვითეულ მუშაკს. თვითეულ მებრძოლს ჩვენს რიგებში. სწორედ ამიტომ იყო, რომ პარტია დღემდის ასეთ მოთმინებას იჩენდა. ვისაც ეს არ ესმის, მას არ ესმის თუ რა არის პარტიის სიყვარული, მას არ გამოუცდია პარტიის სვე-ბედისათვის საკუთარი გულის ტკივილი, ის მართლაც „მისცურავს იქით, საითკენაც მიაქანებს მდინარე, მშვიდათ და არხეინათ". ეს ხომ საქმე არ არის. ესეც რომ არ იყოს, დიდი დანაკლისია ისიც, რომ პარტიამ ბევრი დრო მოანდომა ოპოზიციის გამთიშველ მუშაობასთან ბრძოლას მაშინ, როცა ამ ძვირფას დროს დახარჯვა და მოხმარა ასე საჭირო იყო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ფრონტზე, საჭირო იყო ამ მშენებლობის პროცესში ჩვენს სახელმწიფო და სამეურნეო აპარატებში და პარტიულ ორგანოებში არსებული სხვადასხვა ნაკლისა და შეცდომებისადმი მეტი ყურადღების მიქცევა, აშკარათ, ბოლშევიკურათ აღმოსხვა და გამოსწორება. დაიკარგა დრო. ეს უსათუოდ დანაკლისია.

და ამიტომ თვითეულ ჩვენგანის მოვალეობა არის პატიოსნათ და ბოლშევიკურათ ვიზრუნოთ ამ დანაკლისის შევსებაზე, ჩვენი რიგების კიდევ უფრო შემჭიდროებისა. **ერთსულოვნება, ცალ-ცალკე თვითეულისაგან და ყველასაგან ერთად, ერთი ერთმანეთისადმი მაგრათ ხელის ჩაჭერა და სოციალიზმის მშენებლობისათვის წარმოებულ ბრძოლის ფერხულში თანასწორად და თავ-თავის ალაგას ყველას ჩაბმა.** ამასთანავე ყოველგვარი დეფექტებისა და ნაკლის აღმოსხვა და გამოსწორება. აი, რა არის საჭირო და აუცილებელი. აშკარაა ისიც, რომ ჩვენ ზემოთ ნათქვამის განსახორციელებლად აღარ გვჭირია რაიმე ახალი ღონისძიების მიგნება. ღონისძიებები მზად არის. მეხუთმეტე პარტყრილობის დადგენილებების ცხოვრებაში გატარებისათვის ერთსულოვნათ დარაზმვა, ამ დადგენილებების ცხოვრებაში შეუპოვრათ, ენერგიულად, პატიოსნათ და გულწრფელად გატარება თვითეული პარტიის წევრისაგან და ყველასაგან ერთად თავდებია ჩვენი ურყევი წინსვლისა და საბოლოო გამარჯვებისა სოციალიზმის მშენებლობის ფრონტზე.

პარტია მშრომელ მასასთან ერთად იბრძოდა ოქტომბრისათვის და გაიმარჯვა მან. პარტია იბრძოდა სამოქალაქო ომში, რომელიც ოქტომბრის შემდეგ თავზე მოახვიეს მას მტრებმა და აქაც გამარჯვებული გამოვიდა. დღეს პარტია მშრომელ მასასთან ერთად გამლილი ფრონტით აწარმოებს ბრძოლას სოციალიზმის მშენებლობის ფრონტზე და უცხადებს ომს ყოველგვარ დაბრკოლებებს: ნეპმანს, კულაკს, ბიუროკრატს და სხვა. ეს გასაგებია ყველასათვის. ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ მეხუთმეტე პარტყრილობის დადგენილებების საფუძველზე.

ჩვენ ყველას ზურგი გამაგრებული გვაქვს პარტიის დირექტივებით.

თვითკრიტიკის აუცილებლობა,—აი რა არის უმთავრესი. ნაკლის აღიარება, გამომჟღავნება და გამოსწორება, აი რა გვჭირდება დღეს. და გვიჭირდება ის ისე, როგორც არასოდეს. პატიოსანი, გულწრფელი თვითკრიტიკა მუდამ ძლიერი იარაღი იყო და არის ეხლაც ლენინის პარტიისათვის.

ის არ გაიჩინა და არც გააჩნია სხვა პარტიებს.

ამ მხრით ჩვენი პარტია თვითონ არის თავის თავის დარაჯი. მას არასოდეს არ ეშინოდა თვითკრიტიკის, თავის ნაკლისა და შეცდომების აღიარების. ამით ის ერთის მხრით პირში ჩალა გამოვლებულსა და განიარაღებულს სტოვებს მოწინააღმდეგე ბანაკს, მშრომელთა მოსისხლე მტრებს, ხოლო მეორეს მხრით ასწორებს შეცდომებს, ასწორებს ნაკლს და ასე მუდამ ჯანსაღი. ძლიერი და შეუპოვარი მიიმართება წინ.

ამხ. სტალინმა მე-15-ე პარტყრილობაზე პარტიაში უკვე არსებულ დიდ მიღწევების აღნიშვნასთან ერთად, ნაკლულოვანებათა შესახებაც თავისი სიტყვა ტყვილათ კი არ დაუკავშირა მისი მოხსენების მესამე ნაწილს—„პარტია და ოპოზიცია". უადგილოდ არ იქნება აქვე მოვიყვანოთ ზოგიერთი ადგილები ამხ. სტალინის შესანიშნავ მოხსენებიდან პარტიაში არსებულ ნაკლულოვანებათა შესახებ: „**ავიღოთ, მაგალითად, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელების საქმე პარტიული ორგანიზაციების მხრით** ამბობს ამხ. სტალინი—**განა აქ ყველაფერი რიგზეა? არა. ჩვენში ხშირად არამც თუ ადგილებზე, არამედ ცენტრშიაც საკითხები წყდება, ასე ვსთქვათ, ოჯახური წესით, შინაურულად.**

ვსთქვათ, ივანე ივანესძემ, რომელიმე ორგანიზაციის ხელმძღვანელი მაღალი ფენის წევრმა დაუშვა შეცდომა და გააფუჭა საქმე. მაგრამ ივანე თედორესძეს არ უნდა მისი გაკრიტიკება, მისი შეცდომების გამომჟღავნება და გამოსწორება. არ უნდა, ვინაიდან მას არ აქვს სურვილი „შეიძინოს მტრები". დაუშვეს შეცდომა, გააფუჭეს საქმე - მერე რა დიდი საქმეა. და მერე ვინ არ ცდება ჩვენ შორის. დღეს—მე იმას, ივანე თედორესძეს შევიბრალებ და ხელს დავაფარებ, ხვალ კი ის მე, ივანე ივანესძეს შემიბრალებს და ხელს დამაფარებს, ვინაიდან სად არის იმის გარანტია, რომ მეც მასავით არ შევცდები? აი, ამხანაგებო, ჩვეულებრივი მსჯელობა ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკების.

მაგრამ, რას ნიშნავს ეს? თუ ჩვენ, ბოლშევიკები, რომლებიც აკრიტიკებენ მთელ მსოფლიოს, რომლებსაც, მარქსის სიტყვებით რომ ვსთქვათ, იერიში მიაქვთ ცაზე (штурмуют небо) თუ ჩვენ ამა თუ იმ ამხანაგის სულიერი სიმშვიდის გულისათვის უარს ვიტყვით თვითკრიტიკაზე,— განა აშკარა და ნათელი არ არის, რომ აქედან ჩვენი დიდი საქმის დაღუპვის გარდა არაფერი გამოვა? განა, გასაგები არ არია რომ პატიოსანი და პირდაპირი თვითკრიტიკის უარყოფით, საკუთარი შეცდომების პატიოსნათ და აშკარათ გამოსწორების უარყოფით ჩვენ თვითონვე ვიხშობთ ჩვენი საქმიანობის [illegible] წინმსვლელობისა და ახალი მიღწევების გზას? დიახ, ჩვენ გვინდა მივდიოდეთ წინ,—განაგრძობს ამხ. სტალინი მეორე ალაგას—და სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ გვწყურია წინსვლა, ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანათ ჩვენ უნდა დავისახოთ პატიოსანი და რევოლიუციონური თვითკრიტიკა". (ამხ. სტალინის მოხსენების მესამე ნაწილის ადგილები—„პარტია და ოპოზიცია).

ამხ. სერგო ორჯონიკიძემ მე-15 პარტყრილობაზე (ც. ს. კ. და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის შესახებ თავისი საანგარიშო მოხსენების დროს განაცხადა: „ამხანაგებო, როცა ჩვენ ვაშკარავებთ ჩვენი აპარატის ნაკლს, ზოგიერთნი ფიქრობენ, რომ არ უნდა მასზე (ნაკლზე) ხმა-მაღლა ლაპარაკი, ვინაიდან ამით ოპოზიცია ისარგებლებს, ამხანაგებო, პირველყოვლისა ჩვენთვის სულ ერთია გაიგონებს თუ არ გაიგონებს ოპოზიცია. მეორეთ, ამხანაგებო, ჩვენ არ უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, თუ რას იტყვის ოპოზიცია. ჩვენ, მიუხედავად იმისა, გაუხარდება თუ ეწყინება ოპოზიციას, უნდა ვიზრუნოთ საკუთარი ნაკლის გამოსწორებისათვის. ამხ. სტალინმა სთქვა, რომ ჩვენს აწინდელ მუშაობაში ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანათაგანს შეადგენს ის, რომ ჩვენ თვითონ ვამჩნევდეთ საკუთარ შეცდომებს, რომ თვითონ ვაკრიტიკებდეთ, თვითონ ვასწორებდეთ მას და არ ვფარავდეთ".

ამხ. სტალინის სიტყვები და შემდეგ ამხ. ორჯონიკიძის უნდა დაიზეპიროს, თვითეულმა პატიოსანმა და გულწრფელმა პარტიის წევრმა და მუშაკმა და უნდა იხელმძღვანელოს მით თავის ყოველდღიურ მუშაობაში. მაგრამ პირველ ყოვლისა უნდა დაიხსომოს იგი და ენერგიულად, ყოველგვარ დაბრკოლებების გადალახვით, გადაუხვევლად, პირნათლად, მოურიდებლად დაეხმაროს ამაში პარტიას და მის უმაღლეს ორგანოებს (რომ ამ სიტყვებმა ხორცი შეისხას და ისინი ნამდვილად საქმეთ იქცენ) პარტიის საკონტროლო ორგანოებმა და პრესამ.

მაგრამ აქაც საჭიროა ამ ორგანოების ზურგის გამაგრება პარტიისა და მისი უმაღლესი ორგანოების მხრით, საჭიროა ყველამ ერთნაირათ შეიგნოს და შეითვისოს პარტიის დირექტივები და გაიხადოს იგი სავალდებულოდ, საჭიროა სხვადასხვანაირი „გაგებით" და „მოსაზრებებით" არ დამახინჯდეს და არ დაიჩრდილოს პარტიის ნათელი აზრი და შეხედულება ამ საგანზე.

ამ რიგათ, ოქტომბრის ცეცხლით ათებულნი, მე-15 პარტყრილობის დადგენილებებით ხელში. [illegible] უნდა დავირაზმოთ სოციალიზმის მშენებლობის ფრონტზე და მასთან ყურადღება უნდა მივაქციოთ ყოველგვარ ნაკლის გამომჟღავნებას და გამოსწორებას. ნაკლი არის ორგვარი: სუბიექტიური, კერძო, და საერთო ხასიათის. ორივეს საერთო, შეერთებული ძალ-ღონით უნდა შევებრძოლოთ „გახურებული შანთით" ხელში.

პირველყოვლისა პარტიის შიგნით ერთსულოვნებისა და ურთიერთობისადმი რკინის დისციპლინაზე დამყარებული მჭიდრო, ნამდვილი ამხანაგური დამოკიდებულებისა და მოპყრობის გასაძლიერებლად აღკვეთილ უნდა იქნას ყოველგვარი უხეშობა და უყურადღებობა, ერთის გულწრფელი აზრის მეორესაგან აბუჩად აგდება და სხვა. **თვითეულისაგან მასზე დაკისრებული საქმეების პირნათლად და პატიოსნათ შესრულების სასტიკი მოთხოვნა.** მაგრამ ამასთანავე ამხანაგური შთაგონება, ყურადღებით მოსმენა, ზრდილობა და ურთიერთობისადმი პატივისცემით მოპყრობა ყოველთვის ძალაში უნდა დარჩეს, მით უმეტეს ორგანიზაციის ხელმძღვანელის მხრით.

აი, რას უნდა მიექცეს ყურადღება. აუცილებელია უფრო ახალგაზრდა პარტიის წევრებთან ერთად მჭიდრო, ამხანაგური კავშირის დაჭერა პარტიულ ორგანიზაციების მხრით პარტიის ძველი წევრების, ძველი, იატაკ-ქვეშ მომუშავე ამხანაგების, მიმართ, მათდამი ყურადღებით მოპყრობა, და სხვა.

საჭიროა აგრეთვე სრული ნდობისა და ამხანაგური დამოკიდებულების გაძლიერება იმ პარტიის წევრებისადმი რომლებიც პარტიის დავალებით მუშაობენ სხვადასხვა სამეურნეო და სახელმწიფო დაწესებულებებში. მათ არ უნდა მიეცეთ საბაბი ყრუ ჩივილისა, რომ ვითომ კარგი მოპყრობით და მიდგომით სარგებლობენ მხოლოდ ის ამხანაგები, რომლებიც მუშაობენ პარტიის მაღალ და დაბალ ხელმძღვანელ ორგანოებში, ესენი კი ვითომ არიან ჩინოვნიკები, არასწორ უფლებიანი წევრები, რომ მათ ანგარიშს არავინ უწევს, არავინ არაფრათ აგდებს და სხვა.

ამ ყრუ ჩივილს უნდა მიექცეს შესაფერი ყურადღება.

კოლექტივობა უნდა აყვანილ იქნას უმაღლეს წერტილამდე. თავი ვერავინ უნდა წარმოიდგინოს „ქვეყნის მხსნელათ და მარილათ". თვითეულის ნიჭი, ცოდნა და გამოცდილება მაღლიდან კი არ უნდა დაჰყურებდეს პარტიას, არამედ იგი უნდა ინთქმოდეს იმ ოკეანეს სულსა და გულში, რომელსაც კომუნისტური პარტია (ბ) ეწოდება, უნდა ესის [illegible] მას, იგი გათქვეფილი უნდა იყოს მასში.

მოვიგონოთ დიდი ლენინი; ის ყველგან, ყოველთვის დიდიც იყო და პატარაც. მართალია, ნაძალადევი არაფერი არ ვარგა. მაშინვე იცნობთ მას. საბჭოთა მუშაკი ამ მხრით თავის თავათ ბუნებრივათ უნდა იყოს დაჯილდოვებული, მაგრამ ცდა ბედის მონახევრეაო,—ნათქვამია. თავის თავის გარდაქმნის სურვილიც ბევრს ნიშნავს. შედეგს უსათუოდ კარგს მივიღებთ. ამიტომ, ვინაიდან „სრულყოფილი" ამ ქვეყნად არავინაა ყველა უნდა ვეცადოთ თავის თავის გამოსწორებას, ვგონებ არსად, საბჭოთა კავშირში ისე საჭირო არ არის კარიერიზმთან ბრძოლა, როგორც ჩვენში, სადაც უხეირო მატრაკვეცობის, ჩარჩის, შურით სავსე „ენა-ტანიობით", კერძო პიროვნების გულისთვის „სანთლად დადნობის" სურვილი და ტენდენციები ჯერ კიდევ ბევრს საკმაოდ აქვს გამჯდარი.

სასტიკი ბრძოლა ყოველგვარი დაჯგუფების წინააღმდეგ. და აქ ჩვენ სახეში უნდა გვქონდეს არა მარტო ფრაქციული დაჯგუფებანი, არამედ სხვაგვარიც, არა პრინციპიალური, უბრალო, „შენი" ან „ჩემი" „კაცებიდან" შემდგარი ჯგუფიც, „შენი" ან „ჩემი" ნდობით აღჭურვილები, რომლებიც „გასაჭირის" დროს, ან „ეჭვით სავსე" „კვიმატიან" დღეს „შენ" ან „მას" ამოუდგებიან გვერდში.

სასტიკი ბრძოლა ასეთ „შენ-ჩემიანობას". მას შეუძლია შექმნას ბევრი ცრუ და ყალბი წარმოდგენა; მას შეუძლია შექმნას ერთის გამედიდურება და მეორეს დაჩლუნგება, ინტრიგა, „სკლოკა", ჩუმი, ფარული „ფეხის გამოკვრა" და სხვა. და ვისაც უამისოდ არ შეუძლია პარტიული დირექტივების, მისი ხაზისა და დადგენილებების საფუძველზე მუშაობა, მას უნდა ვაგრძნობინოთ საკუთარი ნაკლი, უვარგისობა და აქედან წარმომდგარი ზიანის აუცილებლად მოსალოდნელობა.

ძირშივე უნდა იქნას აგრეთვე ჩაკლული და აღმოფხვრილი ყოველგვარი „პრივილეგია-მოსილობის" ტენდენციები. უნდა აშკარათ ითქვას, რომ აქა იქ ჩვენს რიგებში ამას ადგილი აქვს. „პრივილეგია-მოსილი" ცოლები, „პრივილეგია-მოსილი" შვილები [illegible] უკვე თვალებში ეჩხირება „არაპრივილეგია-მოსილებს".

ამას ემატება ზოგიერთია ფუფუნებით ცხოვრების სურვილის ტენდენციები, პარტია და მისი ორგანოები ებრძვის ამ ტენდენციებს.

მაგრამ პარტია თავისი წევრების კერძო ცხოვრების ყველა კუნჭულებში დარაჯათ ვერ დადგება, ის ეუბნება თავის წევრებს და აფრთხილებს მათ ყოველგვარი გადაჭარბებისა და კომუნისტებისათვის შეუფერებელი ყოფა-ცხოვრებისაგან. ამიტომ რომ ამას ადგილი არ ექნეს, საჭიროა თვითეულის, დიდისა და პატარასი, ამაზე დაფიქრება. დაფიქრება შინ, დაფიქრება გარეთ, ყოველთვის, ყოველ დღის საკუთარ ყოფა-ცხოვრებისათვის. სასტიკი კონტროლის გაწევა. ზომიერების დაცვა და თავის დაჭერა.

კომუნისტური პარტია და თვითეული მისი წევრი სოციალიზმის შენების ხანაში ასრულებს მძიმე სამუშაოს. დიდათ საპასუხისმგებლო, მძიმე და ძნელია ეს სამუშაო. და ვინც აქ „საკუთარი ტყავით ძრწის" და ფუფუნებას და განცხრომას ეძებს სასტიკათ სცდება სტყუის პარტიის წინაშე, ის არ არის კომუნისტი.

ეხლა ორიოდე სიტყვა სხვაგვარი ნაკლის შესახებ პარტიული რიგების გარეშე, ჩვენს სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებებში. მე მინდა ამჟამად შევეხო მხოლოდ ერთს სახელდობრ ჩვენს სახელმწიფო და სამეურნეო აპარატებში მუშების, გლეხების და სხვა საბჭოთა მოქალაქეების მიღება-გასტუმრებისა და მოპყრობის საკითხს. აშკარაა, რომ აქ ყველაფერი რიგზე არ არის. არის ისეთი შემთხვევა, რომ მოქალაქე მთელი კვირაობით უტრიალებს, დაწესებულებას და მას მისი ხელმძღვანელის ნახვა ვერ მოუხერხებია. ხშირად გაიგონებთ: „რა ექნა, არ შემიშვეს, არ მანახვეს, არ მიმიღეს" და სხვა. და აქ ხშირად დამნაშავეა არათუ თვით ხელმძღვანელი, არამედ ის ჩინოვნიკი. რომელიც მას უზის რომელიმე კაბინეტში.

ხშირია შემთხვევა, როცა მუშა, გლეხი თუ სხვა საბჭოთა მოქალაქე გადაჭრილ პასუხს, დარიგებას და გზის ჩვენებას ვერ ღებულობს იმ დაწესებულებაში, სადაც ის ცხადდება. ხშირია შემთხვევა, როცა არამც თუ პროვინციიდან ჩამოსულმა, არამედ თბილისში მუდმივ მცხოვრებმა საბჭოთა მოქალაქემ, მუშა იქნება ის თუ მოსამსახურე, არ იცის, არ არის დარწმუნებული იმაში, თუ რომელი დაწესებულება. რომელი ორგანო გადასწყვეტს მის მიერ აღძრულ საკითხს საბოლოოდ. **ყველა დაწესებულებამ, ყველა ორგანომ თავისი ფუნქციების მიხედვით, უმაღლესი ორგანოების მიერ გამომუშავებული ხაზის, დირექტივების და დადგენილებების მიხედვით საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ უნდა გამოიტანოს დამოუკიდებლად საბოლოო დასკვნა და მისცეს ყველა მოქალაქეს გადაჭრილი პასუხი მის მიერ აღძრულ საკითხზე.** და მის დასკვნასა და საბოლოო პასუხს ანგარიში უნდა გაეწიოს.

ამას გარდა, არის შემთხვევა, როცა ერთ დაწესებულებაში მოსული მოქალაქე იგზავნება მეორე დაწესებულებაში, იქიდან მესამეში, მეოთხეში და მას განცხადებას არსად არ ღებულობენ.

აქ უნდა მოვიყვანო ერთი მაგალითი, რომელსაც სწორეთ ამ დღეებში ჰქონდა ადგილი:

სოფლიდან ჩამოვიდა ერთი ნაცნობი. ღარიბი გლეხი დიანოს მეგრელიშვილი. მისი უფროსი შვილი ილიკო, რომელიც არც ვაჭარია და არც სპეკულიანტი, არც დიდი ნასწავლი, ჯერ კიდევ რევოლიუციამდე წვრილ მოსამსახურეთ იყო ბაქოს პორტში და იქიდან ჯერ კიდევ რევოლიუციამდე წავიდა სპარსეთში. იქ ცხოვრობს ცოლშვილით. მამას უნდა წავიდეს მასთან—სპარსეთში—და ინახულოს შვილი. თხოულობს ნებართვას. მთხოვა, რომ გზა მეჩვენებინა. რომ არ შევმცდარიყავი დავურეკე ამხ. კარკლინს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო სოფლიდან ჩამოსული გლეხი. ამხ. კარკლინმა დაბეჯითებით მითხრა, რომ მან უნდა მიმართოს შინაგან საქმეთა კომისარიატსო. წავიდა შინაგან საქმეთა კომისარიატში. იქ პასუხი მიიღო: ფინანსთა კომისარიატის საქმეაო. წავიდა ფინანსთა კომისარიატში; იქაც არ მიიღეს მისი თხოვნა. მიუთითეს ისეთ ორგანოზე, რომლის რეზიდენციისა და გზა-კვალის მიგნება არამც თუ სოფლიდან ჩამოსულ გლეხს, არამედ თბილისში მუდმივად მყოფ კომუნისტსაც კი გაუჭირდება.

და აი ხსენებული გლეხი დღემდის დადის იქით-აქეთ ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში და მისი განცხადება ჯერ არავის მიუღია და არც განუხილავს.

განა ეს დასაშვებია? განა ეს მოსათმენია? ვინ არის დამნაშავე? რამია საქმე? რასა გავს ეს? ვინ შემოიღო ასეთი სისტემა, როცა მოქალაქეს ერთი საკითხის გამოსარკვევად 4—5 დაწესებულებაში უხდება სიარული.

რატომ, მაგალითად, თვით შინაგან საქმეთა კომისარიატში არ უნდა იქნას მიღებული განცხადება და რატომ მანვე არ უნდა დააჩქაროს ამ განცხადების განხილვა სხვაგანაც, თუ კი ეს საჭიროა? კიდევ არაფერი, რომ ეს გამონაკლისი იყოს. ასეთი შემთხვევები სხვა ბევრიც არის.

ასეთ პირობებში ძნელია აპარატის გამარტივებაზე ლაპარაკი! აქ ჯერ საჭიროა შეუბრალებელი, ულმობელი ქირურგი. რომ ის რაიმეს გახდეს და გაარღვიოს მსგავსი მოჯადოებული წრე. ეხლავე უნდა ვიფიქროთ მსგავსი მოვლენების აღმოფხვრაზე. აქ ხელი უნდა გაანძრიოს თვით დაწესებულებების ხელმძღვანელებმა და უნდა აცნობოს უმაღლესსა და საკონტროლო ორგანოებს რაშია საქმე, რა უშლის მათ ხელს. ასეთი რამ პირდაპირ ხელოვნურად უკმაყოფილებასა და გაუგებრობის შექმნას უდრის.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ნაკლულოვანებების გამომჟღავნება, აღიარება, მათთან ბრძოლა და გამოსწორება ჩვენ ერთის მხრით, მოგვცემს საკუთარ ჩვენს რიგებში გამაგრებულ ერთსულოვნებას. მომატებულ სიმტკიცეს და რიგების შემჭიდროებას, მეორე მხრით, ეს იქნება მშრომელი მასის სახელმწიფო აპარატთან კიდევ უფრო დაახლოვება, ერთი-ერთმანეთის გაგება, ხელიხელ ჩაკიდებული შრომა და წინსვლა.

ყველაფერი ეს გამაგრებს და განამტკიცებს პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას და მათ მჭიდრო კავშირს მუშებთან და გლეხებთან.

ეს არის პარტიის ხაზი, მისი დირექტივა და ბრძანება.

ჩვენი ვალია პატიოსნათ, გულწრფელად, საერთო საქმისადმი სიყვარულით, შეუპოვრათ და ენერგიულად გავატაროთ ის ცხოვრებაში.

ჩვენ ამას შევსძლებთ. ამხ. **სტალინის** სიტყვებით რომ ვსთქვათ, **გადავლახავთ ყოველგვარ დაბრკოლებებს და გავიმარჯვებთ კიდეც, ვინაიდან ჩვენ ბოლშევიკები ვართ.**

ა. დოლიძე.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციისა და არტელების გამოკვლევა

თელავი, 18 იანვარი. სამაზრო აღმასკომის კომისია შეუდგა მაზრის საკრედიტო ამხანაგობათა და კოლექტიურ მეურნეობათა გამოკვლევას. კომისიას მიზნად აქვს გამოარკვიოს მუშაობის დეფექტები და მოაწესრიგოს საკრედიტო ამხანაგობათა და კოლექტიური მეურნეობათა ხელმძღვანელობის საქმე. (ადს)

მოთხოვნილება კულტურულ მცენარეთა თესლზე

თელავი, 18 იანვარი. თელავის მაზრის გლეხთა შორის გაიზარდა მოთხოვნილება კულტურულ მცენარეთა თესლზე. კოოპერატიული, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი ფიქრობენ ასეთი მცენარეების დასთესი ადგილების თვალსაჩინოდ გაფართოებას. (ადს)

სასოფლო - სამეურნეო გადასახადების შეტანა

თელავი, 18 იანვარი. ამჟამად თელავის მაზრაში შემოსულია სასოფლო - სამეურნეო გადასახადების 80 პროცენტი. ფიქრობენ, რომ გადასახადი სრულიად და ვადაზე იქნება შემოტანილი.

ალაზნის ნაპირების გამაგრება

თელავი, 18 იანვარი. დაწყებულია მდინარე ალაზნის ნაპირების გამაგრება დამბების და ხეების გაშენებით. საშუალებით, დაწყებულია აგრეთვე სოფ. შაქრიანთან კაპიტალური რემონტი ალაზნის ხიდისა, რომელიც ერთადერთია მთელ მაზრაში. (ადს)

მიწა - ტყის მუშაკთა კავშირის კონფერენცია

სიღნაღი, 18 იანვარი. დასრულდა მიწატყის კავშირის სამაზრო კონფერენცია. სამაზრო გამგეობის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კავშირის საქმიანობა წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაცხოველდა. ამჟამად კავშირში ითვლება 2.037 წევრი, აქედან 1.450 მოჯამაგირეა, 296 წევრი საბჭოთა მეურნეობათა და აღმასკომის საბჭოთა მეურნეობის მუშა და 291 მოსამსახურეა. (ადს)

ბანდიტის მოკვლა

თელავი, 18 იანვარი. მეცხვარე მწყემსებმა მოკლეს ცნობილი ბანდიტი ქეხიშვილი და მისი გვამი სამაზრო მილიციაში მიიტანეს: ქეხიშვილი გაქცეული იყო თბილისის გამასწორებელ სახლიდან და შიშის ზარს სცემდა მაზრის მოსახლეობას ძარცვა - გლეჯით და მკვლელობით. (ადს)

წერილები

კულტურული მეურნეობა სწრაფად ვითარდება

(წერილი გურიიდან)

მიუხედავად იმისა, რომ გურიის ჰავა ხელს უწყობს კულტურულ მეურნეობის გაჩაღებას, წინეთ ასეთი წარმოება აქ იშვიათი მოვლენა იყო. მართალია, გამონაკლისის სახით გლეხობა მისდევდა ჩაის, მანდარინის და სხვა კულტურულ მცენარეთა მოშენებას,მაგრამ ეს ხდებოდა იშვიათ შემთხვევაში და მათ ნაწარმოებს არც სათანადო ბაზარი გააჩნდა.

უფრო გავრცელებული გურიის სოფლებში იყო თხილის მოშენება, აბრეშუმის მოყვანა და ნაწილობრივ თამბაქოს, რომელთა პროდუქცია ჩარჩებს ჩალის ფასად უვარდებოდა ხელში და გლეხი მისგან ძლიერ მცირე სარგებლობას ნახულობდა.

მხოლოდ გასაბჭოების შემდეგ შეიქნა მტკიცე ნიადაგი კულტურული მეურნეობის ფართოდ განვითარებისათვის და რაც უმთავრესია ყველა ამ ნაწარმოების გამსაღებელი არის კოოპერატიული და სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც იძენენ მას გლეხობისაგან ფრიად ხელსაყრელ ფასებში.

ამ გარემოებით წახალისებული გლეხობა უფრო ენერგიულად კიდებს ხელს კულტურულ მცენარეთა მოშენებას.

კერძოდ აღსანიშნავია გურიაში უკანასკნელ დროს ჩაის პლანტაციების ფართოდ გაშენება. ხელისუფლება გლეხებს აძლევს გრძელვადიან სესხს ამ საქმისათვის. ხუთწლიან საპერსპექტივო გეგმის მიხედვით, მიმდინარე სამეურნეო წელში გურიაში ჩაის პლანტაციები უნდა მოშენებულიყო 550 დესეტინაზე, მაგრამ გამოირკვა, რომ შესაძლებელია არა მარტო დასახული გეგმის განხორციელება, არამედ 900 დესეტინის მოშენება, რისთვისაც სათანადო მუშაობა უკვე გაჩაღებულია.

ჩაის მცენარე უკეთ ხარობს ისეთ მწირე მიწაზე, სადაც სხვა კულტურული მცენარეები იშვიათად იხეირებენ. ასეთი მიწები კი გურიაში საკმარისად არის, რასაც დღემდე არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა გლეხობისათვის.

ჩაის პროდუქციისათვის ფართო ბაზარი არსებობს საბჭოთა რესპუბლიკებში და ხელისუფლებაც დიდად არის დაინტერესებული მისი მოშენებით. გურიის ნიადაგი კი ამ შემთხვევაში სავსებით პირობებს იძლევა.

მეურნეობის ეს დარგი გარდა იმისა, რომ დიდად აუმჯობესებს გლეხების ეკონომიურ მდგომარეობას, ხელს შეუწყობს აგრეთვე საბჭოთა კავშირის ბაზრის დაკმაყოფილებასაც.

ამიტომ ყოველგვარი ზომები უნდა იქნას მიღებული იმისათვის, რათა გლეხობას მიეცეს საშუალება საჭირო კრედიტების მიღებით დაწყებული საქმიანობა კიდევ უფრო გააფართოვონ.

გურული.

სასოფლო - სამეურნეო პროპაგანდის წარმოებისათვის

პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების სწორ ხელმძღვანელობით, ჩვენი სოფლის, როგორც კულტურული, ისე ეკონომიური ცხოვრება წინ მიიწევს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სოფელი ჯერ კიდევ თავისი უკულტურობის გამო, ბევრჯერ უნდობლობის თვალით უყურებს ყოველ ახალ-სამეურნეო ხასიათის დასაწყისს. გლეხობას უჭირს გადაუხვიოს იმ გზას და ჩვეულებებს, რომელსაც ადგა მისი წინაპრები.

ამას ჩვენ სავსებით ვუწევთ ანგარიშს და ამიტომ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მიღებულ ზომებში განსაკუთრებულ ადგილს უთმობთ მასიურ აგრო-პროპაგანდის წარმოებას, რომლითაც უნდა შევძლოთ სწორედ ამ სიბნელისა და უვიცობის აღმოფხვრაც.

გლეხური მეურნეობის კულტურულ დონეზე დაყენებისათვის სასტიკი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ მიწის დამუშავების ძველ ფორმათა წინააღმდეგ. უნდა გავილაშქროთ იმის წინააღმდეგაც, როდესაც გლეხობა თავიანთ კეთილდღეობას უკავშირებს ცრუმორწმუნეობას. სოფლის მოსახლეობაში სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შეტანით, აგრო-პროპაგანდისათვის მასსიური ხასიათის მიცემით და უმთავრესად მიწის კოლექტიურად დამუშავებით—ჩვენ უეჭველად მივაღწევთ მიზანს.

მართალია, ამჟამად სოფლად ჩვენ ვაწარმოებთ აგრო-პროპაგანდას: დაარსებული გვაქვს აგრო-პუნქტები, წრეები, გარდა ამისა, მთელ რიგ ადგილას კიდეც სწარმოებს მიწის კოლექტიური დამუშავება, მაგრამ ყველა ამ მიმართულებით მომავალში საჭიროა მუშაობის უფრო ფართოდ გაშლა.

არას შემთხვევაში არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ისიც, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება აგრონომებისა, ადგილობრივი კულტურული ძალებისა და მშრომელთა ფართე მასების მონაწილეობის გარეშე წარმოუდგენელია. სოფლად მომუშავე აგრონომების ხელმძღვანელობით და რჩევა-დარიგებით შესაძლებელია სოფლის მეურნეობის წინ-წაწევა. მხოლოდ საჭიროა, რომ ადგილებზე პარტიულ, საბჭოთა ორგანიზაციებსა და აგრონომებს შორის მჭიდრო ურთიერთობა არსებობდეს.

ჩვენმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა აგრონომების მუშაობაში ჩაბმასთან ერთად უნდა იზრუნონ აგრეთვე მიწის კოლექტიური დამუშავებისა და მეურნეობის პოლიტიკურ იდეების შესატანად გლეხობაში.

აშკარად სოფლის მუშაკთა წინაშე სდგას ამოცანა: სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის გაფართოება და მისთვის მასიური ხასიათის მიცემა.

გ. ძ—ლი.

წერილებიდან

საბჭოს საქმიანობა სუსტია

ს. კაკაბეთი, სიღნაღის მაზრა

ჩვენი თემის საბჭოს თითქმის ერთი წელიწადია არაფერი გაუკეთებია. საბჭოს არც ერთ სესიაზე მოხსენება არ გაუკეთებია თავისი მუშაობის შესახებ მარტო აღმასკომის თავმჯდომარე უძლურია ყველა საქმეების გაძღოლისათვის. ამას წინად გლეხობამ ერთხმად დაადგინა მაზრას გამოეგზავნა ტექნიკი წყლის გამოყენების გეგმის გადაღებად. მაგრამ დღემდის არაფერი ჩანს. საჭიროა საბჭოს გაცხოველებული მუშაობა და აგრეთვე მომავალში საბჭოს წევრებად ავირჩიოთ უფრო ენერგიული პირები.

ქომქი.

ვებრძოლოთ ნათლი-მამობას

აბარაკი მანგლისი

პირველ დეკემბერს მანგლისის ელექტროსადგურში იყო თავისუფალი ადგილი, სადაც რიგის მიხედვით უნდა გაეგზავნათ ყოფილი მოჯამაგირე და კავშირის უმუშევარი წევრი გრიშა მანუკოვი, მაგრამ მის მაგივრად სასწავლებლიდან მოხსნეს ვინმე ბუდნიკოვი და გაგზავნეს მის მაგივრად მანუკოვი უმუშევრობის გამო დიდ სივიწროვეს განიცდის. რასაც პროფკავშირმა ყურადღება უნდა მიაქციოს.

მხედარი.

სოფლის ქრონიკა

— **გზა.** ოზურგეთის მაზრაღმასკომმა ოზურგეთ-ნატანების გზატკეცილის შესაკეთებლად გადასდო 2.882 მანეთი.

არტელი. ცხინვალში დაარსდა ხის ავეჯეულობის დამამზადებელი არტელი.

— **ელსადგური.** სოფ. სუფსაში გაიხსნა ახალი ელექტრონული სადგური.

— **სკოლა.** სოფ. შემოქმედში (გურია) სკოლის შენობის ასაგებათ გლეხებმა გადასდეს 1.300 მანეთი

— **მონასტერი-საავადმყოფოდ.** ბოდბის მონასტერში მოეწყო საავადმყოფო.

— **ღარიბ თემების** საჭიროებისათვის ოზურგეთის მაზრაღმასკომმა გადასდო 10.000 მან.

— **საკრედიტო ამხანაგობა.** კობანში გაიხსნა ახალქალაქის საკრედიტო საზოგადოების განყოფილება.

— **წ.-კ. უცოდინარობასთან ბრძოლის** გასაძლიერებლად ქუთაისის მაზრაში გაიხსნა 270 ახალი სალიკვიდაციო სკოლა.

მუშათა ცხოვრება

გააცანით ადგილკომის მუშაობას

(მთავარი სახელოსნო)

17 იანვარს, მთავარ სახელოსნოს სადურგლო საამქროს მუშა-მოსამსახურეებმა მოისმინეს მოხსენება საამქროს დელეგატის ამხ. წილოსანისა მთავარ სახელოსნოს ადგილკომის მუშაობის შესახებ. მომხსენებლის სიტყვით ადგილკომი აერთიანებს 121 დელეგატს. ამათში 21 სადურგლო საამქროდან არის. საანგარიშო ხნის განმავლობაში ადგილკომმა მოიწვია 2 კონფერენცია და 6 საერთო კრება, ხოლო 12 სადელეგატო კრება, სადაც გარჩეულა 40 საკითხი.

ადგილკომი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა: მუშების ყოფა - ცხოვრების გაუმჯობესებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, საწარმოო თათბირების მუშაობას სატარიფო ფასების დაკლებას. ნაწარმოების ხარისხის აწევას და სხვა. ყველა კონფლიქტები, ადმინისტრაციასა და ადგილკომის შორის, მუშების სასარგებლოდ სწყდებოდა.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა ადმინისტრაციის განზრახული ჰქონია სადურგლო საამქროს შტატის შემცირება 106—კაცით. ადგილკომმა ამას თავის დროზე მიაქცია ყურადღება და დასათხოვ მუშებიდან 40 კაცს დაენიშნათ პენსია, ხოლო დანარჩენები გადაყვანილი იქნენ მთავარ სახელოსნოს სხვადასხვა საამქროში და მოძრაობის დარგში. ისე რომ არც ერთი მუშა სამუშაოდან არ მოუხსნიათ.

საანგარიშო ხნის განმავლობაში ადგილი ჰქონდა 243 უბედურ შემთხვევას. აქედან ორი გარდაიცვალა და თერთმეტი მძიმედ დაშავდა, დანარჩენები კი მსუბუქად დაშავდნენ. უბედურ შემთხვევების მიზეზი არის როგორც თვით, ზოგიერთი მუშის გაუფრთხილებლობა, ისე ადმინისტრაციის დაუდევრობაც.

დასასრულ მომხსენებელმა გააცნო კრებას ადგილკომის მუშაობა კულტურულ და მუშების ჯანმრთელობის დაცვის დარგში და აღნიშნა როგორც ნაკლი, ისე მიღწევები. ამის შემდეგ კრებამ აირჩია ახალი დელეგატები და წარმომადგენლები კონფერენციაზე დასასწრებლად.

ამავე კრებამ მოისმინა მოხსენება საავიაციო საზოგადოების ბიუროს მუშაობის შესახებ და აირჩია ბიუროს ახალი შემადგენლობა.

ფ. მესხიძე.

საამქრო ბიუროების კრება

(მოძრაობის დარგი)

18 იანვარს, კონდუქტორთა აუდიტორიაში შესდგა სად. თბილისის მოძრაობის დარგის კომერციულ და ტექნიკურ საამქრო ბიუროების გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში იყო: ადგილკომის დელეგატების ანგარიში, ახალი დელეგატების არჩევნები და მოძრაობის დარგის პირველ კონფერენციისათვის დელეგატების არჩევა.

ადგილკომის დელეგატი ამხ. გრ. დევდარიანი აღნიშნავს, რომ დელეგატები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ კავშირის წევრთა შორის დისციპლინის აღდგენის საკითხს, შრომის დაცვას, მუშა-მოსამს. საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ჩაბმას და სხვ.. გარდა ამისა მომხსენებელი აღნიშნავს ზოგიერთ ნაკლსაც.

შემდეგ მოხსენებას აკეთებენ ამხ. გაგლოევა და გ. არევაძე თავიანთი მუშაობის შესახებ. რომლებიც აღნიშნავენ, როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს. მომხსენებლებს მისცეს შეკითხვები, რაზედაც დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცეს.

მოხსენებების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. ლადო მაისურაძემ, ბორჩხაძემ და სხვ. ორატორები აღნიშნავენ, რომ ზოგიერთი დელეგატები სისტემატიურად არ ესწრებიან სხდომებს წესიერად და არ იკრიბება 2 კვირ. კავშირის [illegible] და სხვ.

დელეგატების მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად და აღნიშნულ ნაკლულოვანებათა გამოსასწორებლად კრებამ გამოიმუშავა პრაქტიკული წინადადებანი ადგილკომის ახალ დელეგატებად არჩეულ იქნა კომერციულ საამქრო ბიუროდან — 26, ხოლო ტექნიკურიდან — 12 კაცი.

დასასრულ, კრებამ აირჩია მოძრ. დარგის პირველი კონფერენციის დელეგატები — 89 კაცი.

ფ. ჯ.

ტრამვაის მუშებში

17 იანვარს, ტრამვაის მუშათა კლუბში შესდგა ტრამვაის მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც მუშკოოპის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა მუშკოოპის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ბოლქვაძე. მომხსენებელმა ვრცლად გააცნო დამსწრეთ მუშკოოპის მუშაობა და აღნიშნა ყველა უარყოფითი და დადებითი მხარეები. მომხსენებლის სიტყვით საანგარიშო ხნის განმავლობაში მუშკოოპის წევრთა რიცხვი გაიზარდა 18614 კაცით. ამჟამად მუშკოოპი აერთიანებს [illegible] წევრს. რაც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს საწევრო გადასახადი 1925-26 წელს იყო 68.000 მანეთს, წელს კი უდრის 69.000 მანეთს.

მუშკოოპს ამჟამად აქვს სულ 336 სავაჭრო ერთეული, წინეთ კი ჰქონდა 183.

რაციონალიზაციის მიზნით მუშკოოპის გამგეობამ შეაერთა სამი განყოფილება და მოსპო ჩეკებით ვაჭრობა მუშკოოპის მაღაზიებში. [illegible]

წარსულ წელს გრძელვადიანი სესხით ისარგებლა 8200 კაცმა 442.000 მანეთის საქონლის გატანით. მოკლე ვადიანი სესხი კი მხოლოდ 3.047 მუშამ. ერთი წლის განმავლობაში მუშკოოპის სხვადასხვა განყოფილებაში გაიფლანგა 24.802 მანეთი.

დასასრულ კრებამ მუშკოოპის რწმუნებულებად აირჩია 14 წევრი და სამი კანდიდატი.

ხ. ხ—ივი.

შესცვალეთ განრიგების ზოგიერთი მუხლი

(საყუდი)

თბილისის საყუდში ყოველდღე იწერება განრიგება, რომელიც ძალაში შედის 22 საათიდან მეორე დღის 24 საათამდე. განრიგების ხელმძღვანელად დანიშნულია 6 კაცი. 4 მეტაბელე, ერთი განმრიგებელი და ერთიც მისი თანაშემწე. მიუხედავად ამისა განრიგება ვერ სდგება წესიერად. ეს ჩანს იქიდან, რომ როგორც სავერსტო ჯილდოს გასაცემ სიაში აღნიშნულია, ერთი და იმავე კატეგორიის და მოვალეობის ამსრულებელი მუშა ღებულობს 80—90 მანეთს, მეორე კი 200 და 230 მანეთს. აქ რასაკვირველია არავითარ ზედმეტ მუშაობას არა აქვს ადგილი. პირიქით ხშირად ნაკლები ხელფასის მიმღები მუშა უფრო მეტს მუშაობს, ვიდრე ის, რომელიც მეტს იღებს, მაგრამ რატომღაც მაინც მეტი ნამუშევარი გამოსდით მათ. ამის დასამტკიცებლად საკმარისია გავეცნოთ გასული წლის ნოემბრის საერსტო ფურცლების სტატისტიკურ ცნობას.

მაგალითად დანიშნულია ორი მემანქანე განრიგებაში, პირველი 10 საათზე, ხოლო მეორე 12 საათზე. პირველს უთავდება დასვენება 13 საათზე, მეორეს კი 23 საათზე. ხშირად ხდება მატარებლის დაშლა. ამიტომ ამ მატარებელზე დანიშნული პირველი მემანქანე ვალდებულია თანახმად განრიგებისა და ადმინისტრაციის განკარგულებისა დარჩეს და უცადოს ახალ განრიგების დაწერას. ასე, რომ მან პირველ დღეს დაკარგა 11 საათი და კიდევ უნდა იცადოს 24 საათი. მეორე მემანქანე კი ამ ხნის განმავლობაში უკვე ბრუნდება სამუშაოდან: მან გააკეთა 11 საათი ორჯერად (დაუსვენებლივ). თვის ბოლოში კი პირველ მემანქანემ მიიღო 80—90 მან. და იმუშავა 200 საათი, მეორემ კი მიიღო 200 მანეთზე მეტი და იმუშავა 180 საათი.

ამ გარემოების თავიდან ასაცილებლად საჭიროა დაშლილ მატარებელზე დანიშნული მემანქანე გაიგზავნოს მეორე მატარებელზე მეორე მესამეზე და ასე შემდეგ. გარდა ამისა დაუსვენებლივ არც ერთი მემანქანე არ უნდა იგზავნებოდეს განრიგებაში. ამას თვალყური უნდა ადევნოს ადმინისტრაციამ და გაატაროს იგი ცხოვრებაში. ამით არც სახელმწიფო სალარო იზარალებს და არც ადგილი ექნება ხელფასის ისეთ სიჭრელეს, როგორც არის ეს დღეს.

მუშა ყარაქონდელი.

ასე ემჯობინება

(მამულთა ტრესტის ღვინის საწყობი)

გადაწყვეტილია, რომ მელიქიშვილის ქუჩის გაგანიერების გამო, აიღონ რამოდენიმე სახლი და მათ შორის მამულთა ტრესტის საწყობის ბაღის წინა ნაწილი, სიგრძით დაახლოებით ასი საჟენი და სიგანით ორი. ამ ბაღის შეწევა მიზანშეწონილია მით უმეტეს, რომ ახლო მომავალში უნივერსიტეტის ხიდიც (ვარაზისხევის) გაგანიერდება ტრამვაის ხაზის გასაყვანად მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ გეგმის განხორციელებით საწყობის ბაღი საგრძნობლად შევიწროვდება რის გამო ღვინით დატვირთული ურმები და ჯაგვები ვეღარ მიდგებიან საწყობის ქვიდა სარდაფებს, სადაც ინახება ღვინო. ზემოთა მხრიდანაც ძნელია დატვირთული ურმების მიდგომა, რადგან საკმაოდ დიდი აღმართია. ეს გარემოება კი საგრძნობლად შეაფერხებს საწყობის საქმიანობას.

ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა აღნიშნული საწყობი გადატანილ იქნეს სადგურის მახლობლად. ეს გარდა იმისა, რომ ხელს შეუწყობს საწყობის მუშაობის გაუმჯობესებას, საკმაოდ დიდ მოგებასაც მიიღებს ყოველ წლიურად. საერთოდ ამჟამად საწყობის ადმინისტრაცია დიდძალ ფულს ხარჯავს სადგურიდან ღვინის გადმოზიდვაში. საწყობის გადატანით სადგურთან კი ეს ხარჯები თავიდან აცილებული იქნება.

რაც შეეხება საწყობის არსებულ შენობას, აქ შეიძლება მოთავსდეს რომელიმე სასწავლებელი, ან საბავშვო ბაღი.

სახალხო მამულების ტრესტმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საკითხს.

მიტო ლუარსამიძე.

მუშკორთა წერილებიდან

თავი მოგვაბეზრა. ორჯონიკიძის ქ. სახლი № 77-ში სცხოვრობს მრეცხავი ქალი ვინმე მარო, რომელიც მრეცხაობის გარდა ეწევა სხვადასხვა ვაჭრობასაც.ყოველ ღამე მის სახლში თავს იყრიან მეძავი ქალები და სხვა საეჭვო პირები და აქვთ ერთი ამბავი. მილიციამ, მოგვაშოროს ეს ქალი ეზოდან თორემ თავი მოგვაბეზრა.

ქაჯი.

უთავბოლობის ბრალია. რკ. გზის სამასალო სამსახურის ადმინისტრაციის უთავბოლო მუშაობის წყალობით, რკ. გზელ მუშა-მოსამსახურეების უმრავლესობას ჯერაც არ მიუღიათ შეშა. ფული კი დიდი ხანია გადახდილი აქვთ. რკ. გზის გამგეობამ გამოარკვიოს როდის დააკმაყოფილებს სამასალო სამსახური მუშებს შეშით.

ხ—ია.

ქოლგებით იმუშაონ. წყალსადენის სამმართველოს ზედა სართულში, მოთავსებული ა (ცენტრ. სტატისტიკური სამმართველო, რომლის თანამშრომლებიც ხშირად სტოვებენ წყლის ონკანს ღიათ. წყალი ჩადის წყალსადენის სამმართველოში, სადაც ყოვლად შეუძლებელი ხდება მუშაობა. ხშირად თანამშრომლები ქოლგებითაც კი მუშაობენ ხოლმე.

ვინ მიაქცევს ამას ყურადღებას?

ზი.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

ცაკის სესიისათვის

ქალაქების საბჭოების დებულების პროექტის განხილვა

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა პროექტი ქალაქების საბჭოების შესახებ. პროექტი შედგენილი იქნა ადგილების გამოკვლევის, ქალაქის საბჭოების ადგილობრივ ადგილთა თათბირის, ა.-კ. ცაკთან მოწყობილ (ქალაქების) წარმომადგენელთა თათბირის და რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ქალაქების საბჭოების დებულების მასალების მიხედვით. პროექტში გათვალისწინებულია, როგორც საორგანიზაციო, ისე ყველა ის საკითხები, რომლებიც ქალაქის ცხოვრებიდან წამოიჭრებიან, აგრეთვე უფლება - მოვალეობანი ქალაქის საბჭოებისა.

ქალაქის საბჭოს არ ეყოლება პლენუმი, მისი აღმასრულებელ ორგანოთ ჩაითვლება საბჭოს მიერ არჩეული პრეზიდიუმი, რომლის თავმჯდომარე გამოიყოფა საბჭოს მიერ.

საერთოდ ქალაქის საბჭოს დამოუკიდებლად ტექნიკური აპარატი არ ეყოლება, ის ისარგებლებს მაზრაღმასკომის ტექნიკურ აპარატით. მხოლოდ ისეთი ქალაქები, სადაც მაზრაღმასკომები არ არსებობენ, ტექნიკურ აპარატს აიყვანენ ქალაქის საბჭოები საკუთარ ბიუჯეტის ხარჯზე.

ქალაქის საბჭოსთან სავალდებულოა დაარსდეს შემდეგი სექციები: კომუნალური, ფინანსიურ - საგადასახადო, განათლების, ჯანმრთელობის, საკოოპერაციო - სავაჭრო, სასამართლოს და მუშურ - გლეხური ინსპექციის. გარდა ჩამოთვლილ სექციებისა საბჭოს შეუძლია დაარსოს სხვა სექციებიც თუ კი ამას საჭიროდ დაინახავს.

ოჯახის და ქორწინების კოდექსის პროექტის განხილვა

პროექტში გათვალისწინებულია ზოგიერთი ყურადსაღები მომენტები, ერთ ასეთ მომენტს წარმოადგენს ფაქტიური ქორწინების შემოღება, რომელსაც კანონი ათანაბრებს იურიდიულ რეგისტრაციაში გატარებულ ქორწინებასთან. ფაქტიური ქორწინება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ქორწინებად, როდესაც, ის არის აღმოცენებული მატერიალურ ურთი-ერთობაზე.

დღემდის ხსენებული შეერთება კანონს გარეშე რჩებოდა. ამ პროექტით კი, ფაქტიურ შეუღლებას მოჰყვება ყველა ის იურიდიულ-ეკონომიური შედეგები, როგორც რეგისტრაციაში გატარებულ დაქორწინებულებს ჰქონდა. თუ ქორწინება არც ფაქტიურია და არც იურიდიული, მაგრამ შედეგი ორთა შეერთების იგივეა, რაც ნამდვილი ქორწინების, ამ შემთხვევაში ბავშვებს კანონი შესაფერისად დაიცავს. მექორწინეთა წლოვანება შემდეგნაირად არის განსაზღვრული: ქალისათვის 16 წელი, მამა - კაცისათვის 18 წელი.

ისეთ ადგილებში, სადაც ქალი ჩვეულების მიხედვით შეიძლება 12 წლის გათხოვდეს, ახალი კანონის ძალით დასაშვებია ქალი გათხოვდეს 15 წლის.

დაქორწინების შემდეგ შეძენილი ქონება ორივეს ქონებათ ჩაითვლება. გაყრის შემდეგ ქონების უდიდეს ნაწილს წაიღებს ის, რომელმაც მეტი შეხძინა ოჯახს.

კოდექსის პროექტით დაქორწინება შეუძლია ყველას, ვინც სცილდება ორ ნათესაურ შტოს.

მეურვეობას და მზრუნველობის საკითხს დღემდე აწარმოებდენ სამაზრო აღმასკომები, დღეიდან ეს უფლება ენიჭება სათემო საბჭოებს.

შვილად აყვანა შეუძლია ყველას, — სოციალურ მდგომარეობის განურჩევლად.

ორივე ეს პროექტი დასამტკიცებლად წარედგინება საქ. ცაკის სესიას, რომელიც შესდგება 23 იანვარს აჭარისტანში (ბათომში).

საქ. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში

გლეხკომების გადარჩევა თბილისის მაზრაში

საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების ცნობებით, თბილისის მაზრაში გლეხკომების გადარჩევა უკვე დამთავრდა. სულ გადარჩეული იქნა 75 გლეხკომი, ახლად გადარჩეულ გლეხკომებში გაერთიანებულია 292 სოფელი.გლეხკომების გადარჩევაში მონაწილეობა მიიღო 31.167 გლეხმა, გლეხკომებში არჩეულ იქნა 860 გლეხი, გლეხკომების პრეზიდიუმში—კი 306 გლეხი. გლეხკომებში არჩეულია 786 მამაკაცი და 74 ქალი. ეროვნების მიხედვით არჩეულთა შორის: ქართველი 376 კაცი, სომეხი—154, თურქი—62, რუსი—93 და სხვადასხვა ეროვნების—175; პარტიული ნიშნის მიხედვით—კომუნისტია—189 კაცი, კომკავშირელი—96 და უპარტიო—538. სოციალური მდგომარეობის მიხედვით—გლეხკომში არჩეულია—764 გლეხი, 16 მოჯამაგირე და 67 ინტელიგენტი. განათლების მიხედვით—არჩეულებში 682 წერა-კითხვის მცოდნეა და 178 წერა-კითხვის უცოდინარი. ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით გლეხკომში არჩეულია 526 ღარიბი და 334 საშუალო შეძლების გლეხი.

კვების გაუმჯობესება

საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით, აფხაზეთის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ სოხუმის სახლში მოთავსებულ შრომის და ომის ინვალიდების კვების გასაუმჯობესებლად დამატებით გადასდო თვიურად 200 მანეთი. სოხუმის საინვალიდო სახლში მოთავსებულია 40 ინვალიდი.

დახმარება

საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით, ქუთაისის მაზრაში მომუშავე გლეხკომებმა 1927 წელში დახმარება მისცა—ობლებს, ქვრივებს, ინვალიდებს და ღარიბ გლეხებს — 9.210 მანეთი. ამავე ხნის განმავლობაში ღარიბებს მეურნე გლეხებს მეურნეობის გაფართოებლად სესხად მისცა—6.470 მანეთი.

ამბულატორიული უფასო საექიმო დახმარება აღმოჩინა — 1.200 გლეხს, საავადმყოფოში გლეხკომების ხარჯზე მოთავსებული იქნა —516 გლეხი; გლეხკომებმა თავიანთი საშუალებებით უფასოთ დახნა და დათესა ყანები 214 ქვრივ - ობოლს და წითელარმიელების ოჯახებს; შეშა მიეცა უფასოდ — 136 ღარიბ გლეხს; კოოპერაციაში და სას.-საკრედიტო ამხ-ბებში წევრებად ჩაწერილი იქნა გლეხკომების დახმარებით 195 ღარიბი გლეხი.

კომპენსაცია ახალ სამუშაოზე გადაყვანის დროს

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება შრომის კანონთა კოდექსის მე-82 მუხლის შეცვლის შესახებ.

ახალი კანონის მიხედვით, მუშებს და მოსამსახურეებს, რომლებიც დამქირავებელის განკარგულებით გადაყვანილი იქნებიან ახალ სამუშაოზე, მიეცემათ კომპენსაცია, თუ ახალ სამუშაოზე გადაყვანა დაკავშირებულია მუდმივი საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის აუცილებლობასთან.

კომპენსაცია არ მიეცემა იმ მუშებს და მოსამსახურეებს, რომლებიც გადაყვანილი იქნებიან ახალ სამუშაოზე თავის თხოვნის თანახმად და რომლებიც დაქირავებული იქნებიან სამუშაოზე სხვა ადგილებში. მაგრამ დამქირავებელთან შეთანხმებით ამ უკანასკნელებსაც შეიძლება აუნაზღაურდეს მთლიანად ან ნაწილობრივ ნამდვილი ხარჯები რომლებიც დაკავშირებული იქნება ახალ ადგილზე გადასვლასთან და საოჯახო მოწყობილობის გადატანასთან.

ახალი კანონით დაწვრილებით გათვალისწინებულია ასანაზღაურებელ ხარჯების რაოდენობა.

დღიური ხარჯები ახალ ადგილზე გადაყვანილს გზაში ყოფნის დროს და დამატებით 6 დღის განმავლობაში მიეცემა ფაქტიური თვიური ხელფასის ერთი მეოცედათედის რაოდენობით მაგრამ არა ნაკლებ 2 მან. 50 კაპ. და არა უმეტეს 10 მანეთისა დღეში.

ერთდროული დახმარება ახალ სამუშაოზე გადაყვანილს მიეცემა თვიური ფაქტიური ხელფასის რაოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ახალ სამუშაოზე დანიშნულთან ერთად მიემგზავრებიან მისი ოჯახის წევრებიც, მაშინ ერთდროული დახმარების გარდა ოჯახის თვითეულ წევრზე გაცემული უნდა იქნეს ამ ერთდროული დახმარების ერთი მეოთხედი.

სააღმშენებლო მასალების ფასი

ამჟამად საამშენებლო მასალა გაძვირებულია ომის წინადროინდელ ფასებთან შედარებით

საბინაო კრიზისთან ბრძოლის გასაძლიერებლად საკავშირო მთავრობამ გადასწყვიტა მიმდინარე. წელში საამშენებლო მასალა გააიაფოს 15 პროცენტით.

ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად შრომისა და თავდაცვის საბჭოს საამშენებლო კომისიამ შეადგინა გეგმა, რომლის მიხედვით საამშენებლო მასალების დამამზადებელ უწყებებს, ორგანიზაციებს და სამეურნეო დაწესებულებებს ევალებათ მიიღონ ყოველგვარი ზომები საამშენებლო მასალების დამზადებისა და გასაღების საქმეში რაციონალიზაციის გასატარებლად. ამავე დროს მათვე ეძლევათ გაფრთხილება, რომ საამშენებლო მასალებზე ფასების დაკლებამ არ უნდა გამოიწვიოს მასალის ღირსების გაუარესება.

ამიერ კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ცნობით, წელს ამიერ-კავკასიაში საამშენებლო სამუშაოებზე დაიხარჯება 100 მილიონი მანეთი. ამ თანხიდან საამშენებლო მასალის 15 პროცენტით გაიაფების შემდეგ გადარჩენილი იქნება 15 მილიონი მანეთი, რომელიც მოხმარდება მშენებლობის გაფართოების საქმეს ამიერ-კავკასიაში.

ლენინის დღისათვის

— ცირკულიარულად —

მაზრების განათლების განყოფილების გამგეებს

ლენინის დღის ჩატარების შესახებ 1-ლ და მე-2 საფეხურის შრომის სკოლებში და სპეციალურ ტექნიკუმებში

4 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც მსოფლიო პროლეტარიატმა დაჰკარგა თავისი შეუდარებელი ხელმძღვანელი ამხ. ლენინი. 21 იანვარი—საერთაშორისო პროლეტარიატის გლოვის დღეა. ლენინი არა მარტო რუსეთის პროლეტარიატის ბელადი და ხელმძღვანელი იყო, არამედ საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის ორგანიზატორი და ამასთანავე დიდი მასწავლებელიც.

ლენინი, როგორც ორთოდოქსალური მარქსიზმის შეუდარებელი თეორეტიკოსი, იბრძოდა არა მარტო პრაქტიკულ, არამედ თეორიულ ფრონტზედაც. რევოლუციონური პრაქტიკა შეუძლებელია რევოლუციონური თეორიის გარეშე,—გვასწავლის ლენინი და ამ დებულების საუცხოო განსახიერებას წარმოადგენს მთელი მისი მოღვაწეობა საზოგადოებრივ ასპარეზზე.

შრომის სკოლების და სპეციალური ტექნიკუმების მუშაობა სწორედ ამ პრინციპის განხორციელებისათვის არის მოწოდებული. თეორიისა და პრაქტიკას შორის მტკიცე კავშირის დამყარებით საფუძველი ეყრება ნამდვილ პოლიტიკურ მარქსისტულ სკოლას, რომელზედაც ლენინი მომავალი კომუნისტური საზოგადოების შექმნის საქმეში დიდ იმედებს ამყარებდა.

სკოლებში ლენინის დღის ჩატარებას უნდა დაუკავშირდეს 9 იანვრის ისტორიული ამბავი (სისხლიანი კვირა) არა მარტო იმიტომ, რომ ეს კვირა ქრონოლოგიურად უკავშირდება ლენინის გარდაცვალების დღეს, არამედ იმ შინაგანი კავშირის გამო, რომელშიაც ლენინიზმი იმყოფება რუსეთის რევოლუციონურ მოძრაობასთან.

1905 წლის რევოლუციის დროს ლენინი იძლევა კლასობრივ ძალების სწორ ანალიზს და იცავს პროლეტარიატის, როგორც ჰეგემონის როლს რევოლუციაში. 1905 წლის რევოლუციის სისწორით შეფასება საფუძვლად დაედო ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაქცევის საქმეს.

9 იანვრის ისტორიული ამბების გათვალისწინების დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმ შეხედულებებს, რომელსაც ლენინი ანვითარებდა ამ ისტორიული მოვლენის შესახებ.

პროლეტარული ნებისყოფა და ბუნება, რომელიც ლენინში შეუდარებლად განხორციელდნენ, გადაიქცა ძლიერ შემქმნელობის ძალად, რომლის შემწეობითაც შესაძლებელი გახდა საბჭოთა სახელმწიფოში საჭირო სოციალისტური აღმშენებლობის გზების. მეთოდების და საშუალებათა გამონახვა, მიუხედავად მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის დაგვიანებისა.

ლენინის პიროვნების გაგება უდიდესად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ბავშვებისათვის. ამიტომ ლენინის დღის ჩატარებას სკოლამ მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაუთმოს და მას დაუკავშიროს [illegible] კვირეულის წინაშე დასახული ამოცანები.

ამ დღისათვის საჭიროა სკოლის კოლექტივმა გაეცნოს ლენინის ცხოვრება-მოღვაწეობას და მის როლს საკავშირო კომუნისტური პარტიის ისტორიაში. ეს მუშაობა უნდა ჩატარდეს ყველა ჯგუფებში, ეს მუშაობა იქნება, როგორც საპროგრამო მასალის დამუშავება, ისე დამუშავებული მასალის გაფართოება. ამ დღისათვის სკოლები აწყობენ მოსაგონებელ დილას ან საღამოს. იწყობა პიონერების გამოსვლა, წარმოდგენები, ინსცენირებაც, და სხვა, რაც თავის შინაარსით დამახასიათებელი უნდა იყოს, როგორც ლენინის დამოკიდებულებისა ბავშვებისადმი, ისე ბავშვების დამოკიდებულების ლენინისადმი.

ის სკოლები, რომელნიც საშეფო მუშაობას ეწევიან სოფლებში, ემზადებიან ამ დღისათვის თავიანთი საშეფო სოფელში მუშაობის ჩასატარებლად. სკოლა უშვებს კედლის გაზეთს, სადაც აღნიშნული იქნება ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა. განსაკუთრებით სპეციალური ტექნიკუმების, ცხრაწლედების და სოფლის ახალგაზრდ. სკოლის მოწაფეებთან უნდა გაიმართოს მოხსენებები შემდეგ ძირითად თემებზე:

ა) ლენინი და კულტურული რევოლუცია.

ბ) ლენინის მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურისა და პროლეტარული რევოლუციის შესახებ.

გ) ლენინი—მუშათა და გლეხთა კავშირის შესახებ.

დ) ლენინის შეხედულებანი სოციალიზმის მშენებლობის შესახებ.

ე) ლენინი ნაციონალურ საკითხების შესახებ.

ვ) 9 იანვრის ამბების ისტორიული მნიშვნელობა.

მომხსენებლად ამ საკითხებზე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც საზ. მეცნიერების მასწავლებლები და მოწაფეები, ისე ადგილობრივ პარტიული და კომკავშირის ორგანიზაციების მომუშავენი.

აქვე მოგვყავს ამ საკითხების გარშემო საჭირო ლიტერატურა:

1. სტალინი „ლენინი და ლენინიზმი".
2. ლენინი „იანვრის დღეები 1905 წელში".
3. მაქსიმ გორკი—„9 იანვარი".
4. „9 იანვარი" — საკითხავი წიგნი.
5. 9 იანვარი 1905—25 წ.
6. გორკი—„9 იანვარი".
7. ერთი წელი ლენინის გარდაცვალებიდან.
8. ლენინი. 9 იანვარი.
9. ხადაროვსკი—ლენინი.
10. ლენინი და ახალგაზრდობა.
11. „ლენინი"—წერილების კრებული.
12. კონიაკოვ-ლეპინინი — „ლენინის დღე".
13. ლილინა—„ლენინი და ბავშვები".
14. კარნეევი — "6 დღე, რომელსაც არ დაივიწყებს საბჭოთა კავშირი".
15. ლილინა — „დიდი მასწავლებელი". (ქრესტომატია).

განათლების სახალხო კომისარის მოადგილე **მარიამ ორახელაშვილი.**

ამიერ-კავკ. ცაკში

მეთვალყურეობა რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებზე

ა.-კ. ცაკმა მიიღო დადგენილება რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებზე მეთვალყურეობის დაწესების შესახებ.

საერთო ხელმძღვანელობა, ინსტრუქციები, მიწოდება და მეთვალყურეობა დაკისრებული აქვს ა.-კ. ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს.

ყველა პერსპექტიული და წლიური გეგმები და აგრეთვე ხარჯთაღრიცხვები რესპუბლიკანური გზების გასაყვანად და შესაკეთებლად ადგილობრივი ტრანსპორტის რესპუბლიკანურ სამმართველოების მიერ წარდგენილი უნდა იქნეს სათანადო სახკომსაბჭოში, რომელიც მათ დასამტკიცებლად გზავნის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს საშუალებით ამიერ - კავკასიის სახკომსაბჭოში.

საკურორტო ყრილობა

გუშინ საკურორტო სამმართველოში შესდგა პირველი რესპუბლიკანური საკურორტო ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო ბიუროს სხდომა რომელმაც დაადგინა, რომ სრულიად საქართველოს პირველი საკურორტო ყრილობა მოწვეული იქნეს მიმდინარე წლის 20 თებერვალს. ყრილობაზე დასასწრებათ მოწვეული არიან ყველა დაინტერესებული სამკურნალო დაწესებულებათა წარმომადგენელნი, სადაც მდებარეობენ კურორტები, ყველა კურორტთა გამგეები, სანატორიუმების მუშაკთა წარმომადგენლები გაზეთებისა და „ზაკავტოპრომტორგის" წარმომადგენლები და სხ.

ყრილობის დღის წესრიგში შეტანილ საკითხთა შორის აღსანიშნავია: სანატორიუმების კეთილმოწყობა, ახალი კურორტების დაარსება, ავადმყოფთა მკურნალობის წესი კურორტებზე და კურორტების გამოკვლევათა ჩატარების შედეგები და სხვ.

ყრილობა გაიხსნება სოც.-ჰიგიენის კათედრის შენობაში.

ჩაის პლანტაციების გაფართოება

სახქომ საზ-ბა „საქართველოს ჩაი"-ს ხელმძღვანელობით მიმდინარე წლის განმავლობაში, თანახმად შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დამტკიცებულ ხუთწლიან პერსპექტიულ გეგმისა, დასავლეთ საქართველოში გაშენებულ უნდა იქნეს 1.500 დესეტინა ჩაის პლანტაცია, მიწის ასეთი რაოდენობის დამუშავების სამზადისს და საკმაო ჩაის თესლის მომარაგებას „საქართველოს ჩაი" დროზე შეუდგა.

გარდა ადგილობრივად მოგროვილ თესლისა, დათესილ იქნება საზღვარგარეთიდან შემოტანილი ინდოეთისა და ცეილონის ჯიშის ჩაის თესლი, რომელიც „საქართველოს ჩაი"-მ უკვე შეისყიდა. „ცენტროსოიუზის" ლონდონის განყოფილებამ 7 ამა იანვარს დეპეშით აცნობა „საქართველოს ჩაი"-ს, რომ შეკვეთილი პარტია ჩაის თესლისა უკვე გამოგზავნილია გემ „სარდეგნა"-თი.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს გლეხობა ძალიან დაინტერესდა ჩაის კულტურით. არის ისეთი რაიონები, განსაკუთრებით გურიაში, სადაც მოსახლეობა დაჟინებით მოითხოვს ჩაის პლანტაციების უფრო მეტი რაოდენობით გაშენებას, ვიდრე ეს პერსპექტიული გეგმით არის გათვალისწინებული. „საქართველოს ჩაი"-ს გამგეობამ მხედველობაში მიიღო გლეხობის ასეთი მისწრაფება და ყოველივე ღონეს ღებულობს, რათა მიმდინარე 1928 წლის განმავლობაში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 1.500 დესეტინისა, ჩაის პლანტაციები გააშენონ გაცილებით მეტ სივრცეზე. იმ მასალების მიხედვით, რომელიც დღეს - დღეობით საზოგადოების ხელში მოიპოება, შეიძლება ითქვას, რომ გეგმის შესრულებას გააშენონ ნორმაზე, ე. ი. 1.500 დესეტინაზე მეტი — 475 დესეტინით. მაშასადამე, სულ 1928 წლის განმავლობაში გაშენებული იქნება ორი ათას დესეტინამდე.

საქ. ცაკის სესიის გამო

მეუღლეთა ქონებრივი ურთიერ თობა საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა ახალი კოდექსის მიხედვით

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის № 28 დეკრეტით თვითეულ მეუღლეს შეეძლო ჰქონოდა თავისი საკუთარი ქონება, მეორე მეუღლისაგან დამოუკიდებლად. „ქორწინება არ ქმნის მეუღლეთა საერთო ქონებას"-ო, —ნათქვამია ამ დეკრეტში; თვითეულ მეუღლეს რჩება თავისი ქონება და მეორე მეუღლეს არავითარი უფლება ამ ქონებაზე არა აქვს. ეს პრინციპი მტკიცეთ არის გატარებული აღნიშნულ დეკრეტში, მაგრამ იგი. პროლეტარული შრომითი წესწყობილების განვითარების პირობებში, შეუფერებელი აღმოჩნდა. საბჭოთა სახელმწიფოში ქორწინება, მომეტებულ შემთხვევაში არის ორი მშრომელის კავშირი და აქ შეუძლებელია გამოირკვეს საერთო ქონების რა ნაწილი და სახელდობრ ვინ შემოიტანა იგი ოჯახში საერთოდ მოსახმარად. ცხოვრებამ წამოაყენა სულ სხვა პრინციპი, სახელდობრ ის, რომ ორივე მეუღლეს თანასწორი უფლება აქვს მთელ იმ ქონებაზე, რაც მათ მიერ შეძენილია ერთად ცხოვრების დროს.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში სასამართლო პრაქტიკამ ჯერ კიდევ 1923 წელს დაადგინა, რომ იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ერთი მეუღლე, ჯერჯერობით უმეტეს წილად, ცოლი, მუშაობს მხოლოდ სახლში. ემსახურება ოჯახს და არაფერი არ შემოაქვს გარედან, მისი მუშაობა უნდა ჩაითვალოს სასარგებლო მუშაობად და იგი ეთანაბრება მეორე მეუღლის მუშაობას. აქედან კი გამომდინარეობს ორივე მეუღლის თანასწორი უფლება ქორწინების დროს შეძენილ ქონებაზე. ეს დებულება სავსებით შეეფერება ჩვენი ხალხის ყოფაცხოვრების პირობებს და მის სამართლის შეგნებას. მიწის კოდექსით ის პირი, ვინც გლეხის კომლში შედის ქორწინების გზით ამ კომლის სრულუფლებიანი წევრია და ისევე შეუძლია ისარგებლოს მიწით და საერთო სარგებლობის ქონებით, როგორც კომლის მკვიდრ წევრებს. ამ რიგად, საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა ახალი კოდექსის პროექტმა. თუმცა არ უარჰყო ის დებულება, რომ ქორწინება არ აძლევს ერთ მეუღლეს უფლებას მეორე მეუღლის მიერ ქორწინებამდე შეძენილ ქონებაზე, მაგრამ გადადგა ნაბიჯი წინ და აღიარა, რომ ის ქონება, რაც მეუღლეთ შეუძენიათ ქორწინების დროს, შეადგენს ორივე მეუღლის საერთო ქონებას, ამასთან თვითეულ მეუღლის წილს, თუ მათ შორის დავა აღიძვრის, განსაზღვრავს სასამართლო. კოდექსის პროექტი ამბობს, რომ თუ მამაკაცმა და ქალმა, ხანგრძლივად ერთად ცხოვრების დროს შეიძინეს რაიმე განსაზღვრული ქონება, ამ ქონებაში ორივეს თავ-თავისი წილი აქვს.

ამრიგად კოდ. პროექტით მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის სფეროში ჩვენ ვხედავთ ორგვარ ქონებას.პირველ —ქონება, რომელიც ჰქონდა თვითეულ მეუღლეს ქორწინებამდე. იგი შეადგენს მხოლოდ მის საკუთრებას. ამ ქონების შესახებ მეუღლეთ შეუძლიათ დასდონ ერთმანეთთან ყოველგვარი კანონით ნებადართული ხელშეკრულება. ამ მხრივ მეუღლენი მოქმედობენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლივ, როგორც სრულიად უცხო პირნი. ქმარს შეუძლია განაგოს ცოლის ქონება ცოლისავე ხელმძღვანელობით, ასევე — ცოლსაც შეუძლია განაგოს ქმრის ქონება. ამასთან თვითეულ მათგანს უფლება აქვს ისევე ჩამოართვას ქონების გამგებლობა მეორეს, როგორც მოიქცეოდა მოურავად სხვა, უცხო პირი რომ ჰყოლოდა, ერთ მეუღლეს უფლება არა აქვს მაერიოს მეორე მეუღლის ქონების მართვა-გამგებლობაში, ამასთან, როგორც საერთოდ, არავის არ შეუძლია თავისი ნებით გადაიდეს სხვა პირის მეურვეობაში, საზოგადოდ ხელი აიღოს თავის ქონების გამგებლობაზე და ამის უფლება გადასცეს სხვას, ისე მეუღლეთაც არ შეუძლიათ დასდონ ერთმანეთთან შეთანხმება, რომლითაც ერთს მათგანს მიენიჭება მეორეს ქონებაზე ისეთი განსაკუთრებული უფლება რის მინიჭებაც გარეშე პირისათვის, კანონით, არ შეიძლება. საერთოდ ცოლსა და ქმარს შორის ყოველი ისეთი შეთანხმება, რაც კი ზღუდავს ცოლის და ქმრის უფლებას, სავალდებულო არ არის გარეშე პირისთვის, უფრო მეტიც; იგი. ვინაიდან კანონით ბათილად არის მიჩნეული, სავალდებულო არ არის თვით მეუღლეთათვისაც და მათ ყოველ წამს შეუძლიათ უარი სთქვან მის შესრულებაზე. ერთი სიტყვით, ცოლსა და ქმარს შეუძლიათ დასდონ ერთმანეთთან ქორწინებამდე შეძენილი ქონების მიმართ მხოლოდ ისეთი ხელშეკრულება თუ გარიგება, რომლითაც არ დაირღვევა მათი თანასწორობა, სულ სხვანაირად სწყდება საკითხი მეუღლეთა საერთო ქონების შესახებ, ამ ქონებას განაგებს ორივე მეუღლე, ურთიერთ შეთანხმებით. მაგალითად: ცოლი ქმართან ცხოვრების დროს ყიდულობს თავის სახელზე სახლს, შემდეგ ცოლ-ქმარი იყრება, მათ შუა ასტყდა დავა ქონების შესახებ, მიდიან სასამართლოში ქონების გასაყოფად, სასამართლომ საერთო გასაყოფ ქონებაში უნდა ჩარიცხოს ის სახლიც, რომელიც ცოლმა თავის სახელზე იყიდა და ოფიციალურად მის სახელზე ირიცხება.

ახალი კოდექსის პროექტი, № 28 დეკრეტისაგან განსხვავებით, აღნიშნულ წესს ავრცელებს იმ პირთა ქონებრივ ურთიერთობაზედაც, რომელნიც ფაქტიურად არიან შეუღლებული. № 28 დეკრეტი ამ მხრივ არ იცავდა ეკონომიურად უფრო სუსტი მხარის—ქალის ინტერესებს. ქალს უცხოვრია ქმართან, თუნდაც ურეგისტრაციო ქორწინებაში, 10-15 წელიწადი, უმუშავნია ოჯახში, უშრომია და მათ საერთო შრომით შეუძენიათ ქონება, გაყრის დროს კი ცოლისთვის მეტად საძნელო ხდება ამ საერთო ქონებიდან თავისი წილის გატანა. კოდექსი სხვანაირად უდგება ამ საკითხს. იგი პრინციპიალურად სცნობს რომ მამაკაცის და ქალის ერთად ცხოვრება განსაზღვრულ პირობებში უნდა ჩაითვალოს ქორწინებად, თუნდაც მათი ფაქტიური ურთიერთობა რეგისტრაციაში არ იყოს გატარებული და თუ ეს ასეა,მაშინ აუცილებლად საჭირო ხდება ისევე მოწესრიგდეს ამ პირთა ქონებრივი ურთიერთობა, როგორც მოწესრიგებულია იგი რეგისტრაციით ჩამოყალიბებულ ქორწინებაში მყოფ პირთათვის. თავის თავად ცხადია, რომ ქონებრივი ხასიათის საკითხების გადაწყვეტისათვის არავითარი მნიშვნელობა არ შეიძლება და არც უნდა ჰქონდეს იმას, გატარებულია ქორწინება რეგისტრაციაში თუ არა.

ხ. ხანკამალოვი.

წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა

გავიდა რვა წელი, რაც ამხ. ლენინმა გადმოისროლა ლოზუნგი „ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე არ უნდა დარჩეს არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი"-ო. უკვე ეს ათი წლის თავიც ვიდღესასწაულეთ, მაგრამ აღნიშნული ლოზუნგი ჯერ ნახევრადაც ვერ გაგვიტარებია ცხოვრებაში, რატომ მოხდა ასე? აკი თავიდანვე ამ საქმეს თითქო ყველა გამოეხმაურა, ბევრმა დაწესებულება-ორგანიზაციებმა მიჰყვეს ხელი დიდი ბელადის ანდერძის შესრულებას. პოლიტგანათლების მთავარსამმართველო პროფკავშირები, საზ-ბა „წერკუმსი", საშეფო საზოგადოება, აღმასკომები და სხვ. ერთმანეთს ეჯიბრებოდენ წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის საქმეში. მაგრამ სავალალო ის არის, რომ **ამ საქმეს ბევრმა მოკიდა ხელი და თვითეულმა მათგანმა თავისებურად. არ იყო აქ ერთი მეთაური, ერთი გეგმა, ერთი პროგრამა.** ვის სადაც სურდა იქ ხსნიდა სკოლას, ვის რაც სურდა, იმას ასწავლიდა, ზოგი ოთხი თვის კურსს აწესებდა წერა-კითხვის შესასწავლად, ზოგს ამისათვის თვე-ნახევარი და ორი თვე საკმარისად მიაჩნდა: სახელმძღვანელოები ათასგვარი იყო, ოღონდ კი ანბანი ყოფილიყო შიგ.

რა შედეგი მოგვიტანა ამგვარად დაწყებულმა საქმემ? ხარჯი დიდი, შრომა უფრო მეტი და ნაყოფი ნაკლები. ვის შეუძლია გვითხრას დანამდვილებით, რამდენმა შეისწავლა წერა-კითხვა იმ 369.000 სულიდან, რომელნიც სტატისტიკური აღწერით 1923 წ. ჩვენში წერა-კითხვის უცოდინარნი იყვნენ. ნამდვილ პასუხს ვერავისგან მიიღებთ. თუმცა არსებობს აპარატი. რომელიც აწარმოებს ამის აღრიცხვას, მაგრამ ივით მასაც ვერ მოუკრეფია სრული და სწორი ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი სალიკვიდაციო სკოლა იხსნება ყოველწლიურად და რამდენ მსმენელს უშვებენ ისინი, მეტსაც ვიტყვით, არც ის ცნობებია დიდად საიმედო, რომელნიც აპარატს მოეპოვება. ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ უდიდეს მაზრაში ადგილი ჰქონდა შემთხვევას, როდესაც იმ ანგარიშით, რომ მეტი გონორარი მიეღოთ, ზოგიერთ მასწავლებლებს საანკეტო ფურცლებში მკვდარი სულები ჩაეწერათ. ესეც რომ არ იყვეს, განა ამ საანკეტო ფურცლებში მოხსენებული ყველა წერა-კითხვის მცოდნეთ უნდა ჩაითვალოს? ბევრი მათგანი ისევ უცოდინართა არმიას შეუერთდა. მათი ცოდნა არ ყოფილა განმტკიცებული შემდეგი ხელმძღვანელობით და ნაჩქარევად შეძენილი ცოდნა ასევე ჩქარა იქნა დავიწყებული, აი მოკლე სურათი წ.-კ. უცოდინარობასთან ბრძოლის საქმეში დღემდე წარმოებულ მუშაობისა.

როგორც ვსთქვით, ამ დიდ საქმეში არ იყო ერთი ხელმძღვანელი ან, უკეთ რომ ვსთქვათ, ვერ იქნა გატარებული ეს ერთიანი ხელმძღვანელობა, ერთიანი პროგრამა და გეგმა. დაფანტულობა და შეუთანხმებელი მოქმედება საქმის ძალზე შემაფერხებელი გამოდგა.

დღეს აქ საქმეს სათანადო ყურადღება არ ექცევა, თითქო ყველაფერი რიგზე იყოს. ნამდვილად კი მდგომარეობა ასეთია:

1923 წ. სტატისტიკურ აღწერით წ.-კ. უცოდინართა რიცხვი საქართველოში, აჭარისტანის, აფხაზეთისა და ოსეთის გამოკლებით, 18-40 წ. ასაკიანებში უდრიდა 369.000 სულს. ოფიციალური ცნობით ამ წლიდან დღემდე შეუსწავლიათ წერა-კითხვა 136.000 სულს. მაშასადამე, დარჩენილა კიდევ 233.000 წ.-კ. უცოდინარი, ე. ი. ორი მესამედი. აქედან ცხადია, რომ წ.-კ. უცოდინარობის მოსასპობად ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი.

სინამდვილეში მდგომარეობა უფრო არადამაკმაყოფილებელია, ვინემ ეს ციფრები გვეუბნება.

ჯერ ერთი, სტატისტიკური ცნობები 1923 წელში წ.-კ. უცოდინართა შესახებ უსათუოდ უნდა იქნეს შევსებული იმ უცოდინართა რაოდენობით, რომელნიც გვყავდა მაშინ 18 წლის ასაკამდე. შეიძლება ამ რაოდენობამ ათეული ათასები მოგვცეს. ასე რომ, ფაქტიურად ჩვენში 1923 წ. არა 369.000, არამედ დაახლოებით 460.000 წ.-კ. უცოდინარი უნდა ვიანგარიშოთ. შემდეგ, შევეხოთ იმათ, ვისაც შევასწავლეთ წერა-კითხვა ამ ოთხი წლის განმავლობაში. სტატისტიკური აღრიცხვა გვაძლევს 136.000 სულს. ნამდვილად კი ეს რიცხვი უნდა შევამციროთ საგრძნობლად. და აი რატომ. ზევით ვსთქვით, რომ სალიკვიდაციო სკოლების კურსი განისაზღვრება 4 თვით, რომელიც ხანდახან ორ თვეზედაც დაჰყავდათ, ეს დრო კი ცხადია, ძალიან ცოტაა, რომ მსმენელმა ცოტად თუ ბევრად რიგიანად შეისწავლოს წერა-კითხვა. თუმცა ამ ნაკლის შესავსებათ შემოღებულია მეორე საფეხურის სკოლა მცირე მცოდნეთათვის, სადაც ექვსი თვის განმავლობაში მსმენელები, იბეჯითებენ რა გავლილს, იძენენ ახალ ცოდნას ყოველდღიურ საკითხების გარშემო, მაგრამ ასეთი სკოლები პირველ ხანებში თითქმის არ გვქონდა და ბოლო დროს კი მათი რიცხვი დაახლოვებით 15—20 პროც. თუ შეადგენს მთელი სალიკვიდაციო სკოლებისას. სალიკვიდაციო სკოლებში კურს დამთავრებულების ოთხი მეხუთედი რჩება მეორე საფეხურის სკოლების გარეთ და ბევრი მათგანი, ვერ ახერხებს რა ქოხ-სამკითხველოსთან დაკავშირებას, ჟურნალ-გაზეთების კითხვას თუ შეძენილ ცოდნის სხვა გზით განმტკიცება-გაფართოებას, სულ ივიწყებს რაც შეითვისა და კვლავ უცოდინარი რჩება. ამრიგად ნახსენებ 136.000 სულიდან უკანასკნელთა რიცხვს, თუ მეტი არა, თავისუფლად შეიძლება 36.000 კაცი მივაწეროთ, ამნაირად წერა-კითხვის უცოდინარი ჩვენში გაცილებით მეტია ვინემ ამას სტატისტიკა გვიჩვენებს.

რას გვავალებს ჩვენ ეს მდგომარეობა?

ყოველ შემთხვევაში ის მუშაობა რომელიც ამჟამად სწარმოებს ამ დარგში, ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად; და თუ ის სასწრაფოდ არ იქნა გამოცოცხლებული და გაღრმავებული, გაწეული შრომაც ფუჭად უნდა ჩაითვალოს.

წ.-კ. უცოდინარობასთან ბრძოლის საქმემ, ასე ვსთქვათ, პირველი ეტაპი უკვე გაიარა. სტიქიური, დაკვრითი ხასიათი, რომელიც მას ჰქონდა პირველ ხანებში, უსათუოდ უნდა შეიცვალოს. მომავალში საჭიროა მტკიცე გეგმიანი და სისტემატიური მუშაობა, და, რაც ყველაზედ უსაჭიროესია, უნდა მიეცეს მას მასიურ-საზოგადოებრივი ხასიათი. იმისათვის, რომ მუშას თუ გლეხს შეაგნებინო სწავლის აუცილებლობა, საჭიროა თვით მასთან ახლოს მისვლა მათ წრეში მუშაობა და შთაგონება. აქ უფრო მეტ ნაყოფს მოიტანს მეზობლების და ამხანაგების საშუალებით მათზე გავლენის მოხდენა, ვიდრე ცენტრიდან ცირკულიარებისა და მიწერილობების გზავნა. აქ უფრო ნაყოფიერად და მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუშაობა, ვიდრე რომელიმე სახელმწიფო ორგანოს მოქმედება.

ასეთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია ჩვენ გვაქვს —ეს არის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საზოგადოება—„წერა-კითხვა". მთავარი სიმძიმე მუშაობისა წ.-კ. ლიკვიდაციის საქმეში ამიერიდან გადატანილ უნდა იქნეს ამ საზოგადოებაზე. „წერა-კითხვა", შეიჭრება რა მუშათა და გლეხთა ფართო მასებში, მოიზიდავს თავის წრეში და ნელა, თანდათანობით ჩააბამს მათ კულტურული მუშაობის ფერხულში. სწორეთ ასეთი აზრი გამოსთქვა ამ საზ-ის შესახებ გასული წლის 19 მარტს კრემლში ამხ. მ. ი. კალინინის მონაწილეობით შემდგარმა სხდომამ. რომელსაც, გარდა საზ-ბის აქტიურ მუშაკებისა, დაესწრნენ საკავშირო კომპარტიის ცეკას, მოსკოვის კომიტეტის, კომკავშირის, პროფკავშირების, ქალთა ორგანიზაციების, განათლების კომისარიატისა და პროფესიურის წარმომადგენლები.

აღნიშნულმა სხდომამ, ხაზი გაუსვა რა საზ-ბა „წერა-კითხვა"-ს მნიშვნელობას წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში, საჭიროდ დაინახა გაეფართოებინა მისი ფუნქციები, აი რას ამბობს ამ სხდომის ოქმი: „რომ არ დაიქსაქსოს საზოგადოებრივი ძალები, რომელთა მონაწილეობაც ჩვენი ქვეყნის წინაშე დასმულ ძირითად კულტურულ ამოცანების გადაჭრაში აუცილებელია, საჭიროა გაფართოებულ იქნეს საზ-ბა „წერა-კითხვა"-ს ფუნქციები. „წერა-კითხვა" უნდა შეიქნეს ისეთ საზოგადოებად, რომელიც, გარდა წ.-კ. უცოდინარობისა და მცირე ცოდნის ლიკვიდაციისა, ხელს შეუწყობს საყოველთაო პირველდაწყებითი სწავლის შემოღებას და თვითგანვითარებითი მუშაობის წარმოებას".

ჩვენში კი ბევრნი ალმაცერად უყურებენ ამ საზოგადოებას და მის არსებობას გაუგებრობად ხსნიან. ასეთი აზრი არის ნაყოფი ამ საზ-ის მიზნების გაუთვალისწინებლობისა. დროა ასეთ მდგომარეობას ბოლო მოეღოს. საჭიროა ახლოს მივიდეთ საზ-ბა „წერა-კითხვა"-სთან, კარგად გავეცნოთ მის ამოცანებს და დავეხმაროთ მას დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებაში.

პირველ ყოვლისა საჭიროა გავფანტოთ ის ყალბი წარმოდგენა — თითქო საზ-ბა „წერა-კითხვა"-ს მიზანი მხოლოდ წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია იყოს. **საზ-ბა „წერა-კითხვა" მოწოდებულია [illegible] დონის ამაღლებას.** აი მისი მუშაობის მთავარი შინაარსი. [illegible] ამოცანა [illegible] რა თქმა უნდა არ არის ერთი და ორი წლის, გინდა ათეული წლების საქმე.

ხოლო გზები და საშუალებები, რომლებითაც საზ-ბა „წერა-კითხვა" ამ ამოცანას ემსახურება, არის მრავალგვარი, პირველი მათგანია მოზრდილთა შორის წ.-კ. უცოდინარობის მოსპობა. მაშასადამე, წ.-კ. უცოდინარობასთან ბრძოლა —ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია, იგი დასაწყისია იმ დიდი საქმისა, რომლის განხორციელება შემდეგში მოხერხდება. ამჟამად საზ-ბა „წერა-კითხვა"-ს მთავარი ყურადღება იქითკენაა მიქცეული, რომ შეასწავლოს ტექნიკური წერა-კითხვა ამ უცოდინართ, რომელნიც ჩვენში ასეულ ათასებს შეადგენენ. ამით კი ის გზას გაუკაფავს მათ შემდგომი განვითარებისათვის, ხოლო რომ ხელი შეუშალოს ამ უცოდინართა ლაშქრის თანდათანობით შევსებას მოზარდი თაობიდან, საზ-ბა „წერა-კითხვა" მიმდინარე წლიდან მიზნად ისახავს იზრუნოს იმ ბავშვების შესახებაც, რომელთაც ამჟამად ვერ იტევენ ჩვენი სკოლები. ყოველივე ბოროტება თავშივე უნდა იქნეს ჩაკლული. როდესაც დღეს დიდი შრომისა და ენერგიის ხარჯვა გვიხდება იმაზე, რომ შევაგნებინოთ უსწავლელ მოზრდილებს სწავლის აუცილებლობა, რატომ არ უნდა მივაწოდოთ იგი მას მაშინ, როდესაც თვით მიისწრაფვის აქეთკენ. ამგვარად საზ-ბა „წერა-კითხვა", ასე ვსთქვათ, ორი მიმართულებით ებრძვის წ.-კ. უცოდინარობას: ათხელებს რა წ.-კ. უცოდინართა რიგებს მოზრდილთა მხრივ, იგი ხელს უშლის ამ რიგების შევსებას მოზარდთა წრიდან.

შეასწავლის რა მსმენელებს ტექნიკურ წერა-კითხვას, „წერა-კითხვა" ღებულობს შემდეგ ზომებს ამ ცოდნის განსამტკიცებლად. ამისათვის იგი ხსნის მცირე მცოდნეთა სკოლებს, სადაც საუბრების საშუალებით და სათანადო სახელმძღვანელოებით მსმენელები ეცნობიან სხვადასხვა საკითხებს. ამ სკოლებიდან გამოსულნი იმდენად მომზადებულად უნდა ჩაითვალონ, რომ შეუძლიათ პოპულიარული ბროშურებისა და ჟურნალ-გაზეთების საშუალებით თვალყური ადევნონ პოლიტიკურ ცხოვრების მსვლელობას და უკანასკნელის მიერ წამოყენებულ საკითხებში გაერკვენ.

აქაც მათ ისევ საზ-ბა „წერა-კითხვა" ეშველება. ხსნის მათთვის ქოხ-სამკითხველოებს, ბიბლიოთეკებს და აწვდის ამ უკანასკნელებს ჟურნალ-გაზეთებს, ბროშურებს, წიგნებს, ხოლო ისეთებისათვის, ვინც მოისურვებს რომელიმე საკითხის ახლო გაცნობას, ან საერთო განვითარების გაღრმავებას, „წერა-კითხვა" აწყობს სათანადო თვითგანვითარებითი წრეებს, რომელნიც მუშაობენ შესაფერად მომზადებულ ხელმძღვანელის დახმარებით.

მაგრამ საზ-ბა „წერა-კითხვა" არ ზრუნავს მარტო იმათთვის, ვისაც პირველ დაწყებითი ცოდნის შეძენა სჭირდება. იგი ხელს უწყობს მშრომელებს უმაღლესი ცოდნის მისაღებადაც. ბევრია ჩვენში ისეთები, რომელნიც სიღარიბის გამო მოკლებული არიან საშუალებას უმაღლეს სასწავლებელში შესვლისა. ხოლო მათი ნიჭი და უნარი უეჭველია მშრომელ მოსახლეობას თვალსაჩინო დახმარებას გაუწევდა. ასეთებს საზ-ბა „წერა-კითხვა" შეძლებისდაგვარად აძლევს სტიპენდიას, აწვდის ერთდროულ დახმარებას და სხვ.

„წერა-კითხვა"-ს, გარდა ჩამოთვლილისა, დაკისრება კიდევ ერთი დიდი საქმე—საყოველთაო სწავლის შემოღებისათვის ხელის შეწყობა. ცხადია ასეთი უდიდესი რეფორმის გასატარებლად საჭიროა სერიოზული მზადება როგორც საბჭოთა ორგანოების ისე მოსახლეობის მხრივაც. სწორედ ეს უკანასკნელი — მოსახლეობის მომზადება — შეადგენს საზ-ბა „წერა-კითხვა"-ს მოვალეობას. პრაქტიკული ზომები საამისოდ გამომუშავებულ იქნება მოკლე ხანში.

საზ-ბა „წერა-კითხვა" უდიდეს მუშაობას აწარმოებს, რომელიც ძალიან რთულია თავისი შინაარსით.

ეს გარემოება გვავალებს ზურგი გაუმაგროთ ამ საზ-ბას და დავეხმაროთ მას ყოველმხრივ, რათა მან პირნათლად შესძლოს თავისი ამოცანების განხორციელება.

პ. სვანიძე.

მოსახლეობის მოძრაობა

საქ. სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს ცნობით, მმაჩის ორგანოები მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის აღრიცხვას არ აწარმოებენ სწორათ: მმაჩის ცნობით, 1926 წელში დაიბადა — 46.[illegible] გარდაიცვალა — 1[illegible].799. მოსახლეობის საკავშირო აღწერის ცნობით ამავე წელში დაიბადა — 74.[illegible], გარდაიცვალა — 21.567, 1927 წლის 10 პროცენტიანი სასოფლო სამეურნეო შერჩევითი აღწერის ცნობით ამავე 1926 წელში დაბადებულა — 74.483. გარდაცვლილა—24.195 კაცი.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ასე არა სწორი აღრიცხვა, სტატსამმართველოს აზრით გამოწვეულია არა მარტო მოსახლეობის შეუგნებელი მოპყრობით, ამ საქმისადმი არამედ იმითაც, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მოსახლეობის მოძრაობის აღრიცხვის საქმეს არ ეკიდება სათანადო სერიოზულობით. ამის გამო საქ. სტატისტიკის ცენტრალურმა სამმართველომ შუამდგომლობა აღძრა სახკომსაბჭოს წინაშე — გამოცემულ იქნეს სპეციალური დადგენილება, რომლითაც აღრიცხვის სწორი წარმოებისათვის პასუხისმგებლათ გამოყოფილი უნდა იქნის (ქალაქის. თემის და სოფლის) აღმასკომის წევრი: სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისათვის გამოყოფილი უნდა იქნეს სპეციალური ბინა; მოსახლეობა განთავისუფლებული უნდა იქნეს ყოველგვარ გადასახადისაგან, როგორც სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისათვის, აგრეთვე მმაჩისაგან ცნობების აღებისათვის; სასწავლებელში შემავალს აუცილებლად უნდა მოეთხოვოს მმაჩის ცნობა დაბადების შესახებ; დაბადება - გარდაცვალების რეგისტრაციის გვერდის ამხვევ მოსახლეობაზე დაწესებული უნდა იქნეს ჯარიმა— 50 მანეთამდე; სტატსამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოებს უნდა დაევალოს მმაჩის ორგანოების ინსტრუქტორა და კონტროლი; აღნიშნულ საქმის სისწორით წარმოების ზედამხედველობა უნდა დაევალოს საპროკურორო ზედამხედველობას და ის პირნი, (როგორც მოსახლეობა აგრეთვე პასუხისმგებელი მოხელენი) რომლებიც დაარღვევენ გათვალისწინებულ დებულებას, მიცემული იქნან პასუხისგებაში.

ა.-კ. ვაჭ. კომისარიატში

კრედიტები ბოსტნეულის დამზადებისათვის

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა შეადგინა ბოსტნეულის დამზადებისათვის კრედიტების მიწოდების გეგმა 1927—28 წლის მეორე კვარტალისათვის; კრედიტები მიეცემა კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

სომხეთში და საქართველოში კრედიტი სულ გაცემული იქნება 1.300.000 მანეთის რაოდენობით. კრედიტების მეტი ნაწილი გაცემული იქნება სახელმწიფო ბანკიდან.

მანუფაქტურის შემოტანა

ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წინაშე. რათა მიმდინარე საოპერაციო წლის მეორე კვარტალში გეგმის გარეშე შემოტანილი იქნეს ამიერ-კავკასიაში 13 ვაგონი ბამბეული მანუფაქტურა; აღნიშნული მანუფაქტურა განაწილებული იქნება აფხაზეთის მეთამბაქოეთა შორის.

ქრონიკა

ახალი ტიპის გზატკეცილები

ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ ტექნიკურ კომიტეტში განხილული იქნა ა.-კ. ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს მიერ შემუშავებული, ახალი ტიპის გზების გაყვანის ერთწლიანი გეგმა.

კომიტეტმა გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები მოიწონა, მაგრამ საჭიროდ სცნო გეგმის უფრო გრძელი ვადით შედგენა. ამასთანავე გამოითქვა აზრი, რომ გეგმაში შეტანილი იქნეს ცდები გაუმჯობესებულ გზების მშენებლობაში ადგილობრივ საშუალებათა (ბიტუმი, ნავთის ნაშთები და სხვა) გამოყენების შესახებ.

გარდა ამისა, კომიტეტმა ამ საქმის გასაცნობად საჭიროდ სცნო ადგილობრივ მუშაკების გაგზავნა საზღვარგარეთ და საბჭოთა კავშირის იმ ადგილებში, სადაც სწარმოებს ახალი ტიპის გზების შენება.

გაუმჯობესებულ გზების მშენებლობისათვის, ა.-კავკასიაში განზრახულია სპეციალური ლაბორატორიის მოწყობა, გზების პირობების შესასწავლად.

ექიმების უმუშევრობის გამოკვლევა

მედსანშრომის მუშაკთა კავშირის საექიმო სექცია ამ დღეებში შეუდგება ექიმთა უმუშევრობის გამოკვლევას. გამოკვლევის დროს შემოწმებული იქნება თვითეული უმუშევარი ექიმის მდგომარეობა და გამომუშავებული იქნება ზომები იმ ექიმთა მიმართ, რომლებიც კავშირის უმუშევარ წევრებათ ითვლებიან, სარგებლობენ უმუშევართა უფლებებით და ამავე დროს აქვთ კერძო პრაქტიკა.

თათბირი ხალიჩების წარმოების საკითხებზე

დღეს, 20 იანვარს, ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატში შესდგება თათბირი ხალიჩების წარმოების საკითხებზე: თათბირზე გაშუქებული იქნება ხალიჩების წარმოების ეხლანდელი მდგომარეობა და გამომუშავებული იქნება ღონისძიებები ხალიჩების წარმოების გასაფართოებლად და განსამტკიცებლად.

თათბირზე მოსმენილ იქნება მოხსენებები ადგილებიდან. პროვინციიდან ჩამოსული თათბირის მონაწილენი რეგისტრაციაში უნდა გატარდენ ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატში.

„საქართველოს ჩაი“-ს დივიდენდის შესახებ

ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო, რათა სააქციო საზ-ბა „საქართველოს ჩაი“-ს დივიდენდი ჩაის კულტურის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით, დარჩეს იმავე საზოგადოების განკარგულებაში 1927 წლიდან ხუთი წლის განმავლობაში.

საბჭომ საჭიროდ სცნო აღიძრას შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე.

ქარხნის გადატანა

ლითონის ტრესტი შეუდგა კალინინის სახელობის ქარხნის გადატანას ახალ შენობაში. ქარხნისათვის საჭირო ახალი შენობა ეწყობა ყვირილის ქუჩაზე (ყოფ. ხოშტარიას ქარხნის ძველ შენობაში).

ახალ შენობაში ქარხნის მოწყობა დასრულდება ერთ თვეში.

ჯილდოები საუკეთესო მეურნეთ

სააქციო საზ-ბა „საქართველოს ჩაიმ“ გადასდო 2 500 მანეთი, რომელიც ჯილდოთ მიეცემა საუკეთესო ჩაის მეურნე — გლეხებს.

ქუნთრუშა და ხუნაგი

იანვრის პირველ ნახევარში თბილისში ქუნთრუშით ავად გამხდარა 54 ბავშვი, და ხუნაგით—41. თბილისის აღმასკომის ჯან. განყოფილების ცნობით, უკანასკნელ კვირაში აღნიშნული სნებით დაავადმყოფების შემთხვევებმა იმატა, რაც უნდა მიეწეროს იმ გარემოებას, რომ 10 იანვრიდან სკოლებში მეცადინეობა განახლდა.

სამაგიეროთ შემცირებულია სიკვდილის შემთხვევები: 1 იანვრიდან 15-მდე ქუნთრუშით და ხუნაგით გარდაიცვალა 3 ბავშვი.

საზ-ბა „კენაფი“

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა საზ-ბა „კენაფ“-ის ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობა ქ. ბაქოს მაგივრად მოთავსებული იქნეს ქ. თბილისში.

სისხლის სამართლის მუზეუმი

აღმასკომის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ თბილისში მოაწყო სისხლის სამართლის მუზეუმი.

მევენახეობა

რუსეთის მიწსახკომმა შუამდგომლობა აღძრა შრომისა და თავდაცვის საბჭოს წინაშე, მევენახეობის რაიონებში ამერიკული სადედეების გასაფართოებლად 2 მილიონი მანეთის გაღების შესახებ სესხად. ამ თანხიდან საქართველოს მიეცემა 774.090 მანეთი, რომლის საშუალებით მიწად-მოქმედების კომისარიატი ამერიკულ ვაზის სადედეების არსებულ სივრცეს — 300 ჰექტარს — გააფართოვებს 550 ჰექტარამდე.

ბრინჯის შემოტანა

ა.-კ. მებამბეობის კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა ნახიჩევანის მხარისა და გეოკჩაი-აღდაშის რაიონებისათვის უცხოეთიდან შემოტანილი იქნეს ბრინჯის საკმაო რაოდენობა. ბრინჯის გაგზავნა ამ რაიონებში აუცილებელია, რადგან ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც ვერ ღებულობს საიმპორტო ბრინჯს, მებამბეობიდან გადადის ბრინჯის თესვაზე, რაც რეალურ მუქარას ქმნის მებამბეობისათვის.

თბილისის აღმასკომში

◆ **საანგარიშო კამპანია.** თბ. აღმასკომმა გადასწყვიტა საანგარიშო კამპანია ჩატარდეს: მაზრაში—თებერვლიდან, ქალაქში—მარტში.

◆ **წყალსადენი.** სოფელ ბაგებში წყალსადენის გასაყვანად აღმასკომმა გადასდო 1.000 მანეთი.

◆ **საბეითლო საქმის გასაუმჯობესებლად** მაზრაში გადადებულია 68.230 მანეთი

◆ **აგრო-დახმარება.** მაზრაში აგრო-დახმარების საქმის გასაფართოებლად საადგილ-მამულო განყოფილებას გადაეცა 143.668 მანეთი.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატში

◆ **მივლინება.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა სისხლის სამართლის ტეხნიკის შესასწავლად მოსკოვში მიავლინა თბილისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსის მოადგილე შ. მელაძე.

შ. მელაძის მოვალეობის დროებით შესრულება დაევალა მილიციის ინსპექტორს ი. ხანჯარიას.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

პლენუმი. 23 იანვარს, დღის 12 საათზე შესდგება სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმასბიუროს მორიგი პლენუმი.

სახ. უნივერსიტეტის კლუბში, დღეს, 20 იანვარს, დღის 2 საათზე დანიშნულია უნივერსიტეტის სამეცნიერო თანამშრომელთა საერთო კრება, რომელზედაც მოხდება მეცნიერების მუშაკთა სექციის რესპუბლიკანურ კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევნები.

მიწსახკომში

◆ **გამოკვლევა.** მიწსახკომი შეუდგა სოფლის ეკონომიურ პირობების გამოკვლევას.

◆ **ხორბლის გაწმენდა.** მიწსახკომის ადგილობრივმა აგრონომიულმა ორგანოებმა სიღნაღისა და თელავის მაზრებში დაასრულეს სათესლე ხორბლეულის გაწმენდის კამპანია. თელავის მაზრაში გაწმენდილ იქნა გლეხების 100 000 ფ. ხორბალი, სიღნაღში—20.000 ფ.

◆ **მინდვრის მეურნეობის მოსავლის** ასაწევად მიწსახკომი ადგილებზე აწყობს სანიმუშო მეურნეობებს.

◆ **მებაღეობა.** მიწსახკომმა გადასწყვიტა წელს გააფართოვოს ხეხილის სანერგეების სივრცე.

სხვადასხვა

◆ **ხე-ტყის გატანა.** სატყეო ტრესტი წელს მოკავშირე რესპუბლიკებში გაიტანს 1.627.500 მან. ხე-ტყის მასალას.

◆ **თამბაქო.** წელს მთელ საქართველოში სულ დამზადებული იქნება 528.500 ფ. თამბაქო.

◆ **„სოფლის კავშირი“** წელს დაამზადებს 176.000 მანეთის ბეწვიან ტყავეულობას.

◆ **ვაშლი.** წელს საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ ბაზრებზე გატანილი იქნება 60.000 ფუთი ვაშლი.

ქუთაისი

როგორ მუშაობს უმუშევრობასთან მებრძოლი კოლექტივი

უმუშევრობის წინააღმდეგ მებრძოლი კოლექტივი ერთი იმ ორგანიზაციათაგანია, რომელთაც მიზნათ დაუსახავთ მშრომელთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება სამუშაოს მიწოდებით და სხვა დახმარების აღმოჩენით.

დაარსდა ის 1923 წელში, მაგრამ ნამდვილი კოლექტივის სახით ჩამოყალიბდა მხოლოდ 1925 წელში. მას შემდეგ ის, თუმცა ნელის ნაბიჯით, მაგრამ მაინც იზრდება.

ამ ჟამად კოლექტივი აწვდის სამუშაოს 200 მდე უმუშევარს. კოლექტივს აქვს სავაჭრო-საკომისიო, საწარმოო და შრომის დარგის განყოფილებები. მათ შორის: ა) სავაჭრო-საკომისიო (უნივერსალური)—2, ბ) საწარმოო—8 (ფეხსაცმელების, ტანსაცმელების, ჩოთქების, კალათების საწნავი და სამკინძველო სახელოსნოები, პარკეტის ქარხანა, სასადილო და ფურნე) და გ) შრომის დარგის—2 (საპარიკმახერო და საექსპედიციო კანტორა). გარდა ამისა, დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც კოლექტივმა შეიძინა კერძო ამხანაგობისაგან წისქვილი, რომელიც მას, უთუოდ საგრძნობ მოგებას მისცემს.

კოლექტივის თვიური ბრუნვა უდრის საშუალოდ 30.000 მანეთს.

წარსული 1926-27 საოპერაციო წლის განმავლობაში კოლექტივს დარჩა წმინდა მოგება 1.800 მანეთამდი.

აქ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ კოლექტივი უფრო საღ და მასთან უფრო იაფ საქონელს აწვდის მუშტარს, ვიდრე კერძო ვაჭარ-მრეწველები.

საჭიროა ჩვენმა ორგანიზაციებმა სათანადო ყურადღება მიაქციონ ამ ორგანიზაციას და მით ხელი შეუწყონ მის გაფართოებას.

დონ—ვალიანი.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„კოპპელია“

სახელმწიფო ოპერის ბალეტი ამჟამად ამზადებს მორიგ საბალეტო პრემიერა „კოპპელიას“. მისი დადგმა მინდობილი აქვს ბალეტმეისტერ არბატოვს.

„კოპპელია“ ორ მოქმედებიანი საბალეტო წარმოდგენაა. მისი დადგმა განზრახულია შაბათს, 21 იანვარს არაყიშვილის ოპერა „სიცოცხლე-სიხარულისას“ შემდეგ. „კოპპელია“-ში მონაწილეობას იღებენ: **ლ. გვარამაძე, თ. ჭაბუკიანი, მარ. ბაუერი, ევ. სემიონოვა; ირ. ლასკარი, ბარხუდაროვი, გურსკი, სულხანიშვილი** და სხვ.

„კოპპელია“-ს შემდეგ სახელმწიფო ოპერის ბალეტი დასდგამს „შეხერაზადას“, მუსიკა რიმსკი - კორსაკოვის. „შეხერაზადაში“ მთავარ როლებს შეასრულებენ სახელმწიფო ოპერის პრიმა - ბალერინა თამ. ჭაბუკიანი და ბალეტმეისტერი არბატოვი. „შეხერეზადას“ დადგმა განზრახულია თებერვლის შუა რიცხვებში.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **„რაზლომ“.** მუშათა თეატრის რუსული დრამა დღეს დადგამს „რაზლომ“-ს.

◆ **ოპერის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „ტრილბი“.

◆ **რუსთაველის თეატრში** დღეს გაიმართება წარმოდგენა თურქულ ენაზე.

◆ **მუშათა ახალ კლუბში.** დღეს მუშათა თეატრის ქართული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება: „შეთქმულება“.

◆ **კონსერვატორიის დარბაზში** დღეს გაიმართება ლ. ჩიკვაიძის და ვ. ჭაბუკიანის კონცერტი.

◆ **გრიქუროვას საღამო.** 23 იანვარს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება დამსახურებულ მსახიობი ქალის გრიქუროვას საღამო.

დღეს კინოებში

◆ **მინიონი**—„ილონა“ ლია დე-პუტტის მონაწილეობით.

◆ **პალასში**—„მონტეკარლოს დასასრული“.

◆ **არფაისტოში**—„მთის კანონი“.

◆ **სოლეიში**—„მთის კანონი“.

◆ **აპოლოში**—„მთის კანონი“.

◆ **დარბაზში**—„ვარიეტე“.

სასამართლო

ერთი ღამე „ტყვეობაში“

მოგითხრობთ ამბავს ორი ძმის „გმირული“ ბრძოლისა მილიციელების წინააღმდეგ.

ამბავი მოხდა 15 იანვარს თბილისში.

თედორე და პეტრე გრიბკოვები თავის ოჯახში სუფრაზე ერთმანეთს შეეჯიბრენ პირველობაზე ღვინის სმაში. შეჯიბრების შედეგის სავსებით გამორკვევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ გუშინ სამორიგეო კამერაში.

პეტრემ რეტ დასხმული ქათამივით დაიწყო ბზრიალი, თედორემ დალეწა ყველაფერი, რასაც კი მოერია.

ძმებმა „შეჯიბრი“ გადაიტანეს მეზობელ ხასიტოვის ოჯახში. სცემეს ხასიტოვს, სცემეს მის ცოლს, შემდეგ გადმოაბრუნეს მათივე მესამე ძმა მიხეილი და „სიგრძე განათ უქციეს“.

„დარბილებული“ ხასიტოვი მიდის მე-11 სამილიციო უბანში და ითხოვს შველას. საგუშაგოზე მდგომ მილიციელს ეგზავნება უფროსის მიმართვა: „სასწრაფოდ დაატუსაღეთ ორივე და აქ მოიყვანეთ“.

მილიციელი მიდის, შეაღებს ოთახის კარებს, მაგრამ ძმები კიბის კვრით გადმოუშვებენ მილიციელს კიბიდან.

მილიციელი ითხოვს დამხმარე ძალებს. კომისარიატი გზავნის დასახმარებლად სამ მილიციელს და ერთ მეეზოვეს კომბლით.

ძმები მხნედ სდგანან კარებთან. მიუახლოვდებათ თუ არა მილიციელი—სტაცებენ ხელს საყელოში და გააგდებენ შორს.

მილიციელები ითხოვენ კიდევ დამხმარე ძალებს.

კომისარიატიდან იგზავნება მთელი ჯგუფი მილიციელებისა.

ძმებმა ჩაიკეტეს კარები.

მილიციელები გარს უტრიალებენ ოთახს. თედორე და პეტრე წამოგორებული არიან ლოგინზე და გულიანად ხარხარებენ.

ქალაქის მილიციის მორიგეს ტელეფონით ატყობინებენ, რომ ასეთი რთული მდგომარეობაა და როგორ მოვიქცეთო.

— დააყენეთ მცველები კარებთან დილამდე და დილით დამხმარე ძალების შემწეობით იწარმოეთ როგორმე დაპატიმრება,—იძლევა განკარგულებას ქალაქის მილიციის მორიგე.

მთელი ღამის განმავლობაში ყარაულები არ მოაცილებიან გრიბკოვების ოთახს.

გათენდა. გრიბკოვებს მაგრად სძინავთ. მილიციელი აწვება კარებს და თან აბრახუნებს.

— ეს ოჯახ დაქცეულები, კიდევ არ წასულან?—თვალების ფშვნეტით ჩაილაპარაკა თედორემ და წამოდგა.

— მოშორდით აქედან, თორემ ისე გადაგაკოტრიალებ აქედან, რომ შენმა პატრონმაც ვერ გიპოვოს,—დაიღრიალა თედორე გრიბკოვმა.

მილიციელი კიდევ ითხოვს დამხმარე ძალას.

კიდევ იგზავნება მთელი ჯგუფი მილიციელებისა.

როგორც იქნა დიდის ვაი-ვაგლახით მილიციელებმა მეორე დღეს მოახერხეს გრიბკოვების დაპატიმრება.

გრიბკოვები გუშინ გაასამართლა სამორიგეო კამერამ ამხ. გაბუნიას თავმჯდომარეობით.

თედორე გრიბკოვს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 თვით, მის ძმას პეტრეს 6 კვირით.

ლორი, ქელეხი და საზიზღარი მკვლელობა

ამბავი იწყება ლორიდან, ვითარდება ქელეხში და თავდება საზიზღარი მკვლელობით.

გასული წლის დეკემბერში ალბულაძის სახალხო სასამართლომ ადგილობრივ მცხოვრებლებს **პეტრე გაგლოევს** და **ანტონ გიკაევს** ლორის ქურდობისათვის მიუსაჯა ექვსი თვის ციხე.

გამასახლში ყოფნის დროს პეტრე გაგლოევს გადასცეს, რომ ლორის პატრონს ფიქრადაც არ ჰქონდა გასაჩივრება, ყველაფერი ეს ჩააგონა მას მისმა მეზობელმა ვასილ წირიტოვმა.

— მაშ, ასეა? შეურაცხვეს ჩემი ვაჟკაცობა (ლორის ქურდობის ვაჟკაცობა!) თუ ლორივით არ გამოვღადრო ყელი,—დაემუქრა წირიტოვს ჯერ კიდევ ციხეში ყოფნის დროს პეტრე გაგლოევი.

მოიხადეს სასჯელი ლორის ქურდებმა. გასული წლის თებერვალს მეზობელ სოფელში ვინმე გიკაევმა „სულის საცხონებელი საქმე“ ჰქნა, რითაც სამუდამოდ გააუბედურა ერთი ოჯახი. გიკაევმა გამართა ქელეხი. ქელეხზე, რასაკვირველია, საპატიო სტუმრები იყვნენ— უმუშევარი „სულიერი მამები“ და ქეიფის მაკიებელი ფუქსავატები. ამ ქელეხზე იყვნენ ორივე ვასილ წირიტოვი, პეტრე გაგლოევი და სხვ..

საღამოს ქელეხი გათავდა და ღვინით დახნეული სტუმრები აიშალენ. ვასილ წირიტოვი თავის ამხანაგებთან—სლანიშვილთან და გიკაშვილთან ერთად გაუდგა გზას სახლისაკენ.

რამდენიმე მანძილის გავლის შემდეგ წირიტოვს ცხენით დაეწია პეტრე გაგლოევი და შორიდან შესძახა:

— ეხლა ხომ ჩაგივარდი ხელში, ეხლა გამოჩნდება ვინ არის უკეთესი ვაჟკაცი!

გაგლოევი გადმოხტა ცხენიდან და ხანჯალ ამოწვდილი გაექანა წირიტოვისაკენ. წირიტოვმაც იძრო ხანჯალი.

სლანიშვილი და გიკაშვილი ჩადგენ მოზავეებად. ერთმა დაიჭირა წირიტოვი, მეორემ გაგლოევი.

— გამიშვი, შენი... დაიყვირა გაგლოევმა და გამშველებელ სლანიშვილს დაჰკრა ხანჯალი მაჯაზე და მაჯა გადაუჭრა.

— შენ მე მიჭერავ, გინდა გაგლოევმა მომკლას? შენც ჩაგაძაღლებ,—დაიღრიალა წირიტოვმაც და ხანჯალი დაჰკრა მკლავზე გიკაშვილს.

გამშველებლები ორივე დაჭრილია. ეხლა ხანჯალ ამოწვდილი მტრები ერთმანეთს პირისპირ შეხვდენ, დამკავებელი არავინ არის.

ისმის ხანჯლების ჩახა-ჩუხი. სისხლი სდით ღვარივით ორთავეს.

— გავიქცეთ, ხალხი შევყაროთ,—სთქვეს გამშველებლებმა და ხალხის დასაძახებლად გაეშურენ.

გაგლოევი და წირიტოვი სჩეხენ და სჩეხენ ერთმანეთს. ფერდობი ადგილია. ორივე მოწინააღმდეგე დაგორდა. ხანჯალს კი გორვის დროსაც ურტყამენ ერთმანეთს.

წირიტოვი დაიცალა სისხლისაგან. ოცდახუთი ჭრილობიდან სისხლი ჩანჩქერივით გადმოდის.

გაიმარჯვა გაგლოევმა. წირიტოვი დაეცა თოვლზე.

ამ დროს გამოჩნდა გაგლოევის ძმა.

გამოექომაგა ისედაც გამარჯვებულ ძმას, შესვა ცხენზე, გაისტუმრა, ცოცხალ მკვდარი წირიტოვი კი გადაათრია ღელეში და დააგდო.

ხალხი რომ შეიკრიბა უბედურების ადგილს წირიტოვს სიცოცხლის ნიშანი აღარ ჰქონდა.

ძმები პეტრე და ივანე გაგლოევები დაპატიმრებული არიან.

საქმე მალე გაირჩევა.

ბერ.

შემთხვევები

ბრძოლა უბედურ შემთხვევებთან

ამ უკანასკნელ ხანებში ქალაქში გაიზარდა უბედური შემთხვევების რიცხვი.

დადასტურებულია, რომ უბედური შემთხვევები ქუჩაში გამოწვეულია შოფერების და ვატმანების დაუდევრობით.

ა.-კ სატრანსპორტო საზოგადოებამ გაითვალისწინა რა ეს გარემოება — გადასწყვიტა სასტიკი ბრძოლა აწარმოოს დაუდევრობის წინააღმდეგ.

შემუშავებულია მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც გატარდება ცხოვრებაში

ამ დღეებში ტეხნიკური ინსპექცია დაათვალიერებს ამიერ - კავკასიის ყველა ავტო-მანქანებს და განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს საჭის სისტემას, მუხრუჭების და მოწყობილობის მდგომარეობას.

ტრამვაის პერსონალს ნაბრძანები აქვს არ უშვას ვაგონზე მთვრალი მოქალაქე.

ყურადღება ექნება მიქცეული იმ გარემოებას, რომ ვაგონის გასაჩერებელი ადგილები საკმაოდ იყოს განათებული.

უეცარი სიკვდილი

გუშინ, დილით სადგურის ქუჩაზე უეცრად გარდაიცვალა უცნობი მამაკაცი, დაახლოვებით 50 წლისა.

გარდაცვალებულის ვინაობის გამოსარკვევად გვამი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოს პროზექტორიაში.

ყალბი ბლანკებით

ა. წ. 9 იანვრიდან სახელმწიფო გამომცემლობის ცენტრალურ მაღაზიიდან (რუსთაველის პროსპექტი) ვიღაც ბოროტმოქმედებს ყალბი ბლანკებით გამოჰქონდათ წიგნები.

სათანადო თვალყურის დევნების შემდეგ ბოროტმოქმედნი დააპატიმრეს. ისინი აღმოჩნდნენ: ივანე ნიკოლოზის ძე ლეჟავა და ირაკლი ლეონტის ძე ხაჩიძე.

ვისია ნივთები

გორის მაზრის სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ნაქურდალი საექიმო ხელსაწყოები, ოქროს ბეჭდები და სხვადასხვა ნივთები.

ცეცხლის წაკიდება

შურისძიების მიზნით სოფ. სოღანლუღში ბოროტმოქმედებმა ცეცხლი წაუკიდეს მოქ. შაფარ-ოღლის თივის ზვინს. როგორც კი შენიშნეს ცეცხლი, მცხოვრებლები გაეშურენ ხანძრის ჩასაქრობად, მაგრამ ცეცხლის წამკიდებლებმა მათ მახლობელ გორაკიდან აუტეხეს სროლა და არ მისცეს საშუალება ცეცხლი ჩაექროთ.

მილიციამ ბოროტმოქმედნი დააპატიმრა.

ხანძრით გამოწვეული ზარალი უდრის 500 მანეთს.

თავის მოწამვლა

გუშინ, დილით, თვითმკვლელობის მიზნით ნიშადურის სპირტით თავი მოიწამლა ალექსანდრე კრავჩენკომ (მც. ლენინის ქ. № 4).

მოქ. კრავჩენკო სიკვდილს გადაარჩინეს.

ჯიბგირის დაპატიმრება

გუშინწინ მეცხრე სამილიციო რაიონის თანამშრომლებმა დააპატიმრეს ივანე სოლომონის ძე ლეონტი, რომელმაც ერევნის ქუჩაზე ტრამვაის რონოდაში ჯიბეში ხელი ჩაუყო ერთ-ერთ მგზავრს ფულის ამოცლის მიზნით

რედიკულების „მოყვარული“

გუშინ, სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მიხეილ ნიკოლოზის ძე სტეფანოვი, რომელიც დაწესებულებებიდან და სავაჭრო მაღაზიებიდან იპარავდა რიდიკულებს.

კაცის დაკარგვა

15 იანვარს უგზო-უკვლოდ დაიკარგა ხარიტონ გიორგის ძე აირაპეტოვი, 18 წლისა (მცხ. კალინინის ქ. № 8).

— გასული წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში 14 წლის ირაკლი (ირა) დათიაშვილი (მცხოვრები დიღმიდის ქ. № 4) დაიკარგა უგზო-უკვლოდ. დაკარგულის მშობლები სთხოვენ ყველას, თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, აცნობონ აღნიშნული მისამართით—დათიაშვილს.

მტკვარში გადავარდნა

გუშინწინ ღამით თავის დახრჩობის მიზნით მტკვარში გადავარდა ივანე ისაევი.

ისაევი დახრჩობას გადაარჩინეს.

მატყლის დამზადება

„სოფლის კავშირმა“ ხელშეკრულება დასდო „ჟივოტნოვოდსოიუზთან“ გაზაფხულის მატყლის დამზადების შესახებ. ხელშეკრულების თანახმად გაზაფხულის მატყლი დამზადებული უნდა იქნეს 40.000 ფუთის რაოდენობით. მატყლის დამზადებას „სოფლის კავშირი“ აწარმოებს მხოლოდ სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის საშუალებით.

„სოფლის კავშირს“ განზრახული აქვს მიმდინარე წლიდან ადგილობრივ მოაწყოს მატყლის გარეცხვა.

საქართველოდან რუსეთში ყოველ წლიურად იგზავნება რამოდენიმე ათეული ათასი ფუთი მატყლი. მატყლი რუსეთში იგზავნებოდა გაურეცხელი, რაც დაკავშირებული იყო ზედმეტ ხარჯებთან (უსუფთაობის გადაზიდვაზე იხარჯებოდა საგრძნობი თანხები). ამის გამო წარმოიშვა აზრი მატყლის აქვე გარეცხვის შესახებ. ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას ხელს უშლიდა შიში, რომ მტკვრის წყალი ცუდ გავლენას მოახდენს მატყლზე და მას უვარგისათ აქცევს მრეწველობისათვის.

ამჟამად მოწვეულია სპეციალისტთა კომისია, რომელსაც დავალებული აქვს გამოარკვიოს ვარგა თუ არა მტკვრის წყალი მატყლის გასარეცხად.

მატყლის ადგილობრივ გარეცხვით სამუშაო გაუჩნდება რამოდენიმე ათეულ მომუშავეს, შემცირდება გადაზიდვის ხარჯები და ამ ეკონომიის ანგარიშზე შესაძლებელი გახდება მატყლის დასამზადებლად ფასების გადიდება.

ბიბლიოგრაფია

„საქართველოს ეკონომისტი“ ყოველთვიური ეკონომიური ჟურნალი

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოს ორგანო (გვ. 128)—დეკემბერი 1927 წ. № 12—ფასი 1 მან.

ერთ წელიწადზე მეტია, რაც საქართველოში გამოდის სპეციალური ეკონომიური ყოველთვიური ჟურნალი. ასეთ ჟურნალს საქართველოში ისტორია არა აქვს. თუ არ ჩავთვლით შემთხვევით ხასიათის რამოდენიმე გამოცემას, რომელიც ერთი წლის განმავლობაში სისტემატიურად არ უარსებიათ, „საქართველოს ეკონომისტი“ პირველი მაგალითია—სპეციალურ-ეკონომიურ პერიოდულ გამოცემის, თავის არსებობის განმავლობაში მას, რასაკვირველია, მრავალი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ მთლიანად, შეიძლება ითქვას, რომ მან გაამართლა ის სერიოზული ამოცანები, რომელიც მას დასახული ჰქონდა. საქართველოს სახალხო მეურნეობის ყოველი დარგი (მრეწველობა, სასოფლო-მეურნეობა, ვაჭრობა, ფინანსები და ტრანსპორტი) გაშუქებას ჰპოვებს ჟურნალის სხვადასხვა ნომერში.

სარეცენზიო მეთორმეტე ნომერში, განსაკუთრებული ყურადღება დათმობილი აქვს ნედლეულობის პრობლემას, ამით აიხსნება ჟურნალში განმტკიცებული წესის დარღვევა და მრეწველობის განყოფილების ნაცვლად პირველ რიგში სოფლის მეურნეობის განყოფილების მოთავსება. ასეთი განსაკუთრებული ყურადღება ნედლეულობის პრობლემისადმი სავსებით თავისდროულია და გამართლებულია საბჭოთა კავშირის თანამედროვე ეკონომიური ვითარებით. ნედლეულობის პრობლემა ერთის მხრივ ებჯინება ჩვენი მრეწველობის შემდეგ განვითარების შესაძლებლობას, მეორეს მხრივ კი იგი უშუალოდაა დაკავშირებული იმპორტის შემცირების და ექსპორტის გადიდების საკითხთან. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნედლეულობის პრობლემას საქართველოში, სადაც წმინდა ბუნებრივ პირობათა გამო სამრეწველო ნედლეულის მომცემ შრომის ტევად კულტურათა განვითარებას მდიდარი შესაძლებლობანი აქვს.

მეთაური „მე-15 ყრილობის დირექტივები“ მოკლედ აცნობს მკითხველს ამ მნიშვნელოვან ყრილობის დირექტივებს სახალხო მეურნეობის განვითარების 5 წლიან საპერსპექტივო გეგმის შედგენაში.

სოფლის მეურნეობის განყოფილებაში სამი წერილი დათმობილი აქვს ნედლეულობის პრობლემას: **ა. ჭუმბურიძე**—ნედლეულობის პრობლემა. **ი. ნარსია**—საქართველოს ნედლეულობის ბალანსი და ექსპორტი და **ნ.**—კოოპერაციის როლი ნედლეულის დამზადებაში. ა. ჭუმბურიძე სვამს მეტად საგულისხმო საკითხს საქართველოს სოფლის მეურნეობის და ბიუჯეტის ურთიერთობის შესახებ და იმ დასკვნამდე მიდის, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამრეწველო ნედლეულის მომცემ დარგებს სახელმწიფო ბიუჯეტი გაცილებით უფრო ნაკლებს აძლევს, ვიდრე ის თვით ღებულობს ხსენებულ დარგებიდან.

საინტერესოა, რომ ჟურნალის ამავე ნომერში მრეწველობის განყოფილებაში (გვ. 66) მოთავსებულია ბიუჯეტისა და მრეწველობის ბალანსი 1925—26 და 1926—27 წელში საიდანაც სჩანს, რომ 1925—26 წლიდან ბიუჯეტი მეტს ხარჯავს მრეწველობაზე, ვიდრე იღებს მრეწველობიდან. სასურველი იყო ავტორს ასეთი ბალანსი მოეთავსებინა სოფლის მეურნეობის და ბიუჯეტის ურთიერთობის სამი წლის განმავლობაში შესადარებლად სოფლის მეურნეობის განყოფილებაში. მოთავსებულია აღნიშნულ წერილების გარდა **ვ. გოგილაძის** „მიწად მოწყობის ორი საკითხი“ პირველი ამ საკითხიდან შეეხება მიწის სარგებლობის მრავალნაკვეთიანობას და მეორე კი მიწის ნაკვეთების ფორმებს. შემდეგ მიდის **ს. ქვარიანის** წერილი „მელიორაცია ძველ საქართველოში“ წერილს არა აქვს სწორი სახელწოდება, რადგანაც არსებითად შეეხება მორწყვის საქმეს, მელიორაცია კი გაცილებით უფრო ფართე ცნებაა.

მრეწველობის განყოფილებაში მოთავსებულია ორი წერილი: **არ. მიქელაძის** საქ. მრეწველობის ფინანსიური მდგომარეობა და **პროფ.** **კრაევსკის** „ელექტროფიკაციის თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები საბჭოთა კავშირში“ ავტორი მნიშვნელოვანი ავტორიტეტია ელექტროფიკაციის საქმეში იმ კავშირში საინტერესოა მისი მოსაზრებანი ამ საკითხის შესახებ, სუსტია მხოლოდ არგუმენტი, რაც მკითხველს წაკითხვის სურვილს უკარგავს.

ჟურნალის წინაშე სდგას გადაუდებელი ამოცანა მრეწველობის განყოფილების გაძლიერების. ეს შეეხება არა მარტო სარეცენზიო ნომერს, არამედ ყველა წარსულ ნომრებსაც აუცილებელია, რომ ჟურნალმა ფართოდ გააშუქოს ჩვენი კაპიტალური მშენებლობის საკითხები. დღეს ჩვენში დიდის მასშტაბით ხორციელდება კაპიტალური მშენებლობა, რასაც დიდი ფული ხმარდება. ასეთ დიდ საქმეში თქმა არ უნდა ადგილი აქვს მრავალ შეცდომებს, რომლის მაგალითებზე, ჩვენ ვსწავლობთ, რათა არ გავიმეოროთ შემდეგში იგივე შეცდომები. ასეთ დროს „საქართველოს ეკონომისტმა“ მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ კამპანიაში. გააშუქოს როგორც მიღწევანი, აგრეთვე შეცდომანი და ამით ხელისუფლებას დახმარება გაუწიოს. ეს საკითხი დასმული იყო ამას წინათ ამხ. ავაქოვის მიერ „ზარია ვოსტოკა“-ს ფურცლებზე ამ მხრივ საჭიროა ჟურნალის მუშაობაში გაუმჯობესების შეტანა.

სარეცენზიო ნომერში თეორიულ განყოფილებაში მოთავსებულია მეტად საინტერესო შრომა აკაკი კალაძის „მარქსისტული მეთოდის გაგებისათვის“. ავტორს ორიგინალობის პრეტენზიები არა აქვს, ის კარგათ, დალაგებულად გადმოსცემს მარქსისტულ მეთოდის მთავარ დამახასიათებელ მხარეებს, ეს წერილი საინტერესოა ყველასათვის, ვისაც ინტერესი აქვს ეკონომიურ თეორიის საკითხებისადმი, კერძოთ კი მეტად სასარგებლოა ჩვენი სტუდენტობისათვის.

ჟურნალის გარჩეულ ნომერს ვერ მოუწონებთ ადგილობრივ ინფორმაციას, ინფორმაციაში უმთავრესად დაბეჭდილია დამზადების გეგმები და აგრეთვე სამრეწველო გეგმები, ასეთ მასალის მაგივრად ბევრად უფრო საგულისხმო ფაქტიური შესრულების ციფრები. გეგმები, რასაკვირველია საინტერესოა, მაგრამ არ ვარგა, როდესაც გეგმების მეტს არ აწვდი მკითხველს არაფერს. შედარებით უფრო საინტერესოა უცხოეთის ინფორმაცია.

ი. მ—ძე.

ჭადრაკი

ექვსი წლის მოჭადრაკე

პენზა. ადგილობრივ ტურნირში, 25 კაცის მონაწილეობით, ექვსი წლის ლევა ჩერნობროვკინმა მის მიერ ნათამაშებ პარტიების საერთო რიცხვიდან მოიგო 50 პროცენტზე მეტი და დაამარცხა ყველა გამოჩენილი მოჭადრაკეები.

რკინის გზებზე

ახალი ცდები 90.000 ფუთიანი მატარებლით

ამ დღეებში ა.-კ. რკ. გზებზე, ბაქოდან თბილისამდე, მოახდინეს საცდელ მგზავრობას 90.000 ფუთის სიმძიმის მატარებლით.

საცდელ მგზავრობას ჩაატარებს ა.-კ. რკ. გზ. სპეციალისტების კომისია, წევის დარგის ინსტრუქტორის ინჟ. **გვანცელაძის** ხელმძღვანელობით.

თუ ცდები დადებით შედეგებს გამოიღებენ, გადიდებული იქნება სამარშრუტო მატარებლების წონა რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს გზის გატარებითი უნარიანობას.

ვაგონების შეკეთება

მიმდინარე წელს ა.-კ. რკ.-გზ. თბილისის მთავარ სახელოსნოებში პროგრამის გარეშე, ზედმეტად განზრახულია 20 იზოთერმიული ვაგონის შეკეთება.

ამ ვაგონებს გაუშვებენ ექსპლოატაციაში ზაფხულის დამდეგს.

ვაგონი — მუზეუმი

ა.-კ. საგზაო კომიტეტი აწყობს გამოფენა-მუზეუმს, შრომის დაცვის და სოციალ. დაზღვევის საკითხებზე, გამოფენა - მუზეუმი მოთავსებული იქნება ვაგონში რომელშიაც მოწყობილი იქნება აგრეთვე მოძრავი ლაბორატორია.

ეს ვაგონი ივლის მთელ ა.-კ. რკ. გზებზე.

უბედური შემთხვევა

გუშინ ნავთლუღიდან თბილისში მიდიოდა სამარშრუტო მატარებელი, რომელსაც ბოლოში მიჰყვებოდა დამხმარე ორთქლმავალი. რამდენიმე მანძილის გავლის შემდეგ მემანქანე არამიანცმა შენიშნა, რომ მატარებლის შემადგენლობა ადგილიდან არ იძროდა, მიუხედავად იმისა, რომ ორთქლმავალი განაგრძობდა მუშაობას.

კარამიანცმა იმ მიზნით, რომ გამოერკვია ამ მოვლენის მიზეზი გააჩერა ორთქლმავალი; ორთქლმავლიდან გადმოსვლის დროს კარამიანცს ფეხი დაუსხლტა, დაეცა მიწაზე და მძიმედ დაშავდა.

არამიანცის ყვირილზე ორთქლმავლიდან გადმოვიდა მისი თანაშემწე ფირცხალავა, რომელიც აგრეთვე დაეცა მიწაზე და დაიმტვრა.

ამის შემდეგ ორთავენი დიდის გაჭირვებით შეფორთხდენ ორთქლმავალზე და დაბრუნდენ ნავთლუღში, საიდანაც ისინი სასწრაფოდ გადაგზავნეს საავადმყოფოში.

იუსტ. განყოფილება

დადგენილება № 1

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა კომისარიატის დებულების მე-12 —მუხ. შენიშვნის შეცვლის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს ს. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის დებულების მე-12 მუხ. შენიშვნის რედაქცია („მოამბე“ 1925 წ. № 1-2) შეიცვალოს შემდეგნაირად:

შენიშვნა: საქართველოს ს. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის დადგენილება ა) ალნუსხვისა და ანგარიშების გამარტივებისა და შემოკლების შესახებ, ბ) ზედმეტ ორგანოთა და წარმომადგენლობათა ლიკვიდაციის შესახებ, გ) ზედმეტი შტატების შემცირების შესახებ, დ) ზედნადები ხარჯების შემცირების შესახებ, ე) დაწესებულებათა და საწარმოთა ცალკე ნაწილების საორგანიზაციო სტრუქტურის შეცვლის შესახებ და ვ) სადისციპლინო გადასახდელის დადების შესახებ, აგრეთვე თანამდებობის პირთა გადაყენებისა და დათხოვნის შესახებ აშკარა უთავბოლობისა ბიუროკრატიზმის და ვაჭიანურებისათვის, საბოლოოა და მისი შესრულება სავალდებულოა ყველა სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოსთვის; უკეთუ დაწესებულების ან საწარმოს ხელმძღვანელნი არ დაეთანხმებიან მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის წინადადებას სხვა რამ საკითხზე, ისინი ვალდებული არიან დაუყოვნებლივ აცნობონ აღნიშნულ ინსპექციას თავისი მოსაზრებანი. უკეთუ საქართველოს ს. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიერ განზრახულ ღონისძიებათა განხორციელება მოქმედი კანონებისა და მთავრობის განკარგულების შეცვლას იწვევს საქართველოს ს. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი შეიტანს თავის წინადადებას საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოში ან საქართველოს ს. ს. რ. ეკონომიურ საბჭოში კუთვნილებისამებრ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე — ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე — ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი— შ. მათიკაშვილი.

1928 წ. იანვრის 10.
თბილისი—სასახლე.

ნარევი

100.000.000 მანეთის ეკონომია

გერმანიაში; ქ. ესსენის ახლო, დაიწყეს გაზის უდიდეს ქარხნის აგება. ქარხნის პროდუქცია დააკმაყოფილებს მთელი გერმანიის მოთხოვნილებას გასანათებელ გაზზე. ქარხნის აგების დასრულების შემდეგ შესწყვეტენ მოქმედებას გერმანიის ცალკე ქალაქებში არსებული გაზის ქარხნები. მთელი გერმანია დაიფარება მილების ქსელით, რომლითაც ყველა კუთხეებს მიაწვდიან გაზის საჭირო რაოდენობას. გერმანელმა ინჟინერებმა გამოიანგარიშეს, რომ წარმოების ცენტრალიზაცია და ნედლეულის გადაზიდვის შემცირება ახალი ქარხნის აგების შემდეგ სახელმწიფოს მისცემს 100.000.000 მან. ეკონომიას.

მცურავი ფაბრიკა

კაპშტადტში (სამხრეთ აფრიკა) ამ რამოდენიმე ხნის წინათ ამუშავდა მცურავი ფაბრიკა დაჭერილი თევზის გადასამუშავებლად ქონად და თევზის ფქვილად. უზარმაზარ გემზე, რომელიც სპეციალურად აგებულია ამ მიზნით. მოთავსებულია ფაბრიკის მთელი მოწყობილობა.

სურდოს მკურნალობა

ფრანგმა ექიმმა **ბორდიემ** შეიმუშავა სურდოს მკურნალობის ახალი მეთოდი: ცხვირის ორივე მხარეზე ადებენ ლითონის ფირფიტებს, რომელშიც ატარებენ მაღალი სიხშირის დენს. რამოდენიმე სეანსის შემდეგ სურდო ქრება.

მუდმივი თოვლი ცენტრ. აფრიკაში

უკანასკნელმა გეოგრაფიულმა ექსპედიციამ აღმოაჩინეს, რომ ცენტრალურ აფრიკაში, სადაც 50 მილის მანძილზე ეკვატორიდან, არსებობს მუდმივ თოვლით დაფარული რაიონები. ეს თვალუწვდენელი თოვლის მინდვრები მდებარეობენ 15.000 ფუტის სიმაღლეზე ზღვის დონიდან რუვენზორის მთების ჯგუფის (უგანდისა და ბელგიის კონგოს ზღვაზე) მწვერვალებზე. მეცნიერები ფიქრობენ, რომ პტოლომეის (ცნობილი ალექსანდრიელი გეოგრაფი და ასტრონომი, რომელიც მეორე საუკუნეში ცხოვრობდა). სწორედ აფრიკის ცენტრში მდებარე რუვენზორის მთები ჰქონდა მხედველობაში, როცა „მთვარის მთებზე“ სწერდა. ზანგების ველური ტომები, რომლებიც ამ მთების მიდამოებში ცხოვრობენ, ვერ ბედავენ თოვლიან მწვერვალებთან მიახლოებას იმის შიშით, რომ „თოვლი მოჰკლავს მათ“.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 20 იანვარი

დღეს, 20 იანვარს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გაიმართება ლენინის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო.

სტუდიიდან გადაცემული იქნება:

ლენინი წითელი არმიის შესახებ — ქართულ ენაზე.

მოგონებები ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ — რუსულ, ქართულ, სომხურ, თურქულ, აფხაზურ; ოსურ; გერმანულ და ბერძნულ ენებზე.

ლენინის ხსოვნისათვის მიძღვნილი კონცერტი.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 20 იანვარს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს:

კვალიფიციურ მუშათა პირველ სექციიდან: დ. ფიფიას; ვლ. პეტრატესს; ბ. ნაჭყიდაშვილს; ა. საკოვს; ვ. ლარიბოვს; რ. ზახაროვს; ა. ლაზუტინს; ოგანეზ ოგანეზოვს.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ალ. კაკაბაძეს; გრ. ბაბილუას; ვლ. ბაქრაძეს; იაკინთე ხოშტარიას.

საგარანტიო სექციიდან: პავლე ბოლოტინსკის; ვარლ. ჯანელიძეს; სარჯველაძეს; ვლ. ფირცხალაიშვილს; სიდოროპულოს; მარია ქანტურიას; ვერა სვანიძეს.

მშენებელ მუშათა მეხუთე სექციიდან: სედრაკ ვართანიანს; არსენ ტერ-ავეტისოვს, სედრაკ მხითარიანს; ივანე ბებურიშვილს; სეიფულა-ჰასან ოღლის, გიორგი მარგველაშვილს.

პარტიული კალენდარი

საქარ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის საინფორმაციო - საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ შაბათს. 21 იანვარს, დღის სრულ 12 საათზე ამხ. ხ. მამულიას კაბინეტში მოწვეულია ცეკას აგიტპროპ კოლეგიის თათბირი. საქ. კ. პ. (ბ) ცეკას აგიტპროპკოლეგიის ყველა წევრთა დასწრება აუცილებელია

ღრმად დამწუხრებული დედა მართა გოთუას ასული თოიძისა. ცოლი ნინა კელენჯერიძის ასული თოიძისა შვილებით თამარ და ოთარით, და მაკრინე შვილებით და დედისდის შვილი რუბენ ჩხაიძე აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ მათი დაუვიწყარი

აკაკი სიმონის-ძე თოიძის

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო კვირას, 22 იანვარს, დღის 12 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში და 29 იანვარს, ქ. ოზურგეთში მოიდანახეს სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი. (1)

თავზარდაცემული შვილებ: მარო, ვლადიმერ, პეტრე და ირაკლი შანიძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავ მოკეთეებსა და მეგობარ-ნაცნობთ, რომ უეცრად გარდაიცვალა მათი საყვარელი დედა

ნინო შანიძე

გამოსვენება ბინიდან (მლეთის ქ. № 9), კვირას, 22 იანვარს, 12 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე (შ)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ელისაბედ ზურაბის ასული ხუხუნაიშვილი შვილებით: მირიან, ვანიჩკა, ლეო, სონია, რძალი ოლია ალექსის ასული ხუხუნაიშვილი და შვილიშვილი თამარა აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი და დაუვიწყარი

მიხეილ ხუხუნაიშვილი

დაკრძალვა შაბათს, 21 იანვარს, სოფელ ლანჩხუთში. (ე)

ღრმად დამწუხრებულნი: მაკა შვილებით: ვასილი, აქვსენტი, ილია და მათე; რძლებით: ვარვარა, ელენე და ნატალია, შვილისშვილებით: ლიზა, ნინა გოგი და რევაზი ხუხუნაიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი—პირველის ქმარი, მეორეთა ბიძა და მესამეთა ბაბუა

მიხეილ ესეს ძე ხუხუნაიშვილი

დასაფლავება მოხდება შაბათს, 21 იანვარს, ქალ. ლანჩხუთში. 1138

მოულოდნელი უბედურებით თავზარდაცემულნი მეუღლე ნაპოლეონ სოფრომის-ძე იაშვილი, ძმა დავით ნიკოლოზის-ძე წერეთელი თავისი შვილებით უჩა და მიგიათი, და კონია იაშვილისა თავისი შვილებით, რძალი აგრაფინა თავისი შვილებით ქეთევან ასლანის ასული ლანდია და გოგია ლადოს ძე ნარუაშვილი აცნობებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ა. წ. 18 იანვარს, მოულოდნელად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ოლიმპიადა (პია) მიხეილის ასული წერეთელი-იაშვილისა

სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე—ნაშუადღევის 6 საათზე, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე, შაბათს, 21 იანვარს, ნაშუადღევის 4 საათზე. გასვენება საკუთარი ბინიდან - საბჭოს ქ. (ყოფ. ჩერქეზიშვილის) № 59. 1141

სახელმწიფო გამომცემლობა
მოითხოვეთ ახალი წიგნები

ხ. იაშვილი ბოტანიკა - სახელმძღვანელო. ფასი 80 კაპ.

ნ. შაფაქიძე, ნ. მგელაძე ნ. კვინიკაძე — არითმეტიკა შრომის სკოლაში. ნაწილი II. ფასი 60 კაპ.

ნ. კვინიკაძე, ნ. მგელაძე და ნ. შაფაქიძე — მათემატიკის სახელმძღვანელო. (მუშათა ფაკულტეტის I კურსისა და მოზრდილთა სკოლისათვის), გვ. 212, ფასი 1 მან. 80 კაპ.

ნ 429
25—12

აპოლო სოლეი არფაისტი

საქართველოს სახკინმრეწვის ახალი სურათი

მთის კანონი

დადგმა რეჟისორ ბ. მიხინი ოპერატორი—ა. პოლიკევიჩი
მთავარ როლებში: (ცნობილ სურათის „აბრეკ ზაური“-ის გმირი) დამსახ. მსახ. ვ. გუნია, ვ. ბეხტაევი ნ. სანოვი. ნ. განტარინი, ა. ხემიონოვი, გამრეკელი, ანდრონიკოვა-კახიძე და სხვ.

დარბაზი

უკანასკ. თბილ. მოსკოვში გაგზავნის წინ

ვარიეტე

მთ. როლებში ლია-დე-პუტი. ემილ იანინგსი
მალე: გარი პილ სუპ.
უთაო მხედარი

ქ. თბილისის მე-2 რაიონის სასამართლოს აღმასრულებელი ნ. ი. იზორია

ამით აცხადებს, რომ ის 24 იანვარს 1928 წ. დილის 1 საათზე სახლში № 21 მუხრანის ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის არკადი და სხვ. ყორღანოვების ორ სართულიან ქვიტკირის სახლის ორ მესამედი ნაწილს, შედგარს 17 ოთახი და ხუთი სამზარეულოსაგან, დახურულს ნაწილ კრამიტით და ნაწილ თუნუქით, მიწის ზომა 200 კ. ს. შეფასებულს 6000 მანეთად, ელენა ყორღანოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოსგან 16 თ ბ. 1927 წ. თარიღით, № 21764 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა ს. ს. საპრ. კოდ. 311—312 მუხ. დაცვით. ნ. 496

ზესტაფონის უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი ჭაჭიაშვილი

აცხადებს, რომ 27 იანვარს დილის 10 საათზე ქ. ზესტაფონში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის კონსტანტინე დათიაშვილის ქონებას—ტანისამოსის შკაფს და ფარდაგს, შეფასებულს 95 მანეთად, დასაკმაყოფილებლად გრიგოლი ნემსაძის ვალისა, თანახმად ზესტაფონის სახალხო მოსამართლის №№ 2313 და 2314 ბრძანებებისა. ნ. 498

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეზხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—4

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღ. 7-8 საათ მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 1—82 ს. 25—1

განათლების სახალ. კომისარიატის მიერ გაცემული
საოპერო თეატრის მიმდ. სეზონის ბილეთი № 67 ჩაითვალოს გაუქმებულად ნ. 497

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი.
სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა № 7 (ყ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15-03 25—1

იონა გაბიჩვაძე
პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი 65 ვენერიული და კანის ავადმყოფობანი სიფილისი და მისი შედეგები დილით 7—8 ნაშ. ს. საღამოს 5-8 ს.

ექიმი პ. ი. მგალობლიშვილი
სპეციალობა: კანის და ვენერიული დაავადებანი ათაშანგი
ავადმყოფების მიღება: დილით 8-9 ს. საღამოთი 5—7 ს. ლენინის ქუჩ. № 3. (ყ. მელიქ-აზარიანცის სახლი) ბინა № 2. 25—1

ექიმი ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სისივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნაშ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 25—1

ექიმი ი. დ. თოფურიძე
მოსკოვის ქუჩა № 7
იღებს ავადმყოფებს (კანის, ვენერიული და სიფილისით) დაავადებულებს, აგრეთვე სასქესო ორგანოთა დაავადებით მკურნალობა გამოწვეული მწვავე და ქრონიკული გონორეით
მიღება საღამოს 5—8 საათამდის. ნ. 25 11

ექ. ს. ი. ვოლოხი
ქალთა სნეულებანი და ბებიობა მიღება საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა
ბელგიის ქ. № 5 რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) ახლოს. ტელეფონი 10—80. 25-1

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, (შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1.) 25—1

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.
იღებს ავადმ. დილ 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდიმთავრის ქ.)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპა“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევ. (ყ. პლეხანოვის ივანოვკი) № 8. 25—

კბილის ტეხნიკოსის წოდების მისაღებად გამოცდები შესდგება კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე მხოლოდ ამა წლის ივნისში კურსების პროგრამით, რომლის შეძენა შეიძლება კურსებზე (პლეხანოვის პროსპ. № 126) იანვარში გამოცდები არ შესდგება. დაწვრილებითი პირობები გამოქვეყნებული იქნება ა. წ. მაისში.
კბილის ტეხნიკოსთა კურსების გამგე პროფ.
13—1 გ. მ. მუხაძე.

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთი 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3, 25—1

კბილის ექიმი
დავით სავვატის ძე
რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებები, პლომბები და ყოველი გვარი ხელოვნური კბილები. ავადმყოფთა მიღება: 10-2 საათ. და 5—7 ს. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის და ლენინის ქუჩების კუთხე.
25—1 1142

ექ. თოდაძე
დაბრუნდა საზღვარ გარედან და განახლა ავადმყოფების მიღება. სპეც. უროლოგია (თირკმლები, საშარდე ბუშტი, სასქესო ორგანოები და სხვა) ქირურგია. ცისტოსკოპია. დიატერმია (ახალი კაბინეტი). მიღება 5—7 საათამდე ბელგიის ქ. № 1. 13 -1

დაიკარგა კავშირის საწევრო წიგნაკი № 1526 იოსები ბაქონიძის სახელზე. ჩ. გ. 1144

დაიკარგა მედსანშრომის კავშირის წიგნაკი № 81 ნატალია მოსეს ასული გაჩეჩილაძის სახელზე. ჩ. გ. 1143

დაიკარგა მთლიან მუშათა კოოპერატივის წიგნაკი № 21.275 პლატონ გიორგისძე კილაძის სახელზე, ჩ. გ. 1137

დაიკარგა საანდიდატო ბარათი № 2301 გაცემული ქუთაისის სამ. ორგანიზაციის მიერ იასონ ისიდორეს ძე ბოკერიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1139

დაიკარგა სავაჭრო მოწმობა (პატენტი) № 191 და ექვსი ტომის ფქვილი დუბლიკატი ლევან იოსების ძე ომიაძის სახელზე, ჩ. გ. 1140

დაიკარგა ქორწინების მოწმობა გაცემული ბაქოს მმაჩის განყოფილების მიერ, ზაქარო გრიგორისძე თანდელაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1136

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 64